პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

[illegible]

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ძამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—56
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 12—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 24, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- პარიზის საბჭოთა წარმომადგენლობის პროტესტი.
- დიდი ხანძარი რუმინეთის ნავთის სამრეწველოებში.—საფრთხე მოელის მთელ რიგ სოფლებს.
- ზალესკის განცხადება საბჭ. კავშირთან ურთიერთობის შესახებ.
- სპარსელი ვაჭრები თეირანის საბჭ. სავაჭრო წარმომადგენლობაში.
- უნგრეთელი პოლიციელები ამხ. ბელა კუნს გატაცებას უპირებენ.
- ავღანისტანის ფადიშაჰის სამადლობელო დეპეშა ამხ. კალინინს.
- ზეიმი თურქეთის მეზღვაურთა საპატივსაცემოდ სევასტოპოლში.

კვირა, 20 მაისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 115 (2158)

სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ყრილობისათვის

დღეს თბილისში გაიხსნება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რწმუნებულთა მეორე ყრილობა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ, ამ სიტყვის სათანადო გაგებით, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მოიკიდა ჩვენში ფეხი, როგორც მასიურმა კოოპერატიულ ორგანიზაციამ.

თავის არსებობის მოკლე ხნის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ მრავალი დაბრკოლებები გადალახა. იყო დრო, როცა კოოპერაციის ეს სახე ჩვენში ღრმა კრიზისს განიცდიდა. მაგრამ სულ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ის კვლავ გამაგრდა და შეუჩერებლად მიდის წინ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გაჯანსაღება ერთნაირად თვალსაჩინოა დღეს, როგორც მისი ორგანიზაციული, ისე ფინანსიურ ბაზისის, და სავაჭრო ოპერაციების ზრდის მხრივ. ამ ზრდასთან ერთად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წინაშე ისახება ახალი და უფრო რთული ამოცანები. ეს განსაკუთრებით გასაგები იქნება, თუ მივიღებთ მხედველობაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის იმ სპეციფიურ როლს, რომელიც მას მიკუთვნებული აქვს სოფლის მეურნეობაში.

გეზი სოფლად მუშაობის დარგში, რომელიც დასახა საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობამ, მდგომარეობს დაქსაქსულ გლეხთა მეურნეობების კოლექტივიზაციაში საწარმოო ნიადაგზე. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას აქ უდიდესი ადგილი უჭირავს. ის იქ ერთი ძლიერი იარაღთაგანია, რომელმაც უნდა გარდაქმნას დაქუცმაცებული სოფლის მეურნეობანი კოლექტიურ მეურნეობათ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და კოლექტიურ მეურნეობათა შორის მჭიდრო თანამშრომლობა უნდა დამყარდეს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია უნდა გადაიქცეს კოლექტიურ გაერთიანებათა ორგანიზატორათ და წამხალისებლათ, როგორც ფინანსიურ დახმარების, ისე მიწოდება-გასაღების დარგში.

საქართველოში ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული კოლექტიური მეურნეობანი; ბევრი მათგანი უმწეო მატერიალურ მდგომარეობაშია, ბევრიც კიდეც დაიშალა იმის გამო, რომ მოკლებული იყო სათანადო იდეურ ხელმძღვანელობას და მატერიალურ სახსარს. რომ ასეთივე მდგომარეობას მომავალში ადგილი აღარ დაურჩეს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ უნდა გამოიმუშაოს კოლექტიურ გაერთიანებებზე ხელმძღვანელობის კონკრეტიული და რეალური ღონისძიებანი. ეს უკანასკნელნი უმთავრესად უნდა მიმდინარეობდნენ კოლმეურნეობათათვის საქონლის მიწოდების და კოლმეურნეობათა პროდუქციის გასაღების ორგანიზაციის გზით.

აღარ უნდა დაურჩეს ადგილი ისეთ შემთხვევებს, როცა კოლექტიური მეურნეობანი დამოკიდებულნი არიან კერძო პირებზე სამეურნეო ინვენტარის ან ნედლეული მასალის მომარაგებისა და დამზადებულ პროდუქციის გასაღების მხრივ. ასეთ შემთხვევებს კი სამწუხაროთ ადგილი აქვს ჩვენს სინამდვილეში. რომ ეს ნაკლი დაძლეულ იქნას და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ მჭიდრო სამეურნეო კავშირი დაიჭიროს კოლექტიურ გაერთიანებებთან, პირველ ყოვლისა, საჭიროა სამისო ნაბიჯი გადაიდგან ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელ ცენტრებმა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და კოლმეურნეობათა თანამშრომლობა დამყარებულ უნდა იქნას გენერალურ ხელშეკრულებათა და კონტრაქტაციების სისტემაზე. ამ მიზნით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასა და კოლექტიურ მეურნეობათა ხელმძღვანელ ცენტრებს შორის უნდა იკვრებოდეს გენერალური ხელშეკრულებანი.

რამდენადაც ასეთი ხელშეკრულებანი მოვალეობას დააკისრებს კოლექტიურ მეურნეობებს, რომ მათ თავიანთი ნაწარმოებები გაასაღონ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქსელის საშუალებით, იმდენად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ვალდებულია უფრო ხელსაყრელი პირობები დააწესოს კოლმეურნეობათა პროდუქციის შესყიდვის დროს, ინდივიდუალურ მეურნეობების ნაწარმოებთან შედარებით.

ამასთან ერთად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ შეღავათიან ფასებში უნდა მიაწოდოს კოლექტიურ გაერთიანებებს სამეურნეო ინვენტარი, თესლი, სესხი და სხვ.

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოახერხებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია სოფლის ღარიბ და საშუალო შეძლების მოსახლეობის ეკონომიურათ დაინტერესებას კოლექტიურ მეურნეობათა შექმნით.

ამ საერთო ამოცანის გარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წინაშე სდგას საკუთარი რიგების შემდგომ გამაგრება-გაძლიერების მრავალი საკითხები. ერთ-ერთი ასეთი საკითხთაგანია კოოპერატიულ საზოგადოებრიობის გაძლიერება. ადგილობრივ ორგანიზაციების თვითმოქმედების გაშლა, ხელმძღვანელ ორგანოების პასუხისმგებლობის გაძლიერება ამომრჩეველთა წინაშე, ანგარიშების რეგულიარულად ჩატარება მასებისათვის, ახალ კოოპერატიულ აქტივის მომზადება, დადგენილებათა შესრულების სისტემატიურად შემოწმება და მასიური თვითკრიტიკის გაძლიერება.

ამასთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ უნდა იზრუნოს საკუთარ აპარატის გამარტივებისა და ზედნადები ხარჯების მინიმუმამდე დაყვანაზე. მხოლოდ ასეთ პირობებში შესძლებს ის კერძო კაპიტალის კონკურენციის განდევნას, რომელიც სოფლად შედარებით უფრო ძლიერია, ვიდრე ქალაქად.

გარდა ამისა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წინაშე სდგას სოფლის პროდუქციის პირველ დამუშავებისა და გადამუშავების საქმის ორგანიზაციის საკითხი. ამ საკითხის სათანადოთ მოგვარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს გლეხთა მეურნეობის საფინანსო გაძლიერებისა და თვით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შემდგომ განვითარებისათვის.

სოფლის კავშირის რწმუნებულთა მეორე ყრილობა იქონიებს მსჯელობას ყველა ამ საკითხებზე და სათანადო გზებს დასახავს იმ დიდი მოვალეობის უფრო წარმატებით შესრულებისათვის, რომელსაც აკისრებს პარტია და ხელისუფლება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას.

პაულ ლევი, შახტის საქმე და „უბრალო ქრთამი“

შტამპფერებმა, ველსებმა და სოციალ-ბარმატების მთელმა ბანაკმა სწრაფად გამოარკვიეს თავისი დამოკიდებულება შახტის საქმისადმი. ბურჟუაზიის მიერ მოსყიდული სოციალ-დემოკრატიული ბელადები, ათასგვარ ჭორებსა და ვერსიებს სთხზავდენ, (რომლებსაც ნაწილობრივ, აქვე უნდა ითქვას, რენეგატ მასლოვის ნეტარხსენებული ფურცელიც ავრცელებდა) იმ მიზნით, რომ გაეთეთრებიათ ნამდვილი არამზადები და კონტრ-რევოლიუციონერები.

პაულ ლევი, ეს/ „მემარცხენე ფრაზით“ შემკული რენეგატი, სდუმდა. მაგრამ მისი დუმილი მხოლოდ იმას მოასწავებდა, რომ ლევიმ თავის „უფროს (სოციალ-რეფორმისტ) ძმას“ დაუთმო უტიფარი ცილისწამების შავი მუშაობა, რათა შემდეგ მუშების მისამხრობად უფრო მოხერხებულად განევითარებია ეს, რადგან ველსების უხეში მეშვეობით მუშების მიმხრობა ძნელია. ამ უკანასკნელ დროს ეგრედწოდებული „მემარცხენე“ სოციალ-დემოკრატები ხომ არა ერთხელ ყოფილან იძულებული გამიჯნოდენ „ფორვერტს“-ს, ვინაიდან მისი აშკარა კონტრ-რევოლიუციონური პოზიცია აღშფოთებას იწვევდა სოციალ-დემოკრატიის ქვედა ფენებში.

მაგრამ პაულ ლევის ამოცანა არც თუ იოლი იყო. „ფორვერტს“-ის მსგავსად იმის განმეორება, რომ საერთოდ არაფერი არ ყოფილა, იმის თქმა, რომ გერმანელი ინჟინრები აქ არაფერ შუაშია და რომ ყველაფერი ეს გამოგონილია — შეუძლებელი იყო. ველსებმა აქ საქვეყნოდ სირცხვილი სჭამეს.

პაულ ლევიმ სხვა გზა აირჩია.

რისთვის და რატომაა ეს აურ-ზაური? —იმეორებს ლევი. არაფერი ისეთი არ მომხდარა. კაპიტალიზმი ხომ კაპიტალიზმია და მისთვის ნორმალური მოვლენაა მწარმოებლების მისწრაფება გაჰყიდონ უფრო ძვირად, გაასაღონ ცუდი ღირსების საქონელი. რა საჭიროა ასეთი ძლიერი გამოთქმა — შეთქმულება? ნამდვილად კი საქმე გაცილებით უფრო მარტივია.

„თუ ამჟამად გამოქვეყნებულ ბრალდების შინაარსი სწორია, მაშინ რუსეთში მთელ რიგ ინჟინრებს, ტეხნიკოსებსა და მოხელეებს მიუღიათ ის, რასაც ჩვეულებრივ ენაზე უწოდებენ ქრთამს“. თურმე არაფერი არ ყოფილა. ვიღაცამ ვიღაცას მისცა ქრთამი. არავითარი კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაცია არ ყოფილა, არავითარი კავშირი მას ძველ მწარმოებლებთან არ ჰქონია, საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს და პოლონეთის კონტრ-დაზვერვას არავითარი დახმარება არ აღმოუჩენია ამ ორგანიზაციისათვის. არიან „ჩვეულებრივი“ ინჟინრები, ადგილი აქვს „ჩვეულებრივ“ ქრთამს. პაულ ლევი ყოველნაირად ცდილობს აგვიწეროს, თუ რა დიდ როლს თამაშობს კაპიტალისტურ ურთიერთობაში ქრთამი, ამ ხერხს ის იმ მიზნით მიმართავს, რომ თავიდან აიცილოს შახტის საქმის პატიოსანი შეფასება. ქრთამის საშუალებით (გამოტყუებულია) დანგრეულია თურქეთი და ეგვიპტე, მექრთამეობა გამეფებულია სამხედრო მრეწველობაში და სხვ.

ყოველივე ეს იმიტომ სჭირდება ლევის, რომ გამოიყვანოს უპასუხისმგებლო რენეგატის ასეთი „დასკვნა“.

ყველაზე მეტ აღშფოთებას იწვევს არა ის, რომ კაპიტალიზმი შეეცადა რუსეთის ინჟინრების მოსყიდვას, არამედ ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში იმდენად გავრცელებულია მოსყიდვა, რომ ამ მოვლენის აღმოფხვრის მრავალი ცდა იწვევდა არა მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ, პირიქით — ავადმყოფობის გაუარესებას“.

კონტრ-რევოლიუციონერი შეთქმულები, რომლებიც საბჭოთა ორგანიზმის ხორცმეტები იყვნენ, საფრანგეთისა და პოლონეთის კონტრ-დაზვერვის თეთრგვარდიელთა აგენტურა და შეგნებული დამაზიანებელნი თურმე „ჩვეულებრივ ინჟინრები ყოფილან, რომლებიც ჩვეულებრივ ქრთამს ღებულობენ“.

იმ ფაქტიდან, რომ ინჟინრები ქრთამებს იღებენ, კეთდება დასკვნა, თითქოს მოსყიდულია მთელი საბჭოთა სახელმწიფო. აქედან რენეგატი პირდაპირ გადადის იმ დასკვნაზე, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალ-დემოკრატებისათვის საარჩევნო ციებ-ცხელების გამო — დასკვნაზე დიქტატურის მარცხის შესახებ.

სოციალ-დემოკრატიის „მემარცხენე“ ბელადები იძულებული არიან შეეცადონ დააცხრონ ის აღშფოთება, რომელიც უეჭველად გამოიწვია შახტის პროცესმა მუშათა ფართო მასებში. კაპიტალისტური ქვეყნის ყოველი მუშა გრძნობს, რომ შახტის საქმემ გამოაშკარავა საერთაშორისო ბურჟუაზიის ცდა შიგნიდან აეფეთქებია პროლეტარული დიქტატურა. ამიტომ სოციალ-დემოკრატიის ბელადებმა გამოუშვეს ლევი იმისათვის, რომ დაფარონ და დაეხმარონ კონტრ-რევოლიუციონერებს. რევოლიუციონური პროლეტარიატი გამოაცხობს რენეგატის სიყალბეს, ის მთლიანად იქნება საბჭოთა კავშირის პროლეტარული დიქტატურის მხარეზე და დაიცავს მას ყველა ძალებისაგან, რომლებიც ხელს უწყობენ მსოფლიო კონტრ-რევოლიუციას.

„პრავდა“, 19 მაისი.

იაპონელ იმპერიალისტების „ნეიტრალიტეტი“ ჩინეთში

იაპონია აცხადებს, რომ არ დაუშვებს სამხედრო მოქმედების გადატანას მანჯურიაში

ფინ-იუი-სიანის გამარჯვება ბაოდინთან.—200.000-ნი არმია სამხრეთელების დასახმარებლად

გერმანიის კომპარტიის საარჩევნო კრებების დიდი წარმატება.-შეტაკება ჰამბურგში

იაპონიის მთავრობის „გაფრთხილება“ ჩან-ძო-ლინს და სამხრეთელებს

იაპონიის მთავრობის მემორანდუმი

ტოკიო, 18 მაისი. გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა იაპონიის მთავრობის მემორანდუმი, რომელიც გადაეცა ჩან-ძო-ლინს და ნანკინის მთავრობას. **იაპონიის მთავრობა წინადადებას აძლევს სამხრეთელებს და ჩრდილოელებს, თავი შეიკავონ სამხედრო მოქმედების შემდგომი გავრცელებისაგან** და მიუთითებს მანჯურიაში მშვიდობიანობისა და წესრიგის დაცვის საჭიროებაზე. თუ არეულობა გავრცელდა პეკინისა და ტიანძინის რაიონს იქით და შეიქმნა საფრთხე მშვიდობიანობისა და წესრიგისათვის მანჯურიაში, **იაპონია იძულებულ გახდება მიიღოს გადამჭრელი ზომები.** მაგრამ იაპონია ძველებურად დაიცავს უსასტიკესი ნეიტრალიტეტის პოლიტიკას და ოდნავადაც არ შეცვლის მას. მემორანდუმის საბოლოო ნაწილში აღნიშნულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ იაპონია იძულებული გახდა მიიღოს ზემოხსენებული ზომები, ის იზრუნებს სათანადო გარანტიებზე, რომლებიც უზრუნველყოფს ჩინეთის ამა თუ იმ ჯგუფებს ამ ზომების არასასურველ შედეგებისაგან.

მუკდენელების დამარცხება

ტოკიო, 18 მაისი. როგორც ლიბერალური „ასახი“ იუწყება, **ფინ-იუ-სიანის ჯარებმა დაამარცხეს მუკდენელები ვანტუს რაიონში, ბაოდინიდან 30 კილომეტრის დაშორებით. ფინ-იუ-სიანის ჯარები ბაოდინს უახლოვდებიან.**

სამხრეთელების დამხმარე ძალები

შანხაი, 18 მაისი. სამხრეთელების დასახმარებლად ხანკოუდან გაიგზავნა ხენან-ხუბეის ჯარების შვიდი არმია 200.000 ჯარის კაცის რაოდენობით. ჯარების სარდლად არის ხენან-ხუბეის დაჯგუფების მეთაური ბანცზუნ ჩი, რომელიც დღემდე მტრულად იყო განწყობილი ჩანკაიშისადმი. ლიბერალური „ნიცი-ნიცი“ იუწყება, რომ ბაი ცზუნ-ჩი, ეხმარება რა ჩან-კაიშის, ამავე დროს ჯარებს ამზადებს ფინ-იუ-სიანის წინააღმდეგ. (ადს).

გენერალი ფუკუდა
იაპონიის საექსპედიციო არმიის სარდალი ჩინეთში

ენ-სი-შანის გეგმა.

პეკინი, 18 მაისი. „შუნ-ტიან-ში ბაო“ აცხადებს, რომ შანსის გუბერნატორი ენ-სი-შანი იმუშავებს გეგმას, რომლის თანახმად პეკინი არ უნდა დაიკავოს არც მან, არც ფინ-იუი-სიამ. ენ-სი-შანის გეგმის თანახმად ჩან ძო-ლინის მანჯურიაში გამგზავრების შემთხვევაში ქალაქის მმართველობა უნდა გადავიდეს პეკინში მყოფ უძველეს პოლიტიკურ მოღვაწეთა კომიტეტის ხელში, რომელიც დაემორჩილება გაერთიანებულ მთავრობას.

1.045 მოკლული ჩინელი.

პეკინი, 18 მაისი. იაპონიის დეპეშათა სააგენტოს „ნიპონ დემპოს“ ცნობით, 12 მაისამდე ცზინანში აღმოაჩინეს ცზინანის ამბების დროს მოკლული 1.045 ჩინელი ჯარის კაცის გვამი (ადს).

გერმანია არჩევნების წინ

კამპანია გაცხოველებით მიმდინარეობს.

ბერლინი, 18 მაისი. საარჩევნო კამპანია გაცხოველებით მიმდინარეობს. ბერლინში და პროვინციაში პარტიები მართავენ საარჩევნო კრებებს, დემონსტრაციებს და პროცესიებს; **ბევრ ადგილას საქმე შეტაკებამდის მივიდა.** ჰამბურგში მოხდა შეტაკება „რესპუბლიკანურ დროშის“ კავშირის წევრთა და კომუნისტებს შორის. **შეტაკების დროს მოკლულია ერთი და დაჭრილია რამდენიმე კაცი.** ჰამბურგში ნაციონალ-სოციალისტებმა დასჭრეს რესპუბლიკანურ დროშის კავშირის ორი წევრი; ერთ-ერთი დაჭრილი გარდაიცვალა.

სოციალ-დემოკრატებს არა აქვთ იმედი, რომ არჩევნებში მათი ხმები გაიზრდება მუშების ხარჯზე და ამიტომ ისინი აგიტაციას აწარმოებენ უმთავრესად არა პროლეტარულ რაიონებში, არამედ წვრილი ბურჟუაზიის რაიონებში. მუშათა რაიონებში აგიტაციას ეწევიან კომუნისტები. სიმძიმის ცენტრის გადატანა მოსახლეობის წვრილ-ბურჟუაზიულ ფენებზე სავსებით შეეფერება სოციალ-დემოკრატიის საერთო პოლიტიკას, რადგან სოციალ-დემოკრატია ფიქრობს მთავრობაში მონაწილეობის მიღებას არა მარტო საშუალო პარტიებთან, არამედ ნაციონალისტებთანაც. ზოგიერთ პროვინციალურ ქალაქებში გაიმართა საერთო დემონსტრაციები, რომლებშიაც მონაწილეობას იღებდენ ყველა ბურჟუაზიული პარტიები ნაციონალისტებიდან სოციალ-დემოკრატებამდე.

მასებთან ერთად.

ბერლინი, 18 მაისი. გერმანიის კომპარტიის მრავალრიცხოვანი საააგიტაციო ჯგუფები დადიან სოფლებში და შედიან სახლებში. **საარჩევნო კამპანიამ მჭიდრო კავშირი შექმნა კომპარტიის 10.000 აქტიურ წევრსა და მოსახლეობის ფართე ფენებს შორის და უაღრესად განამტკიცა კომპარტიის კავშირი მრავალ მილიონ თანამგრძნობებთან** (ადს).

ჰამბურგის შეტაკების მსხვერპლი.

ბერლინი, 18 მაისი. ირკვევა, რომ **17 მაისს ჰამბურგში კომუნისტებსა და „რესპუბლიკანურ დროშის“ კავშირის წევრებს შორის მომხდარ შეტაკების დროს დაჭრილნი არიან კომუნისტები,** გარდა „რესპუბლიკანურ დროშის“ ორგანიზაციის ერთი წევრისა, რომელიც სასიკვდილოთ დაიჭრა.

კომუნისტებს როგორც ამას აღიარებს სოციალ-დემოკრატიული „ფორვერტსი“, სროლა აუტეხეს პოლიციელებმა, რომლებიც „რესპუბლიკანურ დროშას“ ეკუთვნიან.

კომპარტიის საარჩევნო კრება

ბერლინი, 18 მაისი. 17 მაისს, კომპარტიის მიერ „სპორტ-პალასში“ მოწყობილი ცენტრალური საარჩევნო კრება გადაიქცა მუშების ისეთ მძლავრ დემონსტრაციად, რომელსაც მნიშვნელობითა და მრავალრიცხოვანობით ვერ შეედრება ვერც ერთი სხვა პარტიის დემონსტრაცია. დარბაზი ისე გაივსო, რომ საჭირო გახდა პარალელური კრებების გამართვა გარეთ.

კრებაზე გამოვიდა **ტელმანი**, რომელსაც მხურვალე ოვაციებით შეხვდენ.

კრებამ საპროტესტო რეზოლუცია გამოიტანა კუნის დაპატიმრების წინააღმდეგ და აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ იტალიის ფაშიზმი მილანში სასამართლოს საშუალებით მკვლელობებს ამზადებს.

დასასრულ კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც იგი სამარცხვინო ბოძზე აკრავს კოალიციის პოლიტიკას და მოითხოვს ამნისტიას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ცენტრალურ საარჩევნო კრებაში მონაწილეობის მისაღებად გერმანიის კომპარტიის ბერლინის ორგანიზაციამ მხოლოდ ბერლინელი მუშების ნაწილის მობილიზაცია მოახდინა.

12 დაშორებულ რაიონში გაიმართა ცალკე მასიური კრებები. (ადს).

საარჩევნო განწყობილებანი

ბერლინი, 18 მაისი. საარჩევნო ბრძოლა გერმანიაში აშკარავებს ბურჟუაზიული ამომრჩევლების გულგრილობას და ბურჟუაზიული პარტიებისა და სოციალ-დემოკრატების საარჩევნო ლოზუნგების უშინაარსობას. ნაციონალისტების ლოზუნგია: „გააძლიერეთ რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებანი“, ეს ლოზუნგი ღრმა გამოხმაურებას პოულობს ნაციონალისტების მემარჯვენე ფრთაში, ვინაიდან ტევტონელები უკმაყოფილონი არიან ჰინდენბურგის მოქმედებით. ამასთან დაკავშირებით, გერმანიის ნაციონალისტური პარტიის უკიდურესი ელემენტები თანაგრძნობით ეკიდებიან ტევტონელებთან ბლოკის შე[illegible]

ფაშისტური ნაციონალ-სოციალისტური პარტია სარგებლობს ჩვეულებრივი ანტისემიტური ლოზუნგებით და უმთავრესად მუშათა ოლქებში გამოდის, მეტადრე რეინის ოლქში.

კიდევ უფრო უშინაარსოა შუათანა პარტიების ლოზუნგი. სახალხო პარტიის და დემოკრატების ლოზუნგებია: „ძლიერი გერმანია, მთლიანობა და თავისუფლებით სარგებლობა“. სახალხო პარტია ამავე დროს პირველ რიგში აყენებს შტრეზემანის პიროვნებას. სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროპაგანდა მოკლებულია ყოველგვარ კონკრეტულ შინაარსს. ერთის მხრით იგი მომხრეა „ძლიერი დემოკრატიული ხალხური სახელმწიფოსი სოციალური შინაარსით“, მეორე მხრით კი მხარს უჭერს „კურსს მარცხნისაკენ“. „მემარცხენე კურსად“ იგულისხმება დიდი კოალიციის განხორციელება.

კომპარტია აყენებს სხვადასხვა კონკრეტულ ლოზუნგებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტუალურ პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებთან; ეს საკითხები ეხება სოციალ-დემოკრატების მიერ ამნისტიის ჩაშლას, სოციალ-დემოკრატების მონაწილეობას ფარულ პოლიტიკურ მკვლელობებში და ფრონტელების კავშირის აკრძალვის ცდას.

ზალესკის განცხადება

ვარშავა, 18 მაისი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

პარასკევს სეიმის საგარეო საქმეთა კომისიის სხდომაზე გარეშე საქმეთა მინისტრმა ზალესკიმ წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა. იგი შეეხო ამერიკის წინადადებას „ომის აკრძალვის“ შესახებ და აღნიშნა, რომ პოლონეთის თვალსაზრისით ამ პროექტს შემდეგი ახასიათებს: წინააღმდეგობა არ არსებობს ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატების მიერ წამოყენებულ ხელშეკრულებასა და ერთა ლიგის წესდებას შორის. ხელშეკრულება არ სპობს თავდაცვის შესაძლებლობას თავდამსხმელთა წინააღმდეგ: ხელშეკრულებაში მოქცეული იქნება დადგენილება, რომელიც განთავისუფლებს მონაწილეებს ნაკისრ ვალდებულებებისაგან იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სახელმწიფო მას თავს დაესხმება.

განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მუშაობის შესახებ ზალესკიმ აღნიშნა, რომ პოლონეთის აზრით, მოსამზადებელ კომისიას ნება არ უნდა მიეცა, რომ იგი მოეცდინათ დადებითი ხასიათის მიმდინარე მუშაობისაგან უტოპიური პროექტების განხილვით როგორიც არის, მაგალითად, საბჭოთა პროექტი განიარაღების შესახებ.

ლიტვასთან ურთიერთობის შესახებ ზალესკიმ განაცხადა: სერიოზულ დაბრკოლებათა მიუხედავათ, მოლაპარაკება მაინც წარმატებით დამთავრდება, თუ ლიტვა საკმაო კეთილ სურვილს გამოიჩენს. მაგრამ პოლონეთის მთავრობა არ შეიწყნარებს არავითარ ცდას, რომ დარღვეულ იქნას პოლონეთის ტერიტორიის მდგომარეობა, რომელიც საბოლოოდ ჩამოაყალიბა ელჩთა კონფერენციამ.

საბჭოთა კავშირთან პოლონეთის ურთიერთობის შესახებ ზალესკიმ განაცხადა: საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა ნორმალური და თავაზიანია, რასაც ხელს უწყობდა პირველყოვლისა მოლაპარაკება თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შესახებ. თუმცა ეს მოლაპარაკება ჯერ დამთავრებული არ არის, მაგრამ მან აბსოლუტურად მშვიდობიანი ატმოსფერა შექმნა პოლონეთისა და საბჭოთა კავშირს შორის. ეკონომიურ დარგში დადებითი შედეგები არსებობს, სახელდობრ: ვაჭრობის განვითარება და სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად საჭირო მოსამზადებელი მუშაობის ახლო მომავალში დამთავრება“.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტის ჭორები

ნიუ-იორკი, 18 მაისი. რეაქციონური გაზეთის „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი კომენტარიებს უკეთებს ამავე გაზეთის კასელელი კორესპონდენტის ჭორებს იმის შესახებ, ვითომც აახენში გაიმართა „კომინტერნის კონფერენცია“ და იუწყება, რომ ოფიციალური წრეები უარჰყოფენ უჯრედების არსებობას ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატების არმიასა და ფლოტში.

ამავე დროს ვაშინგტონელი კორესპონდენტი აცხადებს, რომ კასელიდან გამოგზავნილი ცნობა „ამართლებს ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატების პოზიციის კავშირის ცნობის საკითხში“. მეთაურ წერილში გაზეთი სერიოზულად მსჯელობს კორესპონდენტის ჭორების შესახებ და იმეორებს ჩვეულებრივ მტკიცებას, რომ „საბჭოთა მთავრობა და კომინტერნი ერთი და იგივეა“. (ადს).

წერილი პარიზიდან

არჩევნების შემდეგ

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

თანდათანობით ირკვევა ახალი პალატის ხასიათი და ძალთა განწყობილება პალატაში. კაპიტალისტურ რეაქციას, პუანკარეს მომხრეების სახით, მტკიცე უმრავლესობა ჰყავს — 330-დან 400 ხმამდე. ამასთანავე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ დეპუტატების კარიერიზმი, რომელსაც ხშირად მსხვერპლად ეწირება კლასობრივი ინტერესი ამ კარიერიზმის გაფურჩქვნას განსაკუთრებით ხელს უწყობს საარჩევნო სისტემა ოლქებში. ამ სისტემით კანდიდატი თავისუფალია ყოველგვარი პარტიული კონტროლისაგან, ყოველგვარი პროგრამული მოთხოვნილებებისაგან. ის სდგას პირის-პირ თავისი ამომრჩევლების წინაშე, ყოველგვარ დაპირებებს აძლევს მათ და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ როგორმე გაძვრეს პარლამენტში. პარლამენტში ახლად გამომცხვარი დეპუტატი ეძებს ისეთ ჯგუფს, სადაც ის უკეთ მოეწყობა. რაც შეეხება პოლიტიკურ ამოცანებს უნდა ითქვას, რომ დეპუტატი სრულიად არ იცნობს მათ. არჩევნებამდე მან იცოდა, თუ რა სურდა: მას სურდა გასულიყო როგორმე დეპუტატად. ამ სურვილის შესრულების შემდეგ, ყოველივე დანარჩენი დამოკიდებულია შემთხვევაზე და მისი კარიერის ინტერესებზე. ასეთ დეპუტატების რაოდენობა ახალ პალატაში 150 კაცს უდრის. ეს ვაჟბატონები რომ გულწრფელნი იყვნენ, თავის ჯგუფს უცოდინართა და მერყევ დეპუტატთა ჯგუფს, უწოდებდენ, მაგრამ ალბად ისინი კაპიტალისტური ფრონტის მთავარსარდლის — პუანკარეს განკარგულებაში იქნებიან.

თუ რამდენად აბსურდია ოლქების საარჩევნო სისტემა, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ერთ ბურჟუაზიულ დეპუტატს ირჩევს 14.000 ამომრჩეველი, სოციალისტურ დეპუტატს — 16.000, **ხოლო კომუნისტურ დეპუტატს — 78.000 ამომრჩეველი.** არჩევნების პროპორციონალური სისტემის დროს, რომელიც, მაგალითად, გამოყენებულია გერმანიის რეიხსტაგის არჩევნებში, საფრანგეთის კომპარტიას ეკუთვნოდა 75 დეპუტატი. პარიზის რაიონის უკანასკნელ კონფერენციაზე, სოციალისტებმა გააფთრებული კამპანია გააჩაღეს კომუნისტების წინააღმდეგ და ბრალს სდებდენ მათ რეაქციის მხარის დაჭერაში და 20 სოციალისტ დეპუტატის დამარცხებაში. ამავე დროს სოციალისტებს კრინტიც არ დაუძრავთ იმის შესახებ, რომ **ისინი მეორე ტურის დროს შეუერთდენ ყველა ჯურის ბურჟუებს ისეთი კომუნისტების წინააღმდეგაც კი, რომლებიც კაპიტალისტურ საპყრობილეებში იტანჯებიან.** კაპიტალისტებმა სოციალისტებს სამაგიერო გადაუხადეს მით, რომ მთელ რიგ სოციალისტ ბელადების, მაგალითად ბონკურის, წინააღმდეგ არ წამოუყენებიათ ბურჟუაზიული კანდიდატები.

ამავე კონფერენციაზე გაიმართა გაცხოველებული კამათი „სოციალისტური პოლიტიკის“ შესახებ ახალ პალატაში. ბრძოლა სწარმოებდა ორ ძირითად ტენდენციას შორის. მემარჯვენე სოციალისტები, მიუხედავათ პალატის რეაქციონური ხასიათისა, მოითხოვდნენ კავშირს მემარცხენე ბურჟუაზიულ პარტიებთან. ამ ვაჟბატონებისათვის ბურჟუაზიულ მთავრობაში მონაწილეობა და კაპიტალისტური საზოგადოების გადარჩევა ერთგვარ მანიად და იდეეფიქსად გადაიქცა. უფრო ფრთხილმა, ე. წ. მემარცხენე სოციალისტებმა, კომუნისტური კრიტიკის თავიდან აცილების მიზნით და მემარცხენე ფრაზისათვის, გაილაშქრეს კლასების უშუალო თანამშრომლობის წინააღმდეგ. გამოქნილი ბლოკი, რომელიც თითქოს მარცხნივ იხრება, მაგრამ რომელიც ნამდვილად კლასების თანამშრომლობის ყველაზე დიდი მომხრეა, როგორც ყოველთვის, ისე ამ შემთხვევაშიაც ცდილობდა შეერიგებია მოწინააღმდეგე მეგობრები და ამხანაგები. მან წამოაყენა საკმაოდ გარკვეული შინაარსის ფორმულა: მეგობრული პოლიტიკა მემარცხენე რადიკალების მიმართ და დაუნდობელი ბრძოლა კომუნისტების წინააღმდეგ. ამავე დროს ის მოითხოვს მოქმედების თავისუფლებას და მოქნილი ტაქტიკის წარმოებას იმ ბურჟუაზიული მთავრობის სასარგებლოდ, რომელიც ნაკლებად რეაქციონური იქნება.

მიუხედავად რეაქციის გამარჯვებისა, რომელიც მოუთმენლად ელის იმ მომენტს, როცა ის შესძლებს ამ გამარჯვების ნაყოფის მომკას, — პუანკარე თითქმის უცვლელად სტოვებს თავის ძველ სამინისტროს. ეს აიხსნება ორი გარემოებით: ჯერ ერთი პუანკარესთვის არაა ხელსაყრელი იყოს მარენის აშკარა რეაქციონური ჯგუფის ტყვეობაში. მისთვის უმჯობესია შეინარჩუნოს **„მემარცხენეობის“ ნიღაბი.** მეორე მხრით, საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით მეტად უხერხულია ახალი პალატის რეაქციონური ხასიათის სავსებით გამოაშკარავება **ეხლავე. ამ ფაქტს შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს იმ საარჩევნო კამპანიაზე, რომელიც ამჟამად სწარმოებს გერმანიაში,** ვინაიდან რეაქციის გამარჯვებას საფრანგეთში გერმანიის რეაქციონერები გამოიყენებენ თავისი რეაქციონური აგიტაციისათვის. საერთოდ საგარეო პოლიტიკა მტკივანი მხარეა პუანკარიზმის, რომელსაც მთელ მსოფლიოში შოვინიზმის გარკვეული რეპუტაცია აქვს. დღემდე პუანკარეს ფარს წარმოადგენდა ბრიანი, ჟენევისა და ლოკარნოს გმირი, რომელმაც შესძლო საზოგადოების დაბრმავება ილიუზიებით ერთა ლიგაზე. ეხლა ბრიანი ავათაა და საგარეო პოლიტიკას მთლიანად პუანკარე აწარმოებს, რომელსაც არავითარი ილიუზიების შექმნა არ ძალუძს. მისი სახით ჩვენ საქმე გვაქვს აშკარა იმპერიალისტთან და რეაქციონური კაპიტალიზმის დამცველთან.

ხ. რაპოპორტი.

პარიზი, 9 მაისი.

შახტის კონტრ-რევოლიუციონერების გასამართლება

პირველი სხდომა

სხდომის დარბაზში

მოსკოვი, 19 მაისი. 18 მაისს, დილის 10 საათზე კავშირთა სახლის დარბაზში დაიწყო დონბასში აღმოჩენილი ეკონომიური კონტრ-რევოლიუციის საქმის გარჩევა.

საქმეს არჩევს საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სპეციალური შემადგენლობა, რომელშიც შედიან: უზენაეს სასამართლოს [illegible] ლოს სპეციალურ შემადგენლობის თავმჯდომარე ა. ი. ვიშინსკი, სასამართლოს წევრები ანტონოვ-სარატოვსკი და ვასილიევ-იუჟინი.

—:—

თავმჯდომარე ამხ. ვიშინსკი, სასამართლოს წევრები—ამხ. ვასილიევ-იუჟინი და ანტონოვ-სარატოვსკი და მსაჯულნი—ამხ. კურჩენკოვი და კისელიოვი.

პროცესმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მოსკოვის მშრომელებში. დამსწრეთა შორის დარბაზში იმყოფებიან დონბასის მემადნეები. პარტერის პირველ რიგებში სხედან მოწმეები. საბჭოთა და უცხოეთის პრესის კორესპონდენტებს ესტრადის მახლობლად უჭირავთ ადგილი.

სხდომის დაწყებისას დიპლომატიური კორპუსისათვის გამოყოფილი ლოჟა დაიჭირეს გერმანიის, პოლონეთის, იტალიის, იაპონიის და ლატვის საელჩოების წარმომადგენლებმა.

სასამართლოს სხდომის გახსნა

სასამართლოს სხდომა გახსნა ამხ. ვიშინსკიმ. ირკვევა რომ სასამართლოს დარბაზში იმყოფება 52 ბრალდებული; არ გამოცხადდა ბრალდებული ნეკრასოვი. ამხ. ვიშინსკიმ წაიკითხა ექიმ-ფსიქიატრის მიერ ხელმოწერილი წერილი ნეკრასოვის გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ.

სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. კრილენკო თავის დასკვნაში ექიმის მოწმობის შესახებ ფიქრობს, რომ არ არსებობს საფუძველი ნეკრასოვის განთავისუფლებისათვის სასამართლოს სხდომებზე დასწრებისაგან, ვინაიდან ბრალდებული, უეჭველია, სულიერი ავადმყოფობის სიმულიაციას ეწევა. თუ ნეკრასოვი არ მოისურვებს სასამართლოს სხდომაზე დასწრებას, იგი იძულებით უნდა იქნას მოყვანილი. დამცველი როზენბლიუმი ფიქრობს, რომ აუცილებელია ნეკრასოვი გაიგზავნოს ფსიქიატრიული ექსპერტიზის ინსტიტუტში მისი მდგომარეობის გამოსარკვევად. თათბირის შემდეგ სასამართლო ადგენს, რომ ნეკრასოვი მოყვანილ იქნას სასამართლოში.

ბრალდებულთა ფორმალური დაკითხვის შემდეგ სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. როგინსკი შესაძლოდ სცნობს არ იქნან დაკითხული ის მოწმეები, რომელთა ჩვენება საქმეში არის დართული. ბრალდება მოითხოვს გამოწვეულ იქნეს მხოლოდ მოწმე ბალაშა, რომლის ჩვენებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. დამცველნი შუამდგომლობენ, რომ გამოწვეულ იქნას მოწმე შვარცი, რომელიც სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადებულა და რომლის ჩვენებას დიდი მნიშვნელობა აქვს ბრალდებულ იმენიტოვისათვის. სასამართლო აკმაყოფილებს მხარეთა შუამდგომლობას.

ამხ. როგინსკი შუამდგომლობს, რომ დამატებით იქნას გამოწვეული 6 მოწმე, რომლებმაც უნდა დაასურათონ ზოგიერთი ბრალდებულთა პოლიტიკური მუშაობა და უნდა გამოარკვიონ დონბასის ძველ ინჟინერთა ჯგუფის დამოკიდებულება ახალგაზრდა ინჟინერებისა და ტეხნიკოსებისადმი, ტეხნიკ—კომუნისტებისადმი და მუშა-გამომგონებლებისადმი.

დამცველთა შუამდგომლობა

გერმანიის ქვეშევრდომ მაიერის დამცველი ვორმსი შუამდგომლობს, რომ მოწმეებად გამოწვეულ იქნან გერმანელი სამხედრო ტყვე ბრეიცმანი, ოსტატი ლისიცინი, რომელიც მაიერის ხელმძღვანელობით მუშაობდა ტურბინების ამუშავებაზე, ვლასოვის მაღაროთა სამმართველოს ყოფილი უფროსი ინჟინერი შაპირო და „ელექტრონის საყოველთაო კომპანიის“ („АЕГ“) რუსეთის განყოფილების მთელი რიგი მუშაკები. დამცველი ოცეპი გერმანიის ქვეშევრდომ ბრალდებულ ოტოს სახელით შუამდგომლობს, რომ გამოწვეულ იქნან „ელექტრონის საყოველთაო კომპანიის“ რუსეთის განყოფილების მთელი რიგი მუშაკები. რაბინოვიჩის დამცველი ოცეპი შუამდგომლობს, რომ მოწმეებად გამოწვეულ იქნან „დონუგოლის“ გამგეობის წევრი ბეიდოვი, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ზუბაროვი, სვერდლოვი, ბუბკინი, და პრეზიდიუმის [illegible] ბეროიზოვსკის და ხაშილოვის დამცველი ორდინსკი შუამდგომლობს რომ გამოწვეულ იქნას ახალი მოწმეები, რათა დახასიათებულ იქნას ამ ბრალდებულთა მოქმედება უკანასკნელი წლების განმავლობაში. ასეთივე შუამდგომლობა აღძრეს სხვა დამცველებმაც.

ვორმსი შუამდგომლობს, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოდან და აგრეთვე ბერლინში მყოფ სავაჭრო წარმომადგენლობიდან გამოთხოვილ იქნას იმ ხელშეკრულების ასლები, რომელიც დადებულ იქნა სავაჭრო წარმომადგენლობასა და „ელექტრონის საყოველთაო კომპანიის“ ფირმას შორის მოწყობილობათა შესყიდვის შესახებ; ვორმსი შუამდგომლობს აგრეთვე, რომ გამოწვეულ იქნას ორთქლის ტურბინების შემმოწმებელი მაღალი კვალიფიკაციის ექსპერტი, რათა გამორკვეულ იქნას მავნებ.

(გაგრძელება იხ. მეორე გვერდზე)

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

უცხოეთის პრესა შახტის პროცესზე

მოსკოვი, 19 მაისი. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ შახტის კონტრ-რევოლიუციონერების პროცესი პირველი გასამართლებაა საბჭოთა კავშირში, რომელსაც უცხოეთის პრესა და საზოგადოებრიობა ასეთ არაჩვეულებრივ ყურადღებით ადევნებს თვალყურს.

გერმანელ ფაშისტ სტუდენტების გასამართლება, რომელნიც, როგორც ცნობილია, რუსეთში ჩამოვიდნენ ტერორისტული მიზნებით, არ იწვევდა კერძოდ გერმანიის პრესის ისეთ დიდ ინტერესს, როგორც შახტის საქმე. პრესის წარმომადგენელთა მაგიდები კავშირთა სახლის დარბაზში, სადაც მიმდინარეობს პროცესი, დაკავებული აქვს ევროპის თითქმის ყველა ქვეყნების წარმომადგენლებს. მათ შორის გერმანიის პრესას, როგორც „დაინტერესებულ“ სახელმწიფოს წარმომადგენელს, პირველი ადგილი უჭირავს. პროცესს ესწრება გერმანიის 7 უდიდესი გაზეთის და ორი დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელნი.

ევროპის სახელმწიფოების გარდა პროცესზე წარმოდგენილნი არიან აზიის სახელმწიფოთა ჟურნალისტებიც, როგორც მაგალითად იაპონიის, ინდოეთის, სპარსეთის და სხვა.

პური ამიერ-კავკასიისათვის

მოსკოვი, 19 მაისი. პურის საერთო ნაკლებობამ ამიერ-კავკასიაში მთელი რიგი სიძნელენი შექმნა ბამბის რაიონებში, რომელნიც უმთავრესად შემოზიდული პურით იკვებებოდნენ. იმ მიზნით, რომ ასეთ მდგომარეობამ გავლენა არ მოახდინოს ბამბის თესვის კამპანიაზე და საერთოდ ბამბის ახალ მოსავალზე, მებამბეობის მთავარ კომიტეტმა დასვა საკითხი საკავშირო სახალხო მეურნეობის წინაშე იმის შესახებ, რომ სასწრაფოდ გაიგზავნოს ამიერ-კავკ. მებამბეობის კომიტეტის განკარგულებაში 150 ვაგონი ხორბალი.

რამდენი მიეცემა ამიერ-კავკასიას საბინაო მშენებლობაზე

მოსკოვი, 19 მაისი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ გაანაწილა კომუნალური ბანკის რვა მილიონიანი რეზერვი, რომელიც გადადებული იყო საბინაო მშენებლობისათვის.

საბინაო მშენებლობაზე დამატებითი კრედიტის გასაძლიერებლად ამ თანხიდან ამიერ-კავკასიაზე გადადებულია საერთო ჯამით 750 ათასი მანეთი. აქედან 350 ათასი მანეთი მიეცემა ბაქოს კომუნალურ ბანკს ნავთის მრეწველობის საბინაო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, 100 ათასი მანეთი „აზნავთის“ და დანარჩენი ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქებს.

მშენებლობის გაიაფების საკითხი

მოსკოვი, 19 მაისი. კვირას, 20 მაისს აქ იხსნება მშენებელთა პროფესიონალურ კავშირების ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგში ერთ-ერთ მთავარ საკითხად სდგას მშენებლობის გაიაფებისა და რაციონალიზაციის საკითხი. ყრილობას ესწრება უცხოეთის მშენებელთა კავშირის დელეგატებიც. ჯერ-ჯერობით ჩამოვიდნენ ნორვეგიისა და საფრანგეთის დელეგატები.

ისლამოვის ქალის თვითმკვლელობის საქმე

მოსკოვი, 20 მაისი. სასამართლოს დარბაზი, სადაც მესამე დღეა მიმდინარეობს პროცესი ისლამოვის ქალის თვითმკვლელობის საქმეზე, კვლავ იპყრობს მოსკოვის პრესის და საზოგადოებრიობის დიდ ყურადღებას. პროცესი ფაქტიურად გადაიქცა ლიტერატურულ ბოჰემის საჯარო გასამართლებად.

სასამართლოს ყოველი მორიგი სხდომა ისლამოვის თვითმკვლელობის გამომწვევ მიზეზების ახალსა და ახალ შემაძრწუნებელ დეტალებს იძლევა. პირველყოვლისა ირკვევა, რომ სახელმწიფო უმაღლეს ლიტერატურულ კურსებზე, სადაც სწავლობდა ისლამოვის ქალი და ბრალდებულები, ატმოსფერა მეტად არანორმალური იყო. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ამ კურსებზე სწავლა სწარმოებს განსაზღვრული ფასის გაღებით. ამიტომ კურსებზე თავი მოიყარა წვრილ-ბურჟუაზიულ, ანტისაბჭოთა სოციალურ წრეებიდან გამოსულ ახალგაზრდობამ. ამ მხრივ არც ბრალდებულები წარმოადგენენ გამონაკლისს.

ისლამოვის ქალი დიდი ხანი არაა, რაც უზბეკისტანიდან ქმართან ერთად გადმოსახლდა მოსკოვში. ისლამოვის ქმარი, უზბეკისტანის სახალხო კომისართა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, მოსკოვში ასრულებდა უზბეკისტანის წარმომადგენლის მოვალეობას საკავშირო ცაკის პრეზიდიუმთან. ცოლი კი სწავლობდა ლიტერატურულ კურსებზე.

მიუხედავათ იმისა, რომ ბრალდებულები ყოველნაირად ცდილობენ გაამართლონ თავი გარდაცვალებულ ქალის ჩირქის მოცხებით, მოწმეების ჩვენებებიდან და საქმეში ჩართულ დოკუმენტებიდან ირკვევა სულ სხვა. ისლამოვის ქალი სტუდენტებს შორის განირჩეოდა საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულებით და იშვიათი სიდინჯით. ასევე უნდა ითქვას ისლამოვის ქალის ზნეობრივ მხარეზე და ინტიმურ ცხოვრებაზე.

სასამართლოს სხდომაზე ირკვევა აგრეთვე, რომ ბრალდებულებმა წინასწარ მოეფიქრებით და ერთმანეთთან შეთანხმებით დაიჭირავეს ნომერი სასტუმროში, თანვე წაიღეს მაგარი სასმელები და დაათვრეს ისლამოვის ქალი უგრძნობლად. შემდეგ სამივემ ძალადობა იხმარა მასზე. ისლამოვის ქალი მხოლოდ მეორე დღეს მოვიდა გრძნობაზე. მან ვერ გადაიტანა ეს შეურაცყოფა და მაშინვე მოიკლა თავი. ამასთან ერთად სასამართლოში გამოაშკარავდა, რომ ალტშულერი წინადაც ხშირად სწვევია მოსკოვის სასტუმროებს სხვა ქალებთან ერთად ასეთივე მიზნით.

სასამართლოში მოწმედ გამოსულ ისლამოვის ქმარმა განაცხადა, რომ ამგვარი დამოკიდებულებით ქალისადმი, როგორიც ახასიათებს ბრალდებულებს, ჩვენ ვერ მივაღწევთ ქალის საბოლოო განთავისუფლების მიზანს. ეს პროცესი უარყოფით გავლენას იქონიებს აღმოსავლეთის ქალთა განთავისუფლებაზე. ძველი ქვეყნის მოციქულები აღმოსავლეთის ქვეყნებში, ყოველ ამგვარ უბედურ შემთხვევას სადემაგოგოთ იყენებენ ქალთა განთავისუფლების წინააღმდეგ.

ლობის იმ აქტების ტეხნიკური შესაძლებლობა, რომელთა ჩადენა ბრალად ედება მაიერს. შემდეგ დამცველნი შუამდგომლობენ, რომ დაინიშნოს ფსიქიატრიული ექსპერტიზა იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად ფსიქიურად ნორმალურია ბრალდებული ბაშკინი. სხვა დამცველები შუამდგომლობენ, რომ გამოთხოვილ იქნას სხვადასხვა დამატებითი ცნობები და დოკუმენტები ბრალდებულთა მოქმედების შესახებ.

პროკურატურის განცხადება

ამხ. კრილენკო ილაშქრებს ბაშკინის ფსიქიატრიული ექსპერტიზის წინააღმდეგ და ამბობს, რომ ამისათვის არ არსებობს საფუძველი, ვინაიდან არ გვაქვს საბუთი, რომელიც მოწმობდეს ბრალდებულ ბაშკინის არანორმალურ მდგომარეობას. ამხ. კრილენკო აცხადებს, რომ დამცველთა შუამდგომლობა მთელი რიგი მოწმეების გამოწვევის შესახებ, მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება იქნას დაკმაყოფილებული. ამხ. კრილენკო ზედმეტად სთვლის „დონუგოლის“ ტეხნიკური საბჭოს წევრთა—მოწმე ტერპიგორიევის და ფედოროვის გამოწვევას, რის შესახებაც შუამდგომლობა აღძრა ინჟ. რაბინოვიჩის დამცველმა ოცეპმა. ამხ. კრილენკო აღნიშნავს, რომ ბრალდებულთა მთელი რიგი ჩვენებანი ტეხნიკურ საბჭოს ახასიათებს როგორც შირმას, რომლის უკან იმალებოდა მთელი რიგი პირობების, და მათ შორის ამ საბჭოს თავმჯდომარის რაბინოვიჩის მავნე მოქმედება სწორი არ იქნება, რომ ტეხნიკურ საბჭოს წევრებს შორის გამოვყოთ ის პირნი, რომლებიც ბრალდებულებთან ერთად მუშაობდნენ, და მათი ჩვენების მიხედვით გამოვიტანოთ დასკვნები. ამხ. კრილენკო ილაშქრებს აგრეთვე ბრალდებულ სტოიანსკის იმ თხოვნის დაკმაყოფილების წინააღმდეგ, რომ გამოწვეულ იქნას საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრი ამხ. ხოლდატენკოვი, რომლის თვალწინ სწარმოებდა ბრალდებულის მთელი მუშაობა.

„ხოლდატენკო რომ მართლაც გამოცხადდეს სასამართლოში,—სთქვა ამხ. კრილენკომ,—და გვეამბოს ყოველივე ის რაც ხდებოდა მის თვალწინ; მისი მტკიცება საეჭვო იქნება, ვინაიდან მავნე მუშაობა სწარმოებდა პარტიისა და მუშათა კლასის მიერ დანიშნული კომუნისტებისა და სამეურნეო მუშაკების თვალწინ კი არა, არამედ მათ ზურგს უკან“. გერმანიის ქვეშევრდომ ბრალდებულთა დამცველების შუამდგომლობა იმ მოწმეთა გამოწვევის შესახებ, რომლებსაც ვითომც შეუძლიათ დაახასიათონ ბრალდებულთა მუშაობა, ამხ. კრილენკოს აზრით არ უნდა იქნას დაკმაყოფილებული. ამხ. კრილენკო სცნობს რომ ასეთ დახასიათებას არ შეიძლება პირდაპირი დამოკიდებულება ექნეს საიდუმლო მავნებელ მუშაობასთან, რომელშიაც ბრალი ედება კერძოდ ბრალდებულ ბადშტიბერს.

ამხ. კრილენკო ილაშქრებს აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ დანიშნულ იქნეს სპეციალური ექსპერტიზა, რომელმაც უნდა გამოარკვიოს რომ ორთქლის ტურბინების დაზიანების ის მეთოდები, რომლებიც შეიმუშავა ბრალდებულმა მაიერმა, ტეხნიკურათ შეუსაბამოა და ამიტომ მათ არ შეიძლება ჰქონოდათ ადგილი.

„მაიერი ხომ თვითონ ამბობს—აღნიშნა ამხ. კრილენკომ—რომ მავნე მოქმედებას ჰქონდა ადგილი; ის უჩვენებდა, თუ როგორ შეიძლება ტურბინების გაფუჭება“.

ამხ. რომინსკი ილაშქრებს იმ დოკუმენტების გამოთხოვის წინააღმდეგ, რომლებსაც მოითხოვდენ დამცველები.

პროკურატურას შესაძლოდ მიაჩნია მხოლოდ, რომ გამოთხოვილ იქნეს „დონუგოლის“ ტეხნიკურ საბჭოს სხდომის ოქმი და სტენოგრამა და ინჟ. რაბინოვიჩის დასკვნები ზოგიერთ მაღაროების შესახებ და სხვა დოკუმენტები.

სასამართლოს დადგენილება

ორი საათის თათბირის შემდეგ ამხ. ვიშინსკი აქვეყნებს დადგენილებას ბრალდების და დამცველების შუამდგომლობათა შესახებ. დაკმაყოფილებულია ბრალდების და დამცველთა შუამდგომლობა მხოლოდ ზოგიერთ მოწმეების გამოწვევის შესახებ, უარყოფილია დამცველთა შუამდგომლობა ორთქლის ტურბინების შესამოწმებლად ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. უარყოფილია აგრეთვე შუამდგომლობა ბაშკინის შესამოწმებლად ფსიქიატრიულ ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. დადგენილია გამოთხოვილ იქნეს მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებსაც აქვთ დამოკიდებულება საქმესთან.

[illegible] 4 [illegible] სხდომა [illegible], საღამოს 6 საათამდე.

18 მაისის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე დაიწყო საბრალმდებლო დასკვნის წაკითხვა. წაკითხვას მოუნდა მთელი საღამოს სხდომა და ის გაგრძელდება კიდევ 19 მაისს.

19 მაისის დილის სხდომა

მოსკოვი, 19 მაისი. 19 მაისს დილის სხდომაზე გრძელდებოდა საბრალმდებლო დასკვნის წაკითხვა.

ბრალდებულთა შორის არის ნეკრასოვიც, რომელიც პირველ სხდომას არ დასწრებია და მოყვანილ იქნა სასამართლოს სხდომის დარბაზში სასამართლოს დადგენილების თანახმად.

პროცესზე დასასწრებლად ჩამოვიდა შერბანის, რუტჩენკოს, ბუდიონის, პეტროვსკის, კადიევსკის და სხვა მაღაროების მემაღაროეთა დელეგაცია. კიდევ მოელიან მემაღაროეთა რამდენიმე დელეგაციას დონბასიდან.

სხდომის დარბაზში იმყოფება აგრეთვე გლეხების წარმომადგენელთა ჯგუფი. (ადს).

19 მაისის საღამოს სხდომა

მოსკოვი, 19 მაისი. შახტის პროცესის საღამოს სხდომაზე დამთავრდა საბრალმდებლო დასკვნის წაკითხვა, რის შემდეგ სასამართლო შეუდგა ბრალდებულთა დაკითხვას.

ბრალდებულთ ბერეზოვსკი—ეკითხება სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. ვიშინსკი,—სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ თქვენდამი წაყენებულ ბრალდებებში?

— დიახ, ვცნობ, მტკიცედ უპასუხებს ბერეზოვსკი.

ასევე მტკიცედ უპასუხებენ ამ კითხვაზე ბრალდებულები კოლგანოვი, სამოილოვი, ბაშენკო, ჩერნოკნიჟნიკოვი, ბაშკინი, ნიკიტინი, პეტროვი; მატოვი; ბრატანოვსკი; სოკოლოვი; კაზარინოვი, ბოიარინოვი, პეკერი, კრუჟკოვსკი და კუვერმანი. ბრალდებული პოტიომკინი, რომელმაც წინასწარი გამოძიების დროს თავი სცნო დამნაშავედ, ეხლა დამნაშავედ სცნობს თავს მხოლოდ ნაწილობრივ.

— მე დამნაშავედ ვსცნობ თავს იმაში, რომ 1924 წელში წინასწარი განზრახვით ვიღებდი მონაწილეობას საზიანო მოქმედებაში, ორგანიზაციის არსებობის შესახებ 1924 წლიდან მე არაფერი ვიცოდი.

ინჟენერი პოკროვი, რომელმაც წინასწარი გამოძიების დროს თავი სცნო დამნაშავედ, ეხლა ერთგვარ შენიშვნას უკეთებს ამ აღსარებას. მთლიანად დამნაშავედ თავს არ სცნობს აგრეთვე ინჟენერი შადლუნი, პროცესის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა, რომელმაც წინასწარი გამოძიების დროს შეკითხვაზე: დამნაშავედ სცნობს თუ არა ის თავს, დადებითი პასუხი გასცა,

— მე დამნაშავედ ვსცნობ თავს, ამბობს ის. —ყველაფერში, დამაზიანებლობის გარდა. დაზიანებას მე არ ვაწარმოებდი.

მაგრამ თქვენ ორგანიზაციაში ხომ ირიცხებოდით?

დიახ—ვირიცხებოდი—აცხადებს შადლუნი.

ინჟენერი ლიური, რომელმაც წინასწარ გამოძიებაზე ნაწილობრივ დამნაშავედ სცნო თავი, ეხლა კატეგორიულად უარყოფს თავის დანაშაულს. ბრალდებულები პეშკოვი და ივანე ნეკრასოვი დამნაშავედ სცნობენ თავს იმაში, რომ იძლეოდნენ ცნობებს, რომლებიც აინტერესებდა უცხოელ კაპიტალისტებს, მაგრამ ამასთანავე პეშკოვი აცხადებს, რომ ამ ცნობებს იძლეოდა „ამხანაგების წრეში“, ვინაიდან იცოდა, რომ ცნობები არ შეიძლებოდა საზღვარგარეთ მოხვედრილიყო. ნეკრასოვი კი პირდაპირ აცხადებს, რომ ის აძლევდა ცნობებს შადლუნს უცხოეთში მყოფ „ხაზეინებისათვის“.

გერმანიის ქვეშევრდომი, ბრალდებული ბადშტიბერი თავს დამნაშავედ სცნობს მხოლოდ ნაწილობრივ. მისი დაკითხვა სწარმოებს თარჯიმანის საშუალებით. თავმჯდომარე სთხოვს თარჯიმანს ჰკითხოს ბრალდებულს, სცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ?

არა, ის თავს უდანაშაულოდ გრძნობს.

ჰკითხეთ ბრალდებულ ბადშტიბერს სცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ მისდამი წარდგენილ ბრალდებაში?—ნაწილობრივ, სახელდობრ რაში?—მან არ იცოდა, თუ არსებობდა ორგანიზაცია, რომელიც ეწეოდა საზიანო მუშაობას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

— მაშ რაში სცნობს ბადშტიბერი თავს დამნაშავედ? —ბადშტიბერი აღიარებს, რომ მან ცუდი მანქანები დადგა. ის სცნობს, რომ ეს შეგნებულად ჩაიდინა? ბადშტიბერი რაღაცას გაცხარებით ლაპარაკობს გერმანულად.—არა —აცხადებს თარჯიმანი,—ეს მან შეუგნებლად ჩაიდინა.

მაშ რატომ სცნობს ის თავს ნაწილობრივ დამნაშავედ?—იმიტომ, რომ მან ფული აიღო კესტერისაგან და როდესაც ფული აიღო, ფერი სთქვა, რომ მანქანა კარგი არ იყო. თაიდანვე ის მანქანა მან უვარგისად სცნო.

[illegible] 16 ბრალდებულმა თავი დამნაშავედ, ბრალდებულთა დაკითხვა დასრულდა, ნაწილობრივ, 24 კი—თავი არ სცნო დამნაშავედ. ბრალდებულთა დაკითხვა დასრულდა. თავმჯდომარე წინადადებას აძლევს მხარეებს შეიმუშაონ მუშაობის შემდგომი წესრიგი. სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენელი ამხ. კრილენკო წინადადებას იძლევა სასამართლო ძიება იმგვარად იქნას წარმოებული, რომ ცალკე მომენტების გამორკვევიდან შესაძლებელი იქნეს საერთო მომენტებზე გადასვლა. გამორკვეულ იქნას ორგანიზაციის არსებობა და სტრუქტურა პერიფერიაში—დონბასში, შემდეგ დახასიათებულ იქნას ხარკოვის ცენტრი და მოსკოვის ცენტრის შექმნა და ცალკე სხდომებზე იქნას გამოყოფილი ისეთი საკითხების განხილვა, რომლებიც გამოქვეყნებული არაა და რომლებიც განხილული უნდა იქნეს დახურულ სხდომაზე. გერმანელ ინჟენრებისა და ტეხნიკოსების მუშაობა ცალკე უნდა იქნას გამოკვლეული. დამცველებს პროტესტი არ განუცხადებიათ სახელმწიფო ბრალმდებების წინადადების წინააღმდეგ და სახელმწიფო ბრალდებულის მიერ წარმოდგენილი ძიების წესრიგი სასამართლომ მიიღო, რის შემდეგაც სხდომა გამოცხადდა დახურულად. შემდეგი სხდომა შესდგება ორშაბათს, დილის 10 საათზე.

ლენინბუნდის რღვევის გამო

როგორ მიგრეგვეს ურბანსი

ბერლინი, 18 მაისი. ზულში შესდგა გაზეთ „ფოლკვილე“-ს რედაქტორის გვიდო გეიმას მომხრეთა კონფერენცია. კონფერენციამ დაადგინა შეუერთდეს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. კონფერენციაზე დამსწრე 38 კაციდან 25-მა ხმა მისცა სოც.-დემოკრატიულ პარტიაში გადასვლას, 10-მა—წინააღმდეგ, ხოლო სამმა ხმა მისცა გერმანიის კომპარტიაში დაბრუნებას.

ხმების თანახმად, ამ კონფერენციასთან ერთად გაზეთ „ფოლკვილე“-ს გამომცემლობის წარმომადგენლები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენლებთან გაზეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანოთ გარდაქმნის შესახებ.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შესვლის წინააღმდეგ ხმა მისცეს ქალაქ ზულის გარეშე მყოფმა ორგანიზაციებმა. შესვლის სასარგებლოთ ხმა მისცეს გეიმის ახლობელ მეგობრებმა.

გერმანიის კომპარტიის მიერ მოწვეულ საარჩევნო კრებებს ზულის ოლქში დიდძალი ხალხი ესწრება. მათ შორის ყოფილი ულტრა მემარცხენეებიც. შტეინბახში და გალენბერგში ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, რომლებიც თავის დროზე ორგანიზაციულად გადავიდნენ ლენინბუნდში, დაადგინეს დაბრუნდენ გერმანიის კომპარტიაში. ლენინბუნდის ორგანოში „ფანე დეს კომუნიზმუს“, რომელსაც ეხლა სცემს ურბანსი, აღნიშნულია, რომ „ლენინბუნდი“ შეინარჩუნებს რეიხსტაგის არჩევნებში წამოყენებულ კანდიდატების სიას „მიუხედავად მასლოვის, რუტ ფიშერის და შოლემის ღალატისა და ზულის ორგანიზაციის გადასვლისა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში“. ამ დღეებში ურბანსი შეეცადა გაევრცელებია ზულში ლენინბუნდის პროკლამაციები, მაგრამ სადგურში ის დაიჭირეს გეიმის მომხრეებმა, სცემეს და წაართვეს პროკლამაციები. (ადს).

ავღანისტანის ფადიშაჰის გამგზავრება

ამანულა-ხანის დეპეშა ამხ. კალინინს

სევასტოპოლი, 19 მაისი. ფადიშაჰმა ამხ. კალინინს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ვსტოვებთ რა საბჭოთა კავშირის ტერიტორიას, მე და დედოფალი გამოვსთქვამთ უგულწრფელეს მადლობას საბჭოთა მთავრობის მიერ გულითადი შეხვედრისათვის. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ყოფნის დროს ჩვენ გვხვდებოდნენ უგულწრფელესი მეგობრობით და სიმპატიით, რაიც ჩვენი მოგზაურობის ყველაზე უფრო ნათელ მოგონებას წარმოადგენს. ჩვენი პირადი ნაცნობობა გახდება სტიმული იმ მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის, რომელიც აკავშირებს ჩვენს სახელმწიფოებს. კვლავ უსურვებთ საბჭოთა კავშირს აყვავებას. „ამანულა“ (ადს).

გულიამ სედიკის დეპეშა ამხ. ჩიჩერინს

სევასტოპოლი, 19 მაისი. ავღანისტანის გარეშე საქმეთა მინისტრის მოადგილემ გულიამ სედიკმა ამხ. ჩიჩერინს გაუგზავნა დეპეშა. გულიამ სედიკი თავის დეპეშაში გამოსთქვამს მადლობას იმ მზრუნველობისათვის, რომელიც გარეშე საქმეთა კომისარიატმა გამოიჩინა საბჭოთა კავშირში ფადიშაჰის ყოფნის დროს.

„ფადიშაჰის ყოფნას საბჭოთა კავშირში,—ნათქვამია დეპეშაში,—ულრმესი გულწრფელობისა და სიმპატიის გრძნობით შეხვდნენ. გამოვსთქვამ მტკიცე რწმენას, რომ ფადიშაჰის ყოფნა თქვენს ქვეყანაში და პირადი ნაცნობობა საბჭ. მთავრობის მოღვაწეებთან კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს ჩვენს მეგობრულ ურთიერთობას. ვუსურვებ საბჭოთა კავშირს საუკეთესო ბედნიერებას და აყვავებას“.

თურქეთის მეზღვაურები სევასტოპოლში

სევასტოპოლი, 19 მაისი. დღესასწაული თურქეთის მეზღვაურების პატივსაცემად სევასტოპოლში დიდის ენტუზიაზმით ჩატარდა. მისასალმებელ სიტყვაში ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ თურქეთის ესკადრის ჩამოსვლა, რომელიც მოხდა სწორედ მაშინ, როცა ავღანისტანის ფადიშაჰი იმყოფებოდა ყირიმში, წარმოადგენს ავღანისტან-თურქეთ-საბჭოთა მეგობრობის სიმბოლოს, იმ მეგობრობის, რომელიც განმტკიცდა საერთო მტრის წინააღმდეგ და მშვიდობიანობის უზრუნველყოფისაკენ მიმართულ ბრძოლაში.

ამხ. კარახანი საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით მიესალმა თურქეთის და ავღანისტანის შეიარაღებულ ძალთა წარმომადგენლებს და ხაზი გაუსვა სამი ეროვნების მეგობრობას, რომელიც ჩაისახა იმ მომენტში, როცა ყოველი მათგანი იბრძოდა თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. შემდეგ ამხ. კარახანმა გამოსთქვა რწმენა, რომ მეგობრული ურთიერთობა კიდევ უფრო განვითარდება და განმტკიცდება.

თურქეთის ელჩმა ტევფიკ-ბეიმ აღნიშნა საბჭოთა კავშირის და თურქეთის ურთიერთობის განსაკუთრებით მეგობრული ხასიათი და სთქვა, რომ მეფის რუსეთის დროს მეგობრობის ასეთ განმტკიცებაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა.

გენერალმა ფახტი-ფაშამ, თურქეთის პრეზიდენტის წარმომადგენელმა განაცხადა: „მე ჩამოვედი ავღანისტანის ფადიშაჰის შესახვედრად, მაგრამ გულწრფელად მოხარული ვარ, რომ მომეცა ჩვენთან მეგობრულ ურთიერთობაში მყოფი ქვეყნის მეზღვაურებს შორის ყოფნის საშუალება. გულწრფელ სურვილს გამოვსთქვამთ, რომ განმტკიცებულ იქნას მეგობრული ურთიერთობა თურქეთსა, საბჭოთა კავშირსა და ავღანისტანს შორის“.

რაზმის უფროსმა მეჰმეტ ალიმ განაცხადა, რომ თუ მეფის რუსეთის ნაპირებთან თურქეთის გემები მიდიოდა უსიამოვნო გრძნობის განცდით, სამაგიეროდ ეხლა ისინი უდიდესი სიხარულით მისცურავენ საბჭოთა კავშირის ნაპირებისაკენ. საბჭოთა კავშირი არის ერთად-ერთი ქვეყანა, რომელიც ასე გულთბილად იღებს თურქეთის მეზღვაურებს.

ფლოტის უფროსმა ამხ. ორლოვმა განაცხადა:

„სევასტოპოლში შეხვედრა დიდხანს დარჩება საბჭოთა მეზღვაურების მეხსიერებაში, როგორც თურქეთის და საბჭოთა მეზღვაურების ერთობის სიმბოლო, რომლებიც დგანან საერთო მტრის—მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე თურქეთის ელჩმა ქაბულში და ავღანისტანის ელჩმა ანგორაში (ადს).

მხურვალე სალამი მუშაკთა ახალ კადრს

(26 კომუნარის ა. კ. კომუნივერსიტეტის კურს დამთავრებულთა ახალი გამოშვების გამო)

26 კომუნარის სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტს

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი მხურვალედ ესალმება ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტებს, მასწავლებლებს, გამგეობას და მთელ პერსონალს სამოსწავლო წლის დამთავრების დღეს, როცა პრაქტიკული მუშაობისათვის იქნა გამოშვებული თეორეტიული ცოდნით აღჭურვილი, ჩვენი მუშური სახელმწიფოს მშენებელთა ახალი კადრი.

თუ კი ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროს, როცა ჩვენს პარტიას არ ჰქონდა სახელმწიფო მშენებლობის ამოცანებთან უშუალოდ დაახლოების შესაძლებლობა, ამხ. ლენინი სვერდლოვის უნივერსიტეტის პირველი გამოშვების სტუდენტებს მიუთითებდა იმაზე, „თუ რა უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენს ჩვენი მმართველობისათვის ქალაქად და განსაკუთრებით სოფლად „გამოცდილი, ცოდნით აღჭურვილი ამხანაგების უქონლობა“, მით უფრო ეხლა, როცა სოციალისტური მშენებლობის და კულტურული რევოლიუციის ამოცანები წამოყენებულია პირველ რიგში, როცა უაღრესად არის გართულებული ჩვენი მუშაობის პირობები, მით უფრო ეხლა მეტად გვესაჭიროება „გამოცდილი, ცოდნით აღჭურვილი ამხანაგები“, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში, სადაც წარსულის წყეული მემკვიდრეობა—კულტურული და სამეურნეო ჩამორჩენილობა, ეროვნული განკერძოება და სხ. უფრო ნათლად იჩენს თავს.

ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტიდან გამოშვებული ამხანაგების დიდი უმრავლესობა, უეჭველია, გაიგზავნება მაზრებში, მჭიდროდ დაუახლოვდება სოფელს. აქ მათ ელის მუშაობის თვალუწვდენელი ასპარეზი—აქ მათ უნდა განახორციელონ საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის დადგენილებანი, პლენუმების გადაწყვეტილებანი და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების დირექტივები. მასების ინტერნაციონალურ ნიადაგზე აღზრდა, პროლეტარიატისა და სოფლის ღარიბი გლეხობის კავშირის განმტკიცება საშუალო გლეხობასთან, მოჯამაგირეთა და ღარიბთა შეკავშირება და მათში პოლიტიკური განათლების შეტანა, კულაკების გამოაშკარავება, პოლიტიკური იზოლიაცია და ბრძოლა მათ წინააღმდეგ სამეურნეო ფრონტზე, ენერგიული მუშაობა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და ინტენსიფიკაციისათვის, საბჭოების გამოცოცხლება და პროფკავშირთა მუშაობის გაფართოება სოფლად, სოფლის პარტიული და კომკავშირთა ორგანიზაციების განმტკიცება, ნებაყოფლობითი საზოგადოებათა მუშაობის გაფართოება, კულტურული რევოლიუციის შეტანა სოფელში, და პირველ რიგში ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის, სარწმუნოებრივი ცრუმორწმუნეობის, დრომოჭმული ყოფა-ცხოვრების და ზნე-ჩვეულებების წინააღმდეგ, ბრძოლა ქალის განსათავისუფლებლად,—აი, უმთავრესი ამოცანები, რომელთა გადასაწყვეტად უნდა იმუშაონ დაუღალავად ლენინური თეორიით შეიარაღებულმა ახალმა მუშაკებმა. ახლოს მასებთან, ფართო მასებისაკენ, მთელი ძალღონით მუშაობა მასებში,—ეს უნდა იყოს ახალგამოშვებულთა ლოზუნგი.

„თქვენს წინაშე სდგას მშენებლობის ამოცანა და თქვენ შესძლებთ მის გადაწყვეტას მხოლოდ მაშინ, თუ კომუნიზმს მზა-მზარეულ, გაზეპირებულ ფორმულებისაგან, რეცეპტებისაგან, პროგრამებისაგან გადააქცევთ იმ ცოცხალ საქმედ, რომელიც მთლიანობას აძლევს თქვენს უშუალო მუშაობას, თუ კომუნიზმს თქვენი პრაქტიკული მუშაობის სახელმძღვანელოდ გაიხდით“—ჩვენი დიადი ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის ეს ბრძნული სიტყვები საკავ. კომპარტიის (ბ) ა.-კავკ. საოლქო კომიტეტის მხრივ საუკეთესო გზის დალოცვაა სწავლა დამთავრებულთათვის.

ა.-კავკ. კომუნისტურ უნივერსიტეტში სწავლის განსაგრძობად დარჩენილთათვის დევიზად უნდა გადაიქცეს ლენინის შემდეგი სიტყვები: „თუ მე ვიცი, რომ ცოტა ვიცი, მე მოვახერხებ, რომ მეტი ვიცოდე“. ცოდნის გადიდება და გაღრმავება, მისი გამოყენება უნივერსიტეტის გარეშე პრაქტიკულ მუშაობაში, თავისი თავის აღზრდა მტკიცე დისციპლინიან ბოლშევიკურად, იმ 26-ის საქმის ღირსეულ გამგრძელებლებად, რომელთა სახელსაც ა.-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტი ატარებს,—აი, მათი უმნიშვნელოვანესი მოვალეობა პარტიისა და თავისი თავის მიმართ.

ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტი უფრო მეტად უნდა გადაიქცეს, ვიდრე დღევანდლამდე იყო, პარტიული და საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრად, აგრეთვე მეცნიერულ-პოლიტიკური და სამხარეთმცოდნეო მუშაობის ცენტრად ამიერ-კავკასიაში, ა.-კავკასიის კომუნისტურმა უნივერსიტეტმა უნდა გააფართოოს და გააძლიეროს თავისი კავშირი ა.-კავკასიის ყველა უმაღლეს სასწავლებლებთან, დაამყაროს მათთან გამოცდილების გაზიარება და სამეცნიერო ძალების გაცვლა-გამოცვლა, გააძლიეროს კომუნისტური ზედმოქმედება მათზე. ა.-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტი უფრო მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს მუშათა მასებს, ჩააბას ისინი თავის ლაბორატორიებსა და კაბინეტებში, დაგზავნოს თავისი მუშაკები მუშათა რაიონებში პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობისათვის. ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტი კიდევ უფრო ახლო უნდა მიუდგეს ა.-კავკასიის რესპუბლიკათა სინამდვილეს, მათ საჭიროებასა და მოთხოვნილებას, მათ ეკონომიკასა და ისტორიას. ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტი კიდევ მეტად უნდა გადაიქცეს არა მარტო კომუნისტური განათლების ორგანოდ, არამედ კომუნისტური აღმზრდელობის კერად, იმ მოსამზადებელ [illegible] იმ მასაზრდოებელ წყაროდ, რომელმაც უნდა ზარდოს მუშაკთა ნამდვილი ბოლშევიკური კადრები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობის უფრო და უფრო გართულებული ამოცანები, მასების კულტურული დონისა და აქტივობის ზრდა გვაიძულებს, რომ ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტს თანდათან მეტი მოთხოვნილება წარუდგინოთ.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ჩვენი საზოგადოების დამსახურებული ყურადღების შემწეობით და ყველა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების დახმარებით ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტი შესძლებს ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტი გულითადად ულოცავს სწავლადამთავრებულ ამხანაგებს და თავის მხურვალე სალამს უგზავნის ამიერ-კავკასიის 26-ის სახელობის მთელ კომუნისტურ უნივერსიტეტს.

საკ. კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტი.

საქ. კ. პ. ცეკა—ახალ კურს დამთავრებულთ

26 კომუნარის სახელობის ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, რომელიც ამ.-კავკასიის დარაზმულ პროლეტარიატის ინიციატივით მუშებსა და გლეხებში უმაღლეს კომუნისტურ განათლების გასავრცელებლად, უშვებს სოციალიზმის აღმშენებლობისათვის მებრძოლთა ახალ კოლონებს. დღევანდელ მომენტში ახალ კვალიფიცირურ ძალების შემატებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენმა პარტიამ ფეხი შესდგა იმ პერიოდში, როცა გაძლიერებული მშენებლობა სწარმოებს ქალაქში, და სოფლად. დასახულ ამოცანების უფრო წარმატებით გადაჭრისათვის, მეხუთმეტე პარტყრილობამ განსაკუთრებით მკაფიოდ წამოაყენა საკითხი მუშაობის გაძლიერების შესახებ კულტურულ ფრონტზე.

ჩვენს ჩამორჩენილ ქვეყანაში ჩვენ მოგვიხდება სანგრძლივი და ენერგიული ბრძოლა კულტურული რევოლიუციის ამოცანების განსახორციელებლად. ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რომლებიც დაკავშირებული არიან ამიერ-კავკასიის ყველა რაიონებთან, დიდი როლი უნდა ითამაშონ მშრომელ მასების კულტურულ დონის აწევის საქმეში.

თქვენის სახით საქართველოს კომპარტიის ცეკა ესალმება ლენინიზმით შეიარაღებულ ახალგაზრდა მუშაკების კვალიფიცირურ კადრს და გამოსთქვამს მტკიცე იმედს, რომ თქვენ პატიოსნათ შეასრულებთ პარტიის მიერ თქვენზე დაკისრებულ ამოცანებს. ამით თქვენ განახორციელებთ კომუნიზმისათვის იმ თავდადებულ მებრძოლთა ანდერძს, რომელთა დროშის ქვეშ უნდა ისწავლოს, განვითარდეს და იბრძოლოს ამიერ-კავკასიის კომუნისტურმა უნივერსიტეტმა.

ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

ა.-კ. კომუნივერსიტეტის კომუჯრედის ბიურო კურს დამთავრებულთ

ოთხი წლის განმავლობაში ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტში თქვენ იძენდით მარქსიზმის და ლენინიზმის თეორიას, ითვისებდით მის პრაქტიკას, მის პოლიტიკას. დაიწყებთ რა მუშაობას, თქვენ ხორცი უნდა შეასხათ ამ ცოდნას, პრაქტიკულად გამოიყენოთ ის. წინააღმდეგ შემთხვევაში ე. ი. მარტო თეორია პრაქტიკის გარეშე არის სქოლასტიური, მკვდარი, გამოუსადეგარი და რეალურ ცხოვრებას მოკლებული.

ის მოვალეობა, რომელიც დაკისრებული აქვს თვითეულ თქვენგანს მართალია ძნელია ამიერკავკასიის განსაკუთრებული პირობების გამო, რაც გამოიხატება მოსახლეობის ეროვნულ სიჭრელეში, მის კულტურულ ჩამორჩენილობაში და სხვ. მაგრამ ლენინიზმის ლამპარით ხელში, აღჭურვილი პარტიის სწორი დირექტივებით, რომლებიც თქვენ უნდა გაატაროთ გადაუხრელად, ჩვენი რესპუბლიკების ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის და მთელ ჩვენი ყოფა-ცხოვრების შესწავლით, რაშიც თქვენ დაგეხმარებათ მარქსიზმ-ლენინიზმის უბადლო იარაღი — ყოველივე ამით თქვენ შესძლებთ თქვენი მოვალეობის შესრულებას. და ამით თქვენ შეასრულებთ ლენინისა და ბაქოს კომუნარების დიდ ანდერძს.

ა.-კ. უნივერსიტეტის კომუჯრედის ბიურო გილოცავთ კურსის დასრულებას, სამუშაო ასპარეზზე გამოსვლას და გისურვებს ნაყოფიერ მუშაობას მშრომელთა საკეთილდღეოდ. სოფლად თქვენ გელისთ გლეხობა და ქალაქად დაზგის მუშები, რომელთაც უნდა მოახმაროთ 4 წლის განმავლობაში უნივერსიტეტში მიღებული ურყევი მარქსისტულ-ლენინისტური ცოდნა. იყავი თავდადებული, მტკიცე დამცველნი და გამტარებელნი პროლეტარული დიქტატურისა.

ა.-კ. კომუნივერსიტეტის კომუჯრედის ბიურო.

მომზადებულ მუშაკების კიდევ ერთი კადრი

ა.-კ. მუშებს და გლეხებს, ემატება ახალი კადრი მომზადებული მუშაკებისა ა.-კ. 26 კომუნარის სახელობის უნივერსიტეტის მეორე გამოშვების კურს დამთავრებულ სტუდენტების სახით, რომლებიც ოთხი წლის განმავლობაში სწავლობდენ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიასა და პრაქტიკას. ეს ცოდნა მათ უნდა გადაიტანონ მშრომელ მასებში, მოახმარონ ამ მასებს მათი კულტურულ-ეკონომიური განვითარებისათვის.

მართალია კურს დამთავრებულ ამხანაგები ბევრნი არ არიან, მაგრამ მათ აქვთ საკმაო მომზადება, რომ შეასრულონ ლენინელის მოვალეობა მშრომელთა წინაშე.

1927—28 სამოსწავლო წლის უნივერსიტეტი უშვებს 79 კურს დამთავრებულთ. პარტ-სტაჟის მიხედვით ისინი ნაწილდებიან შემდეგნაირად:

1917 წ.—1, 1918 წ.—4, 1919 წ.—10, 1920 წ.—14, 1921 წ.—5, 1923 წ.—2, 1924 წ.—6, 1925 წ.—1, 1926 წ.—7, 1927 წ.—8, სულ 68 ამხ.

პარტიის წევრობის კანდიდატები: 1925 წ.—1, 1926 წ.—5, 1927 წ.—3, სულ 9 ამხ.

ა. ლ. კ. კ. წევრი — 2.

სოციალურ მდგომარეობით კურს დამთავრებულები განაწილდებიან ამნაირად: მუშები — 32, გლეხები — 24, მოსამსახურე — 23.

ხსენებული ამხანაგები არიან განაწილებულნი ა.-კ. მასშტაბით პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანოებში სამუშაოდ. მოკლე ხნის შვებულების შემდეგ ისინი შეუდგებიან თავიანთი მოვალეობის შესრულებას.

უსურვოთ ნაყოფიერი მუშაობა მუშაკების ამ ახალ კადრს.

გ. გაბისონია.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

გადამწყვეტი მომენტი ჩინეთში.—პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობა და ლონდონის ანტისაბჭოთა პოლიტიკა.—საბჭოთა ნავთი ინგლისში.—საფრანგეთის სასამართლოს „საჩუქარი“ თეთრგვარდიელთა ემიგრაციას.—„მუდმივი მშვიდობიანობის“ პროექტის გარშემო. — ისტორიული თარიღი სპარსეთის ისტორიაში

ჩინეთის ახლანდელ მდგომარეობაში აღსანიშნავია რამდენიმე მთავარი მომენტი. პირველ ყოვლისა, საყურადღებოა, რომ სამხრეთელები ენერგიულ შეტევას ანვითარებენ ჩრდილოელების წინააღმდეგ. ეს იმ დროს, როცა მათ ზურგს უკან (შანდუნში) იმყოფება იაპონიის საოკუპაციო ჯარი, რომელსაც შეუძლია პეკინზე შემტევი არმიები მოსწყვიტოს თავის ბაზას და ამით სრული განადგურება განუმზადოს მათ. ასეთ პირობებში უნდა ვიგულისხმოთ, რომ იაპონია იძულებული გახდა დათანხმებულიყო სამხრეთელთა ლაშქრობაზე პეკინის წინააღმდეგ. შიში ისედაც ძლიერი ანტი-იაპონურ მოძრაობისა და საერთაშორისო ურთიერთობათა გართულებისა, რასაც უეჭველად გამოიწვევდა იაპონელების აქტიური და აშკარა ჩარევა ჩინეთის ორი ბანაკის ბრძოლაში, აგრეთვე მოსაზრება, რომ ასეთი დათმობის გზით იაპონია თავის სასარგებლოდ გადაჰქრის ძინანის ინცინდენტს, — აი რა უდევს საფუძვლად ტოკიოს მთავრობის პოზიციას ამ შემთხვევაში.

ასეა თუ ისე, სამხრეთელები წინ მიიწევენ და დაუახლოვდნენ პეკინს. ანგოლიზიუნის (ჩრდილოეთელების არმია) მეთაურებს გადაუწყვეტიათ ტიანძინისა და პეკინთან მოწინააღმდეგეთ გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართონ. მაგრამ ჩან-ძო-ლინის სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობა იმდენად შერყეულია, რომ მეტად საეჭვოა ის რამეს გახდეს. ჩან-ძო-ლინი იძულებული შეიქმნება დასტოვოს პეკინი და კვლავ მანჯურიაში ჩაიკეტოს, თუ იაპონიამ ამას ხელი არ შეუშალა უკანასკნელ მომენტში, ან თუ პეკინზე შემტევ ჯგუფთა შორის განხეთქილება არ მოხდა, როგორც ვიცით, პეკინის წინააღმდეგ სხვადასხვა მიმართულებით მიდიან ჯარები ნანკინის, ფინიუსანის და ენსიშანისა, რომელთა შორის დამყარებულია სამხედრო კონტაქტი, მაგრამ სრული პოლიტიკური თანხმობა ჯერ კიდევ არ უნდა არსებობდეს, თვითეული მათგანი ცდილობს პეკინში პირველად შეიჭრას, რომ ამით ხელმძღვანელი როლი მოიპოვოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რაც შეეხება იაპონიას, მას, როგორც ვსთქვით, თითქო გადაუწყვეტია ხელი არ შეუშალოს სამხრეთელების შესვლას პეკინში. ამასთან, იაპონია სამხრეთელებს საშუალებას არ მისცემს მანჯურიაში შეიჭრან, რადგან ამ მხარეს ის თავის უდავო სამფლობელოდ სთვლის.

მეორე მომენტი, რომელზედაც ჩვენ გვინდა შევჩერდეთ, ესაა ნანკინის მთავრობის მიმართვა ერთა ლიგისადმი იაპონიის მიერ შანდუნის ოკუპაციის გამო. თუ ერთა ლიგას ფორმალური საბაბით შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებია ეს მიმართვა, რამდენადაც ნანკინის მთავრობა ლიგის წევრი არ არის, ეხლა ეს საბაბიც მოისპო: პეკინის მთავრობამ, რომელიც ამ ორგანიზაციის წევრია, მხარი დაუჭირა ნანკინის პროტესტს ლიგის წინაშე, რომ ამით გაეთამაშა ჩინეთის ნაციონალური ინტერესების დამცველის როლი და ამავე დროს მიეღწია ნანკინთან მორიგებისათვის, რის შესახებ მას წინადადება მისცა. ეს წინადადება უარყოფილ იქნა, მაგრამ პეკინის მიმართვა ერთა ლიგისადმი ძალაში რჩება. ერთა ლიგა „უხერხულ“ მდგომარეობაშია ჩაგარდნილი: ხმა გაიღოს იაპონიის ოკუპაციის შესახებ, რის გამო ერთა ლიგაში ჩინეთისაგან საჩივარია შემოსული, — ეს იქნება მისი არარაობის გამომჟღავნება; დასტოვოს ჩინეთის პროტესტი განუხილველად, — ამ შემთხვევაშიაც მისი პრესტიჟი დაეცემა და გამოჩნდება, რომ ის იმპერიალისტების ინტერესებს ემსახურება და არა მშვიდობიანობის და დაჩაგრულ ხალხთა უფლებების დაცვის საქმეს. ვინაიდან ერთა ლიგა არ გაბედავს იაპონიის ინტერვენციის დაგმობას, ჩინეთის ახლანდელ ამბებზე ერთხელ კიდევ ფარდა ეხდება ერთა ლიგის ნამდვილ ბუნებას.

მესამე მომენტი, რომელიც საჭიროა აღინიშნოს, ესაა იმპერიალისტური ქვეყნების დამოკიდებულება იაპონიის ოკუპაციისადმი ნანკინის მთავრობამ ჩრდ. ამერიკას მიმართა თხოვნით იკისროს შუამავლობა ნანკინსა და იაპონიას შორის მომხდარ კონფლიქტის მოგვარების საქმეში. ამით ძლიერდება ამერიკის გავლენა ჩინეთში. ჩრ. ამერიკა დაინტერესებულია თავის მოქიშპე იაპონიის პოზიციების შერყევაში და ამ მხრივ ის ეყრდნობა ჩინეთის ბურჟუაზიას. ის „თანაგრძნობით“ ეკიდება ნანკინს; მას განზრახვა აქვს ცნოს ნანკინის მთავრობა, თუ ის პეკინს დაეუფლება. აშკარაა, რომ ვაშინგტონის გამოსვლას ნანკინის მხარეზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება; იაპონიის მთავრობა იძულებული გახდება მას ანგარიში გაუწიოს და თავისი მადა ჩინეთის მიმართ შეამციროს. ეს მით უმეტეს, რომ საფრანგეთის მმართველი წრეები, თუმცა საფრანგეთის იმპერიალიზმის ინტერესები ჩინეთში არ ეწინააღმდეგება იაპონიის ინტერესებს. ვაშინგტონთან სხვადასხვა საკითხში (ვალები, დაუესის გეგმა) შეთანხმების მიღწევის მიზნით, ილაშქრებენ იაპონიის პოლიტიკის წინააღმდეგ ჩინეთში და ამით ზურგს უმაგრებენ ჩრ. ამერიკას. მაგრამ ამერიკის როლის გაძლიერება ჩინეთში გაამწვავებს მის ურთიერთობას იაპონიასა და ინგლისთან, რომელთა ხარჯზე ეს გაძლიერება მოხდება.

ამგვარად, მდგომარეობა ჩინეთში ძალზე დახლართულია. კრიზისი მომწიფებულია და უახლოეს მომავალში უნდა მოველოდეთ, როგორც ჩინეთის მებრძოლ ძალთა ბედის გადაწყვეტას, ისე დაინტერესებულ იმპერიალისტურ ქვეყნების მხრით უფრო გარკვეულ ნაბიჯების გადადგმას.

⁂

უშედეგოდ დამთავრდა პოლონეთ-ლიტვის კომისიის სხდომები, რომლებიც კოვნოში მიმდინარეობდა. ამ კომისიას, უმთავრესად დავალებული ჰქონდა პოლონეთ-ლიტვის შორის ურთიერთ თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების საკითხის განხილვა. ასეთ ხელშეკრულების დადების წინადადება წამოაყენა პოლონეთის მთავრობამ, რომელსაც ამით სურდა დაემტკიცებია, თითქო ის მშვიდობიანობის საქმეს ემსახურება და კერძოდ არავითარ აგრესიულ ზრახვებს არ ატარებს ლიტვის მიმართ.

ნამდვილად კი პოლონელ იმპერიალისტების ამ „სამშვიდობო“ ჟესტის მიზანი იყო პირველ ყოვლისა ვილნოს ოლქის დაპყრობის დაკანონება, მართლაც, პოლონეთის მიერ წარმოდგენილი თავდაუსხმელობის ხელშეკრულების პროექტი ისეა შედგენილი, რომ ის ფარულად გულისხმობს იმ დებულებას, ვითომ ვილნო პოლონეთის საკუთრებას შეადგენს. ლიტვის მხრით ამ პროექტზე დათანხმება იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ ის ოფიციალურად ხელს იღებს ვილნოზე პოლონეთის სასარგებლოდ. მაგრამ ლიტვის მთავრობა ვერ ურიგდება ვილნოს დაკარგვას და ამ ტერიტორიის დაბრუნება შეადგენს მის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს საგანს.

ამიტომ, ლიტვის დელეგაციამ გადაჭრით უარყო პოლონეთის ხსენებული პროექტი და კოვნოს კომისიის მუშაობაც შეწყდა ისე, რომ ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა მხარეთა დასაახლოებლად.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ, როგორც „ბერლინერ ტაგებლატ“ იუწყება, კოვნოში გამართულ მოლაპარაკების დამარცხებაში აგრეთვე ითამაშა როლი პოლონეთის თავმჯდომარის გოლუვკოს გამოსვლამ. გოლუვკოს განცხადებით, პოლონეთს განზრახვა აქვს შექმნას ბალტიის სახელმწიფოების ბლოკი, რომელმაც უნდა ითამაშოს ბარიერის როლი გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის. გოლუვკომ ამასთან გაილაშქრა საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის დადებულ რაპალოს და გერმანიის ხელშეკრულებათა წინააღმდეგ, რომელნიც თითქო საფრთხეს უმზადებს პოლონეთის არსებობას. მისი აზრით, ხსენებული ბლოკი კერძოდ საჭიროა პოლონეთისა და ბალტიის ქვეყნების დასაცავად... საბჭოთა კავშირის თავდასხმისაგან! ამიტომ, დამოუკიდებელი ლიტვის არსებობა და მასთან შეთანხმება პოლონეთისათვის აუცილებელია — ასე დაასაბუთა გოლუვკომ პოლონეთის „მეგობრული“ განწყობილება ლიტვისადმი. ეს გაუგონარი პროვოკაციული გამოსვლა პოლონეთის ოფიციალურ წარმომადგენლისა საზგასასმელია. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საბჭოთა კავშირი არავის ემუქრება და ცდილობს ყველასთან მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყაროს. სამაგიეროდ ჩვენ ვიცით, რომ, მაგ. პოლონეთი მტრულ პოლიტიკას აწარმოებს საბჭოთა კავშირის მიმართ.

მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ის გარემოება, რომ ლიტვის ხელმძღვანელთ თითქო ესმით, რომ გოლუვკოს მიერ წამოყენებულ კომბინაციებში ჩაბმა და ამ გზით ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნების ცდა მეტად სახიფათოა ლიტვისათვის: ამას მოყვება ლიტვის დამონება პოლონეთის მიერ და მისი ჩათრევა დამღუპველ ავანტიურაში.

საყურადღებოა, რომ ვოლდემარასი (ლიტვის გარეშე საქმეთა მინისტრი) მიემგზავრება ლონდონში ინგლისის მთავრობის მოწვევით. აშკარაა, რომ ჩემბერლენის მიზანია ლიტვის მთავრობის დაყოლიება პოლონეთთან შეთანხმებაზე და ბალტიის სახელმწიფოთა ანტისაბჭოთა ბლოკში მონაწილეობაზე. ამავე დროს ჩემბერლენს სურს აგრძნობინოს პოლონეთის მესვეურთ, რომ ლონდონის დაუხმარებლად პოლონეთი ვერ შესძლებს თავისი საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებას, კერძოდ ლიტვის მოქცევას თავის გავლენის ქვეშ. ამით ლონდონი ცდილობს პოლონეთი უფრო დაუქვემდებაროს თავის პოლიტიკას.

აღსანიშნავია ის ცნობაც, რომ ბრიტანეთის ფლოტი ივნისში ეწვევა ბალტიის ზღვას, სხვათა შორის, ლიტვასაც. გარდა იმისა, რომ ამ მანევრის მიზანია ბალტიის ზღვის შესწავლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მომავალი ბრძოლისათვის, ინგლისს თავისი სამხედრო ძლიერების დემონსტრაციით სურს გავლენა მოახდინოს ბალტიის სახელმწიფოებზე ანტისაბჭოთა ფრონტის შესაქმნელად. მაგრამ ასეთი ცდები წარსულში ყოველთვის მარცხით თავდებოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ლონდონს მომავალშიაც გაუძნელდება თავის ანტისაბჭოთა გეგმების განხორციელება. ამის თავდებია იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ურთიერთ წინააღმდეგობა, ბალტიის ზოგიერთ მმართველ წრეების (რომ არ ვილაპარაკოთ საქმიან ჯგუფებსა და მასებზე) შეგნება, რომ საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის განმტკიცება აუცილებელი პირობაა ამ ქვეყნების დამოუკიდებელ არსებობისა და განვითარებისათვის, საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა და სხვა ფაქტორები. მაგრამ როგორადაც არ უნდა იყოს, ინგლისის მეთაურობით გრძელდება ანტისაბჭოთა კამპანია, რასაც საბჭოთა კავშირის მშრომელები სათანადო ანგარიშს გაუწევენ.

⁂

ინგლისის იმპერიალისტები ჩვენს წინააღმდეგ ცდილობენ მოაწყონ არა მარტო პოლიტიკურ-სამხედრო კომბინაციები, — ისინი არაფერს ზოგავენ საბჭოთა კავშირის ეკონომიური გარიყვისათვისაც. ამ მხრივ დეტერდინგი იჩენს განსაკუთრებულ ენერგიას. კერძოდ საბჭოთა ნავთი არ აძლევს მას მოსვენებას.

ჩვენს ნავთს დიდი პარტიობით იძენს ამერიკულ სანავთო. ტრესტი „სტანდარტ ოილ“, რომლის საშუალებით ის საშიშ კონკურენციას უწევს ნავთის მსოფლიო ბაზარზე დეტერდინგის „როიალ დეტჩ“-ს. დეტერდინგი „მორალისტის“ სამოსელში გამოეხვია და „ნაქურდალი“ საბჭოთა ნავთის შესყიდვა უზნეო საქციელად გამოაცხადა. როცა ამ ფანდმა ვერ გასჭრა, ის ბოლო დროს ცდილობს შეუთანხმდეს „სტანდარტ ოილს“, რომ საერთოთ აწარმოონ საბჭოთა ნავთის ოპერაციები, რათა მოგების წილი მასაც შეხვდეს. მაგრამ ამაზეც უარს ეუბნებიან.

უფრო საგულისხმო ის არის, რომ ჩვენ უშუალოთ გვაქვს ნავთი ევროპა-აზიის ბაზრებზე და იქ მტკიცედ ვიკიდებთ ფეხს, ხოლო „როიალ დეტჩ“ ბევრ ადგილას იძულებულია დასთმოს თავისი პოზიციები. კიდევ მეტი: საბჭოთა ნავთი შეიჭრა თვით ინგლისშიაც. გარდა კერძო მომხმარებლისა, რომელიც ეტანება ჩვენ ნავთს, ინგლისის მთელი რიგი მუნიციპალური დაწესებულებები და სხვა სამეურნეო ორგანიზაციები საბჭოთა ნავთს იძენენ, იმიტომ რომ ჩვენი ნავთი შედარებით უფრო კარგი ხარისხისაა და იაფიცაა, ვინემ „როიალ დეტჩ“-ის პროდუქცია.

ამან დეტერდინგი მოთმინებიდან გამოიყვანა. მისი ზეგავლენით ინგლისის ზოგიერთმა მუნიციპალიტეტებმა (ბიგტოუნის, პულის, სოუტ პორტის) დაადგინეს, რომ ნავთის პროდუქტებით მოვაჭრე წამოწყებათა გახსნის ნებართვა მათი რაიონების ფარგლებში შეუძლიათ მიიღონ მხოლოდ იმათ, ვინც პირობას დასდებს, რომ არ ივაჭრებს საბჭოთა ნავთის პროდუქტებით. თვით ინგლისელ იურისტების აზრით ეს სრულიად უკანონო დადგენილებაა, ინგლისში არსებულ „თავისუფალ ვაჭრობის“ თვალსაზრისით. აშკარაა, რომ ეკონომიურ კონკურენციაში ჩვენ ვამარცხებთ დეტერდინგს და ის ეხლა ადმინისტრატიული ღონისძიებებით ცდილობს თავის მდგომარეობის განმტკიცებას, მაგრამ ამით ილახება ინგლისის მომხმარებელთა ინტერესები, რომელნიც მათ მოსალოდნელია არ დასთმობენ დეტერდინგის ჯიბის ინტერესებისათვის.

თითქო არ ღირდა ამ „პატარა“ ფაქტზე შეჩერება, რომ ის იყოს დამახასიათებელი ერთი მხრით იმ ბრძოლის მეთოდების, რომლებსაც კაპიტალისტები ჩვენს წინააღმდეგ აწარმოებენ, მეორე მხრით საბჭოთა კავშირის ეკონომიური ზრდის, რომელიც ბურჟუაზიულ მსოფლიოს სულიერ წონასწორობას უკარგავს.

⁂

საფრანგეთის მთავრობა უკანასკნელ ნახევარ წლის განმავლობაში აქტიურ ანტისაბჭოთა პოლიტიკას აწარმოებს საკმარისია გავიხსენოთ, თუ გინდ ბანკ დე ფრანს-ის გაუგონარი პრეტენზია საბჭოთა ოქროზე, საპარლამენტო არჩევნებში რეაქციის გამარჯვების შემდეგ მოსალოდნელია, რომ პუანკარე ამ მხრივ გააძლიერებს აქტივობას. ამის დამადასტურებელ საბუთს იძლევა, მაგ. სენის სამოსამართლო პალატის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად მეფის მთავრობის მიერ პარიზსა და ბიარიცში აშენებული ეკლესიები გადაეცა რუს თეთრგვარდიელ ემიგრაციას.

ეს ვითომდა წვრილმანი ფაქტია, მაგრამ დიდ მნიშვნელობის მქონე საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის თვალსაზრისით. ქონება, რომელიც გადაეცა თეთრგვარდიელთა „მეველს“ საბჭოთა კავშირის უდავო საკუთრებას შეადგენს, და მხოლოდ მას აქვს უფლება ამ ქონებას მოეპყრას ისე, როგორც თვითონ საჭიროდ დაინახავს. საფრანგეთის სასამართლო კი, რომელიც უეჭველად მოქმედებდა პუანკარეს ხელისუფლების დასტურით, სრულიად უკანონოდ არღვევს ჩვენს ამ უფლებას და საბჭოთა ქონებას სთავაზობს საბჭოთა კავშირის უბოროტეს მტრებს. ესაა საფრანგეთის მთავრობის მორიგი მტრული აქტი მუშურ-გლეხურ რესპუბლიკის მიმართ.

საქმე მარტო ხსენებულ ქონებაში არ არის. სენის სასამართლოს დადგენილება ქმნის პრეცედენტს საერთოთ საბჭოთა ქონების მიტაცებლობისათვის. ამის მსურველი კი, რა თქმა უნდა, ბევრი აღმოჩნდება, როგორც კონტრრევოლიუციონურ ემიგრაციისა, ისე კაპიტალისტებსა და მათ, მთავრობებს შორის. ამით საფრთხე იქმნება საფრანგეთ-საბჭოთა სამეურნეო დამოკიდებულებისათვის, ვინაიდან რა გარანტია არსებობს, რომ საბჭოთა ქონების მოყვარულნი არ წაეპოტინებიან ამ ურთიერთობის შედეგად საფრანგეთში მოხვედრილ ამა თუ იმ ქონებას და რომ საფრანგეთის სასამართლო მათ მიმართ ჩვენს ხარჯზე ისეთივე გულუხვილობას არ გამოიჩენს, როგორც ამ შემთხვევაში.

ჩვენმა წარმომადგენლობამ პროტესტით მიმართა საფრანგეთის მთავრობას სენის სასამართლოს დადგენილების გამო. პუანკარე-ბრიანის არ შეუძლიათ თავის მართლება იმაზე მითითებით, თითქო სასამართლო საფრანგეთში დამოუკიდებელი იყოს, — ჩვენ ვიცით ამ დამოუკიდებლობის ფასი.

საფრანგეთის მთავრობის ანტისაბჭოთა პოლიტიკა დიდ ზიანს აყენებს თვით საფრანგეთის ეკონომიურ და საერთაშორისო ინტერესებს. მაგრამ პუანკარისტები, დაბრმავებულნი სიძულვილით საბჭოთა კავშირისადმი, ამას არ დაგიდევენ. საბჭოთა მთავრობა აქედან შესაფერ დასკვნებს გააკეთებს.

⁂

კელოგის წინადადებამ „მუდმივი მშვიდობიანობის“ ხელშეკრულების დადების შესახებ, რომლის გარშემო ჯერაც არ შეწყვეტილა ლაპარაკი, ყოველ შემთხვევაში ერთი „დადებითი“ შედეგი გამოიღო. რა თქმა უნდა, ვაშინგტონის მთავრობის მიზანი, როცა ის ამ წინადადებას აყენებდა, იყო, ჯერ ერთი, მშვიდობიანობის მოყვარულის როლის გათამაშება და, მეორე, რაც უმთავრესია, ერთა ლიგისათვის საფუძვლის გამოთხრა და ევროპის სახელმწიფოების მოქცევა თავის გავლენის ქვეშ. ხსენებული შედეგი კი იმაში მდგომარეობს, რომ ერთხელ კიდევ საჯაროთ გამოაშკარავდა იმპერიალისტების პაციფიზმის ნამდვილი ბუნება და მათი მზადება ომისათვის.

თუმცა სამშვიდობო ხელშეკრულებებს იმპერიალისტებისათვის არსებითად არავითარი ძალა არა აქვთ, ისინი როცა თავისთავად საჭიროდ და შესაძლებლად დაინახავენ, ქაღალდის უბრალო ნაფლეთად აქცევენ ამ ხელშეკრულებებს და იარაღით ხელში ეძგერებიან თავიანთ მოწინააღმდეგეებს, — მაგრამ ასეთი ხელშეკრულებათა დადების აზრმაც დააფრთხო ისინი. ჩვენ ვიცით, რომ საფრანგეთმა ისეთი შენიშვნები დაურთო „მუდმივი მშვიდობიანობის“ პროექტს, რომლებიც მას სრულ საშუალებას აძლევენ ყოველ მომენტში გამოაცხადოს „კანონიერი“ ომი. დღეს ჩვენ გვაქვს ლონდონის მთავრობის და მუსოლინის პასუხი კელოგის წინადადებაზე. ეს პასუხი არაფრით განსხვავდება საფრანგეთის თვალსაზრისისაგან. ლონდონი „პრინციპიალურად“ იწონებს „ომის აკრძალვას“, მაგრამ უფლებას იტოვებს დრედნოუტები აამეტყველოს სუსტ ხალხთა დამონებაზე აგებულ და უკვე არსებულ ხელშეკრულებათა დასაცავად. ამგვარად „მუდმივ მშვიდობიანობაზე“ იმპერიალისტების ლაყბობის თვალთმაქცობას ფარდა ახადა კელოგის წინადადების გარშემო გამართულმა დისკუსიამ.

⁂

განვლილი ათი მაისი ღირსშესანიშნავ თარიღად დარჩება სპარსეთის ისტორიაში. ამ დღეს საბოლოოდ გაუქმებულ იქნა კაპიტულიაციების რეჟიმი. ეს რეჟიმი იმაში მდგომარეობდა, რომ უცხოელი მოქალაქენი არ ექვემდებარებოდენ ადგილობრივ სასამართლოს. მათი გასამართლების უფლება მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ სათანადო უცხოელ სახელმწიფოთა კონსულებს. გასაგებია, რომ ეს კონსულები ამ უფლებას იყენებდენ უცხოელ მოქალაქეთა ცალმხრივად დაცვისათვის და სპარსეთის უფლება-ინტერესების შესაბღალავად. ამავე დროს კაპიტულიაციები გულისხმობდენ უცხოელ მოქალაქეთა და მათი წარმოებების დაუმორჩილებლობას სპარსეთის საგადასახადო რეჟიმისადმი და მათთვის ქმნიდენ სხვადასხვა შეღავათებს. კაპიტულიაციების რეჟიმი იმპერიალისტების მიერ სპარსეთის დამონების საშუალება და გამოხატულება იყო.

ოქტომბრის რევოლიუციამ სპარსეთშიაც გამოაცოცხლა განმანთავისუფლებელი მოძრაობა. ამასთან, საბჭოთა მთავრობამ პირველმა გააუქმა დამმონებელი ხელშეკრულებები, რომელიც მეფის მთავრობას მოხვეული ჰქონდა სპარსეთისათვის. ამის გავლენით სპარსეთმა იწყო ბრძოლა იმპერიალისტურ სახელმწიფოების მიერ დაწესებულ კაპიტულიაციების რეჟიმის მოსასპობად. ის, რა თქმა უნდა, ამ მხრივ სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. მაგ., ინგლისის მთავრობამ 1918 წ. აცნობა სპარსეთს, რომ ამ რეჟიმის გაუქმება უდრის ომის გამოცხადებას ინგლისისათვის. სპარსეთის მთავრობა იძულებული შეიქნა დროებით გადაედო თავის მიზნის განხორციელება. ამასობაში სპარსეთი თანდათან მოღონიერდა და გასული წლის ათ მაისს სპარსეთის მთავრობამ ნოტით მიმართა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს კაპიტულიაციების რეჟიმის გაუქმების შესახებ. ნოტაში აღნიშნული იყო, რომ ამ სახელმწიფოებმა ერთი წლის განმავლობაში უნდა დასდონ ახალი, ურთიერთ თანასწორობის აღიარებაზე დამყარებული ხელშეკრულებები სპარსეთთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ძველი ხელშეკრულებები დაკარგავენ ძალას.

იმპერიალისტები ყოველნაირად ცდილობდენ წინანდელი გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებას სპარსეთში, მაგრამ ამაოდ. დღეს უკვე ფაქტია კაპიტულიაციების რეჟიმის მოსპობა. იმპერიალისტური ქვეყნები იძულებული გახდენ დაედვათ ახალი ხელშეკრულებები სპარსეთთან, როგორც სუვერენულ სახელმწიფოსთან.

აღსანიშნავია, რომ ამის გამო თეირანში გამართულ ბანკეტს არც ერთი უცხოელი წარმომადგენელი არ დაესწრო, გარდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებისა. ეს იყო აშკარად მტრული დემონსტრაცია სპარსეთის მიმართ. ბანკეტზე დახასიათებულ იქნა საბჭოთა კავშირის უდიდესი როლი სპარსეთის განთავისუფლების საქმეში. ამავე დროს სპარსეთის მთავრობამ თავის სპეციალურ მიმართვაში საბჭოთა ელჩისადმი მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობას, რომელმაც პირველმა ნებაყოფლობით უარყო დამმონებელი ხელშეკრულებები სპარსეთთან.

სპარსეთი მტკიცედ განაგრძობს ბრძოლას თავისი სრული განთავისუფლებისათვის იმპერიალიზმის უღლისაგან. სპარსეთის მესვეურებს ამასთან შეგნებული აქვთ, რომ ამ გზაზე სპარსეთს საიმედო მოკავშირე და დამხმარე ჰყავს საბჭოთა კავშირის სახით. ამიტომაც მტკიცდება სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, მიუხედავად იმპერიალისტების ყოველგვარი ოინებისა, რომელთა მიზანია ამ ქვეყნებ შორის უნდობლობისა და მტრობის ჩამოგდება.

გ. კ—ლი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

როდის დასრულდება ეს საქმე

> „ჩვენ თავის სიღრმეში გვითრევს ქაღალდების წერის, დეკრეტებზე ლაპარაკის, დეკრეტების წერის აშმორებული ბიუროკრატიული ჭაობი და ამ ქაღალდებში იღრჩობა ცოცხალი საქმე.
>
> ლენინი: წერილი ციურუპას.

ალ. საქ. ყოფილი ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებაში 1925 წ. 23 სექტემბერს ერთ-ერთმა აგრონომმა აღძრა სამოქალაქო საქმე. აღნიშნული საქმე სხვადასხვა დროს განხილული იყო 12-ჯერ და იმდენჯერვე გადაიდო. საქმეში მოპასუხეებათ გამოძახებულნი არიან ქ. გორის მცხოვრები გლეხები, ძმები ქ-ნი.

პირველ ოთხ სხდომაზე მოპასუხეები შეუძლობის გამო ვერ გამოცხადდენ სასამართლოში, ხოლო მაძიებელი ყოველთვის ცხადდება თავის დამცველით, რომელიც მას სასამართლომ დაუნიშნა, რადგან მას ჰქონდა განათლების კავშირიდან ცნობა უმუშევრობის შესახებ. ეს იყო 1925 წელში, და ეს მოდავე აგრონომი დღესაც „უმუშევარია". და მე მგონია მუდმივ „უმუშევარი" იქნება. მას დღემდის უსათუოდ უნდა ეშოვნა სამსახური, როგორც აგრონომს. ჩვენ ამჟამად ასეთი სპეცები ყოველ ნაბიჯზე გვესაჭიროება.

სასამართლო მოპასუხეების დაუსწრებლად ყადაღას ადებს იმ ნაგებობას, რომელიც მოპასუხეებმა დაიწყეს გორის მაზრის აღმასკომის ნებართვით და ამავე აღმასკომის კომუნგანყოფილებიდან ნაყიდი მასალით.

თურმე ოდესღაც ეს მასალა მასწავლებელ-აგრონომის საკუთრებას წარმოადგენდა და სამაზრო აღმასკომმა ის მუნიციპალიზაციის წესით ჩამოართვა მას.

მოპასუხეებს შენობის დამთავრების უფლება დღესაც აკრძალული აქვთ.

იგრძნეს რა მოპასუხეებმა, რომ მოწინაამდეგე მხარე „ძლიერია", რადგან მას თან ახლავს სახელმწიფო დამცველი, ტყავი გაიძვრეს ისედაც ღატაკ გლეხებმა და დაიქირავეს ვექილი ფასით. მე-13-ე სხდომაზე სასამართლოს გამოაქვს განაჩენი. მოპასუხეებს დაეკისრათ მაძიებლის სასარგებლოდ სახლის ქირის სახით 68 მანეთის გადახდა.

რა თქმა უნდა, ასეთ გადაწყვეტილებით ფუფუნებაში აღზრდილი და დიდი მოთხოვნილების პატრონი მასწავლებელ-აგრონომი არ კმაყოფილდება.

მას საქმე გადააქვს უზენაეს სასამართლოში. უზ. სასამართლოს საკასაციო განყოფილება აუქმებს ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილებას და საქმე ხელახლად განსახილველად უბრუნდება იმავე სასამართლოს.

სამი-ოთხი სხდომის შემდეგ ოლქის სასამართლოს ხელმეორედ გამოაქვს გადაწყვეტილება, მოპასუხეებს აკისრებს მაძიებლის სასარგებლოდ ბინის ქირის სახით 660 მანეთის გადახდას და დანარჩენ ძიების ნაწილზე, მაძიებელს უარს ეუბნება.

მოპასუხეები არ კმაყოფილდებიან ასეთი გადაწყვეტილებით, რადგან მათ არ შეუძლიათ ასეთი თანხის გადახდა. საქმე გადადის კასაციის წესით ისევ უზენაეს სასამართლოში.

უზენაესი სასამართლო ამტკიცებს საოლქო სასამართლოს უკანასკნელ გადაწყვეტილებას.

გათამამებული მაძიებელი არ კმაყოფილდება ასეთი გადაწყვეტილებით და ასაჩივრებს მას ზედამხედველობის წესით უზენაეს სასამართლოს პლენუმში. უზენაეს სასამართლოს პლენუმი თავის ვრცელი დადგენილებით აუქმებს როგორც ოლქის სასამართლოს უკანასკნელ გადაწყვეტილებას, ისე უზენაეს სასამართლოს საკასაციო კოლეგიის დადგენილებას იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ზარალის ანაზღაურებას. ზარალი მაძიებელს მიაყენა მოპასუხეებმა შენობის დანგრევით. ნამდვილად კი ხანლის მასალა მოპასუხეებმა შეისყიდეს სამაღმასკომის კომუნალური განყოფილებისაგან, რაც მტკიცდება საქმეში ჩართული საბუთებიდან.

პლენუმი საბოლოოდ საქმეს აბრუნებს იმავე სასამართლოში სრულიად ახლად განსახილველად.

ამ დროს საქმეს უსწრებს ოლქის სასამართლოების რეორგანიზაცია და უზენაეს სასამართლოს სამოქ. საკასაციო სხდომებული თავის ამა წლის 3 იანვრის დადგენილებით საქმეს უგზავნის თბილისის მაზრის სახ. სასამართლოს განსახილველად. ამ უკანასკნელი დადგენილებით სავსებით დარღვეულია სამოქალაქო პროცესის ქვემდებარეობის საკითხი. მოპასუხეები სცხოვრობენ ქ. გორში. საქმე ყოველ მიზეზების გარეშე გადაცემული უნდა ყოფილიყო გორის მაზრის სახ. სასამართლოში. მაძიებელ აგრონომ-მასწავლებლისათვის ეს არ იქნებოდა ხელსაყრელი, რადგან ის მუდმივად თბილისში სცხოვრობს.

თბილისის მაზრის სასამართლომ ერთხელ განიხილა საქმე და სხვადასხვა მიზეზებისა და საბუთების წარმოუდგენლობის გამო, ის გადასდო სხვა დროისათვის.

რამოდენიმე ხნის შემდეგ თბილისის მაზრის სასამართლო საქმეს აგზავნის გორის უბნის სახ. სასამართლოში, გორის უბნის სახ. სასამართლო აღნიშნულ საქმეს უკანვე უბრუნებს თბილისის მაზრის სასამართლოს.

ამრიგად უკვე ორას ფურცლიანი საქმე თვალ და თვალ იზრდება და დადის დაუსრულებლივ სასამართლოდან სასამართლოში. არავინ იცის როდის დამთავრდება ეს საქმე. მხოლოდ ეს კია, რომ მაძიებელი აგრონომი არაფერს კარგავს, რადგან ის მუდმივად თბილისში ცხოვრობს და ჰყავს სახაზინო დამცველი, ხოლო მოპასუხეებს კი, როგორც მცირე შეძლების გლეხებს, „კუდამდის" ტყავი გასძვრებათ და ბოლოს შეუძლებლობის გამო თავს მიანებებენ საქმეს. ვნახოთ რას იტყვის ამის შესახებ იუსტიციის სახალხო კომისარიატი.

პავლე მელაძე.

ბედნიერი კაცი

დამნაშავეთა დასასჯელად მარტო გამასწორებელი სახლი არ არსებობს. არის გულკეთილი ხალხი, რომელიც არ ეთანხმება საბჭოთა გამასწორებელ პოლიტიკას და თავისი მეთოდებით იწყებს ბოროტმოქმედთა მკურნალობას. მაგალითად, თუ თანამდებობის პირმა ერთგან რაიმე დააშავა, მას დაპატიმრებისა და გამასწორებელ სახლში გაგზავნის მაგიერ, ბოდიშს უხდიან, ქათინაურებს ეუბნებიან და მეორე, უფრო თბილ ადგილას გზავნიან. ეფერებიან, თავზე ხელს უსვამენ, როგორც აზიზ ბავშს, თვალებში შესცქერიან, რომ არაფერი ეწყინოს და გული არ გაუფუჭდეს, ხოლო საქმის გაფუჭებას კი არავინ დაგიდევს.

ასეთი აზიზი ბავშის ბედი ეწია მოქალაქე ვანო დოლიძეს. ის პირველად განაგებდა მუშათა კოოპერატივის საწყობებს. მოგეხსენებათ, კოოპერატივი და ისიც კოოპერატივის საწყობი, ისეთი ადგილია, რომ თუ აქ მომუშავეს დაავიწყდა სიტყვა სინდისი და თავისი პასუხისმგებლობა, კბილის გასაკრავს ბევრს რამეს ნახავს. ერთხელვე გაფუჭებული კაცი ვეღარ მოიშლის თავის მავნე ჩვეულებას. ის მანამდი იმსუნაგებს, სანამ ხაფანგში არ მოხვდება. ასე მოუვიდა ვანო დოლიძესაც. დღე მუშკოოპის საწყობში იყო დოლიძე, საღამოობით კი თბილისის საუკეთესო რესტორანში ატარებდა დროს ძმა-ბიჭებთან. ცვრიანი მწვადები, ნაფარეული და ბენედიქტინები მუდამ ამშვენებდა ვანო დოლიძის სუფრას.

იქვე არავის ეპარებოდა იმაში, რომ ამ ვახშმებს, მიუხედავათ მათი საუკეთესო ნახელაობისა, ცუდი სუნი უდიოდა. ყველამ კარგათ იცოდა, რომ დოლიძეს არც მამეულ-პაპეული და არც საკუთარი არაფერი გააჩნდა იმისათვის, რომ ყოველ დღე სუკის მწვადებით ვახშმები გაემართა. ერთად-ერთი წყარო ამისათვის უთუოდ იყო მუშკოოპის საწყობი. ეს იცოდა დოლიძის თანამოქეიფეებმა, მაგრამ ყველა სდუმდა. სდუმდა თვით დოლიძეც, სანამ 838 მანეთი კოოპერატივის ფული არ მიახრამუნა.

ბოლოს, როცა დოლიძემ შეატყო, რომ საქმე უნდა გამომჟღავნებულიყო ადგა და განზრახ აწეწილ-დაწეწილი საბუთები წარადგინა ბუღალტერიაში, რომ ბოროტმოქმედების კვალი დაეფარა. დოლიძე მოხსნეს თანამდებობიდან, როგორც სუსტი მუშაკი.

მაგრამ გამოვიდა თუ არა ის მუშკოოპის საწყობიდან, „სისუსტე" ხელად გაუარა, მომჯობინდა, მილიონიერდა და ძმა-ბიჭების დახმარებით საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარეთ წამოსკუპდა. ასიც არჩევით და არა დანიშვნით.

მხოლოდ ამის შემდეგ გამოირკვა, რომ ვანო დოლიძეს გადასანსლული ჰქონია კოოპერატივის 838 მანეთი. მაგრამ ვანოს ახირებულად სიტყვა მაინც ვერავინ შეჰკადრა. ძმა-ბიჭები კარგათ იყვნენ და ძველი პურ-მარილის ძალა ყველგან გასჭრის, ასე ფიქრობს ბედნიერი კაცი, ვანო დოლიძე.

ნუ თუ ასევე ვიფიქროთ ჩვენც?

პროლეტარი.

„რთული" ამოცანა

ამბობენ, ქუთაისი საბოლოოდ გადაწვისაგან ბათომის ცეცხლის მქრობელ რაზმმა გადაარჩინაო. ეს იმიტომ, რომ ბათომის რაზმი თავის საუცხოვო მოწყობილობით ზოგიერთ სხვა რაზმებზე ადრე ჩამოვიდა ქუთაისში. შეიძლება ასეთი აზრი ბათომის სახანძრო რაზმზე გადამეტებული იყოს, მაგრამ ცხადია, რომ სინამდვილესთან ის ძალიან ახლოა და ამას ქუთაისის საშინელების არც ერთი მოწმე არ უარყოფს.

იბადება კითხვა, როგორი იქნებოდა ბათომის რაზმის მუშაობის შედეგი, რომ ის რამდენიმე საათით იმაზე ადრე ჩამოსულიყო ქუთაისში, ვიდრე ჩამოვიდა? ვფიქრობთ საკითხის ასე დასმა რეგვენობათ არ ჩამოგვერთმევა. არიან



თურმე ბუნებაში ისეთი არსებანი, რომელთაც არა თუ არ გაუკვირდებათ ასეთი კითხვის დასმა, არამედ მასზე პასუხის გაცემაც კი გაუძნელდებათ. და, როგორც გამოცდილებამ დაგვარწმუნა, მათი პასუხი გაცილებით უფრო განსაცვიფრებელი და არაჩვეულებრივი იქნება, ვიდრე თვით საკითხი. არიან ადამიანები, რომელნიც უკანა ჭკუით აზროვნებენ, როცა მათ წინაშე ისმება ასეთი რთული საკითხი, როგორიცაა სახანძრო რაზმის დაგვიანება, არ-დაგვიანება ქუთაისში.

მართალია ამ ამოცანას ბათომის ორთქმავალთა დეპოს უფროსის თანაშემწე ქელეხსაშვილს წიგნში არ წაწყდომია, მაგრამ თვით ცხოვრებამ დაუყენა იგი მას წინ. ის დაახლოებით ასე შეიძლება გამოვთქვათ: „მოვიდა ცნობა ქუთაისში დიდი ხანძრის შესახებ, სასწრაფოთ უნდა გაიგზავნოს მატარებელი ქუთაისის მისაშველებლად. დეპოში დგას ორი გამზადებული ორთქმავალი: ერთი სერია „ბ" სახალხო მატარებლის, სწრაფი, მეორე სერია „ოდ", საბარგო მატარებლის ორთქლმავალი, ახლად გამოსული საშუალო რემონტიდან, რომელიც ჯერ სათანადოთ გასინჯული არ არის, რომელიც ორ-ნახევარჯერ ჩამორჩება სიჩქარით პირველს, რომელიც ერთხელ უკვე იყო გაგზავნილი სასინჯათ ლიანდაგზე და გზაში დადგა. რომელი ორთქმავალი უნდა მიაბან ქუთაისში სასწრაფოთ გასაგზავნ მატარებელს?".

არა გვგონია, რომ ასეთი ამოცანის მიცემა არ ითაკილოს შრ. სკოლის პირველ საფეხურის მასწავლებელმა მოწაფეთათვის. მას სიცილს დააყრიან, გიჟათ მონათლავენ.

ბათომის დეპოს უფროსის თანაშემწე ქელეხსაშვილს კი არც სიცილის შერცხვა, არც გიჟათ მონათვლის. მან ასწონ-დასწონა საკითხი, გაითვალისწინა ყველა შესაძლებლობანი და გადასწყვიტა გაგზავნოს ქუთაისში სერია „ოდ"-ს ორთქლმავალი.

ბათომელ მეხანძრეთა მატარებელს არ გაუვლია ორი სადგური, რომ ის დადგა, როგორც დიაკვნის ჯორი და ფეხი ადგილიდან აღარ მოიცვალა. მაშინვე აცნობეს ბათომს, მოითხოვეს დამხმარე ორთქლმავალი. საათობით უცადეს მას და მხოლოდ ამის შემდეგ გასწიეს ქუთაისისაკენ.

ამასობაში ცეცხლის სტიქია თავისას შვრებოდა. თავზარდაცემული ქუთაისლები კი მოუთმენლად ელოდნენ დახმარებას. ვინ იცის რამდენი სახლი და სიმდიდრე შთანთქა ცეცხლის ალმა იმის გამო, რომ ქელეხსაშვილმა ასე ბრძნულად გადასჭრა რთული ამოცანა ორთქლმავლების შესახებ. და ამ კაცს აბარია ასეთი საპასუხისმგებლო საქმე, ვეებერთელა მეურნეობა, როგორიცაა ორთქმავალთა ბათომის საყოდი.

მაჟურეგელი.

ტყის მცველი-ტყის მჭამელი

ა. ბიჭიკაშვილს გვარიც ზედ გამოჭრილი აქვს. ქვიშხეთის თემში მას ბიჭობაში ვერავინ აჯობებს. მაგრამ ბიჭობაც არის და ბიჭობაც. ბიჭიკაშვილის ბიჭობა ჩვენს დროში ვერაფერ ბიჭობად ჩაითვლება.

ეს არის კაცი, რომელიც, როგორც იტყვიან, მამამ კარგად დასტოვა. აქვს ბორანი, წისქვილი და დოვლათიანი ოჯახი. აქედან შემოსავალს ბიჭიკაშვილი არ სჯერდება. ის მიჩვეულია განიერ ცხოვრებას. პირის გემოც განვითარებული აქვს, როგორც ჭამა-სმას და ტკბილ ცხოვრებას შეჩვეულ კაცს. ამიტომ ბიჭიკაშვილმა, როგორც დამატებითი წყარო გაიჩინა სახელმწიფო სამსახური—ქვიშხეთის თემის ტყის მცველობა. ასე იყო პირველად, მაგრამ შემდეგ და შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. ძირითად შემოსავლის წყაროთ ბიჭიკაშვილმა ტყის მცველობა გაიხადა, ხოლო წისქვილ-ბორანი დაიტოვა სასხვათაშორისო საქმეთ.

იცავს ბიჭიკაშვილი ტყეს, როგორც თხა ბოსტანს. გლეხებსაც თავის ტერორის ქვეშ ატარებს. იყო შემთხვევა, რომ ბიჭაშვილის ბრძანებით თვითეულ გლეხმა ერთი მეოთხედი საჟენი შეშა დასდგა. დაგროვდა დიდძალი შეშა, რომელიც მალე გაყიდა, მაგრამ დღემდე არავინ იცის აღებულ ფულს რა ბედი ეწია.

არც ნატურაზე ამბობს უარს ბიჭიკაშვილი. მართალია ნატურალურ მეურნეობის ხანამ კარგა ხანია განვლო, მაგრამ ბიჭიკაშვილს უყვარს შერეული სისტემით მუშაობა. ის არც ფულზე ამბობს უარს, არც საქონელზე, ყოველ დილით, ქეიფის შემდეგ, ბიჭიკაშვილის ოჯახში არის, ერთი ბჭობა და თათბირობა იმის შესახებ, თუ რომელი ნალვინევი დოქი რომელ გლეხის ოჯახს ეკუთვნის.

ამას არ სჯერდება ქვიშხეთელი ტყის მცველი. ის ეკონომიკიდან პოლიტიკის სფეროშიც გადადის. ბიჭიკაშვილის „ეკონომიკა" რაც არის თქვენ უკვე დაახლოებით იცით. აბა, რა ძნელი წარმოსადგენი იქნება ამის შემდეგ ამ „ეკონომიკის" ზედნაშენი—ბიჭიკაშვილის პოლიტიკა.

კულაკი, ტყის „მცველი", მექრთამე არასოდეს არ იქნება საბჭოთა ხელისუფლების მადლიერი. ამიტომ ნურც ბიჭიკაშვილს დაემდურება ვინმე, თუ ამ კაცს საკუთარი პოლიტიკური მსოფლმხედველობა აქვს და ამ სოფლმხედველობიდან გამომდინარე პრაქტიკული მოღვაწეობა. გავლენა ბიჭიკაშვილს გლეხების ერთ ნაწილში დიდი აქვს. ის ამით დიდათ სარგებლობს. დადის და სულ ამნაირ ჰანგზე გალობს: „თვითონ მუცლები გაივსეს, დიდი ჯამაგირები დაინიშნეს და სხვას აღარ დაეძებენ... კოოპერატივები შესჭამეს. 5 მანეთ ხაპაით ანაბარებს წირვა გამოუყვანეს და ათ-ათ მანეთს აწესებენ პაით"-ო.

ასე აბაბრუებს კულაკი ბიჭიკაშვილი გლეხებს. თვითონ კი განაგრძობს სახელმწიფო ქონების ფლანგვას. „ეს ცხოვრება დუმაა, თლე და თავი შეიქციე", ხშირად იტყვის ხოლმე ბიჭიკაშვილი თავისიანებში. თუ ისე დუმილით განაგრძო სათანადო ორგანოებმა ბიჭიკაშვილის საქმიანობაზე ცქერა, როგორც ეს დღემდე ხდება, რატომ „არ თლის ის დუმას". სინდისი შეაწუხებს, პასუხისმგებლობის გრძნობა, თუ რა?

უშიშარი.

„წინდახედული" ორგანიზაცია

არის სხვადასხვა სახის მოთხოვნილება. მაგალითად, ხშირად მოთხოვნილება სამართლიანია, მაგრამ დაუსაბუთებელია, რის გამოც მისი დაკმაყოფილება შეუძლებელი ხდება. არის სამართლიანი და დასაბუთებული მოთხოვნილებაც, მაგრამ მისი შესრულება ხშირად ადამიანის ძალღონეს აღემატება. არის უსამართლო, მაგრამ გარეგნულად მაინც დასაბუთებული მოთხოვნილება, რომელსაც ხშირად ბევრი გულუბრყვილო აკმაყოფილებს. მაგრამ არის უსამართლო და ამავე დროს დაუსაბუთებელი მოთხოვნილებაც. ასეთის შესრულება მხოლოდ იმას თუ შეუძლია, რომელსაც თავი მხოლოდ ქუდის სატარებლად აბია. ასე რომ, არავის უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ასეთი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნება. მიუხედავათ ამისა, სიღნაღის მაზრის ლელიანის თემში არის ერთი პატივცემული ორგანიზაცია, რომელიც სხვანაირათ ფიქრობს. ის იმედით ცხოვრობს. რაც უნდა განწირული და დაღუპული საქმე არ იყვეს, ის მაინც იმედოვნებს, რომ ეს საქმე გაკეთდება.

ამიტომ ეს ორგანიზაცია უგზავნის თბილისის რედაქციებს უსამართლო და დაუსაბუთებელ მოთხოვნილებას:

„გთხოვთ გვაცნობოთ იმის შესახებ, თუ რამდენი გლეხკორი თანამშრომლობს თქვენდამი რწმუნებულ გაზეთში ჩვენი თემიდან. ჩვენ ამის ცნობა არა გვაქვს და არ ვიცით მათი ვინაობა, გთხოვთ გვაცნობოთ მათი ვინაობა და რაოდენობა".

ზოგიერთი წინდახედული ორგანიზაცია, როგორც ეს მაგალითად სენაკში ხდება, დასწერდა დაახლოებით ასე: „გთხოვთ შეგვატყობინოთ ჩვენი რაიონის მუშა და გლეხ კორესპონდენტების ვინაობა და მისამართი, რადგან ამა და ამ დღეს ვიწვევთ მუშგლეხკორთა კონფერენციას". მართალია რედაქციები ამგვარ მოთხოვნილებაზეც უარს ამბობენ, მაგრამ მომართვის გამოგზავნის მიზეზი მათ ასე თუ ისე ესმით. ხალხს ფორმალურად მაინც კეთილი განზრახვა აქვს—უნდათ კონფერენცია მოიწვიონ. ამიტომ, მიუხედავათ იმისა, რომ სასტიკად აკრძალულია ფსევდონიმების გამომჟღავნება, რედაქციები ასეთ უადგილო მომართვებს უკეთეს შემთხვევაში დუმილით უპასუხებენ. შეიძლება ლელიანის ერთ-ერთ პატივცემულ ორგანიზაციამ ეს დუმილი თანხმობის ნიშნად გაიგო და ამიტომ „სტყეპს" ასეთი მიმართვა.

მართალია, ნათქვამია, რომ სიტყვა ვერცხლია და დუმილი ოქრო, მაგრამ ბევრი არ იზიარებს ასეთ შეხედულებას. რედაქციის დუმილი ამ შემთხვევაში სწორედ წინააღმდეგ უნდა იყვეს გაგებული. ლელიანელი ცნობისმოყვარე ხალხი კი ამას ანგარიშს არ უწევს. გინდა არ გინდა, უთხარი მას ვინ და რამდენი კაცი თანამშრომლობს გაზეთებში მის თემიდან. უნდა კაცს გაიგოს ვინაა, რომ ყოველ ფეხის გადადგმაზე უთვალთვალებს, მისი სხეულის ყოველ მიხვრა-მოხვრას ითვლის, ერთი სიტყვით, სიფრთხილეს თავი არ სტკივა, საჭიროა პირველად გაიგოს სად და ვინ არის მტერი, რომ შემდეგ მასზე იერიში მიიტანო.

წინდახედულება დიდებული თვისებაა საზოგადოთ. ამ შემთხვევაში ლელიანის ერთ-ერთ ორგანიზაციას უთუოდ შეუძლია იამაყოს, მაგრამ სამწუხაროთ ეს წინდახედულება მოკლე გაქანების აღმოჩნდა. არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ გადაჭარბებული ცნობისმოყვარეობა ხშირად სასაცილო მდგომარეობაში აგდებს კაცს.

ძველი გლეხკორი.

რას ვებრძვით



ყველაფერი „რიგზეა" საგარეჯოს ცხრაწლედში

საგარეჯოს ცხრაწლედში 800 მოწაფე ირიცხება. არის მასწავლებელთა სათანადო რიცხვიც, სკოლას ჰყავს გამგე, მისი თანაშემწე და დანარჩენი პერსონალიც. გარეგნულად ყველაფერი რიგზეა, რაც შეეხება საქმის შინაგან მხარეს, ამაზე სჯობს, სიტყვა რომ არ გავაგრძელოთ, ფაქტები ავალაპარაკოთ.

თევზი თავიდან აყროლდება. ამიტომ ჩვენი მოკლე მოთხრობა დაიწყება სკოლის ადმინისტრაციიდან. აიღეთ გამგე თავისთავად და არსებითად, როგორც ასეთი და კიდევ სხვა—ს გახლავთ იშვიათი ტკბილი ხასიათის ადამიანი. კაცი, რომელიც ჭიანჭველას ფეხს არ დასდგამს, რომელიც არც ამ ქვეყნისაა, არც იმ ქვეყნის, რომელსაც გული ისე აუჩვილდება ყოველივე ადმინისტრატიულ ნაბიჯის გადადგმის დროს, როგორც რძიდან ახლად ამოღებული უმარილო ყველი.

თქვენ იქნებ გაიკვირვოთ ნუ თუ ესეც დანაშაულობათ უნდა ჩაეთვალოს კაცს? გულკეთილობა ადამიანის უდიდესი ღირსებაა იტყვით ალბათ. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს. ყველგან და ყოველთვის გულკეთილობა დაუშვებელი რამაა. მაგალითად, მაშინ, როცა გულკეთილობის გრძნობას ეძლევა თანამდებობის კაცი სამსახურის ასრულების დროს. ასეთი მდგომარეობაა საგარეჯოს ცხრა წლედში.

გაშვებულ გულკეთილობის საფარ ქვეშ, საუცხოვოდ გაშალა ფრთები მასწავლებლებისა და მოწაფეების ლოთობამ, ხულიგნობამ, ან როგორც აქ იტყვიან „აჩაინობამ". ასეთი „აჩაინი" ვინმეა პირველ ყოვლისა თვით გამგის თანაშემწე ტატო ჭანტურია. ის ვრცლად ატარებს სკოლაში კომპლექტიურ მეთოდს. ასე გასინჯეთ, პირადათ ცხოვრებაშიც არ ივიწყებს ამ მომენტს. სახლშია, სამიკიტნოშია თუ ამხანაგთან არის, ჭანტურიას მუდამ თან სდევს ის აზრი, რომ საჭიროა პირადი მაგალითად აღზარდოს მოწაფეები. ამიტომ ამას წინად ის ნუნუა ჩაყლაპული. გრძნობა დაკარგული, ძლივს მოფორთხიალდა სკოლის ეზომდე. აქ კირადგან მუხლებმა და ხელებმა უარი უთხრეს სამსახურზე და თავმაც ბოიკოტი გამოუცხადა, სახე მიხდილი გაიშხლართა მიწაზე და ცამდე ამწვდენი ხვრინვა ამოუშვა. მოწაფეები არ დაიბნენ. მათ გული შესტკივათ მასწავლებელზე. დაეხვივნენ, როგორც მკვდარ ბუზს ჭიანჭველები და რის ვაი-ვაგლახით შეათრიეს ტატოს პატივცემული გვამი ბინაზე. აქ მასწავლებელი ერთი წუთით გონს მოვიდა. მაგრამ ვაი ასეთ გონს, არც ერთი შუშეული, არც შკაფში, არც ფანჯარაში დაუმსხვრეველი არ დატოვებია. „ასე იცის, ტატომ", გაიძახოდა „აჩაინი" ჭანტურია და მუშებს სულ ლაყა-ლუყი გაჰქონდა. ლოთია-ლოთობაში ტატოს გვერდს უმშვენებს მასწავლებელი ქალიც თინა თაყაიშვილი.

არც მასწავლებელი კარპეზ ლოლაძე ჩამორჩება თავის ამხანაგებს. ეს ჩეხოვის საგარეჯოელი გმირია. ჩეხოვს ერთ მოთხრობაში აწერილი აქვს ერთ-ერთ პატარა სადგურის უფროსის მუშაობა. ის ერთ და იმავე დროს სადგურის უფროსიც იყო და ტელეგრაფის მოხელეც. ჯერ დაიხურავდა სადგურის უფროსის ქუდს. განკარგულებას დასწერდა ტელეგრაფის მოხელის სახელზე. შემდეგ დაიხურავდა ტელეგრაფის მოხელის ქუდს და ასრულებდა სადგურის უფროსის, ე.ი. თავისივე განკარგულებას. ისევე ერთი და ორპიროვანია კარპეზ ლოლაძე, როგორც ჩეხოვის ეს სასაცილო გმირი იმ განსხვავებით, რომ ეს გარდაქმნის დროს ქუდს არ იცვლის და ამ გარდაქმნიდან გამომავალ სარგებელზე უარს არ ამბობს.

ლოლაძეს მთელი წლის განმავლობაში სახლში გახსნილი აქვს საკუთარი სკოლა. თვითონ ამზადებს მოწაფეებს და თვითვე ადგენს პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე, რომ მისი მოწაფეები მიღებულ იქნან საგარეჯოს ცხრაწლედში. ცხადია, რა დიდი სახელი ექნება ლოლაძეს, როგორც მომზადებულ მასწავლებელს მთელ რაიონში.

უნდა ითქვას სიმართლე, რომ თანხმობა და სოლიდარობა მოწაფეთა და მასწავლებელთა შორის საგარეჯოს ცხრაწლედში იშვიათია. ჭეშმარიტად, შეუძლიათ ჭანტურიას და მის ამქრებს დაიტრაბახონ, რომ ისინი ღირსეულ მემკვიდრეებს ზრდიან. „რის მასწავლებელი, რის გამგე, ერთ ისეთს ავადებ, რომ ლულა-ქების შესახვევ ლავაშივით გავხდი",—ასე საგარეჯოს ცხრაწლედის მოწაფეთა უმრავლესობის ფილოსოფია. იზრდება საგარეჯოში „ადების" და „დაკა-ბიჭების" ახალი კადრები. რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებს ის გაუგონარი ხულიგნური გამოსვლები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საგარეჯოს თეატრში 1 მაისს.

თეატრში უნდა ჩატარებულიყო წარმოდგენა მოწაფეთა მონაწილეობით. ტყუილა უცდიდნენ გლეხები ფარდის ახდას. წარმოდგენა ფაქტიურად უკვე დაიწყო ის მიდიოდა კულისებში. იქ გახურებული მუშტის ტრიალი იყო. ვინ ვის და რატომ ურტყამდა, არავინ იცოდა. აშკარა იყო მხოლოდ ერთი, ჩხუბობდნენ ახალგაზრდა „აჩაინები". საქმე მივიდა იქამდი, რომ დამნაშავე ხულიგანი მოწაფეები რკინის მოაჯირიან ოთახებში მოასვენეს.

არის საგარეჯოში ცხრაწლედი, ჰყავს ამ ცხრაწლედს გამგე, მისი თანაშემწე, პედაგოგიური საბჭო და სახელგანთქმული პედაგოგები. ყველაფერი რიგზეა. საგარეჯოს ცხრაწლედში, „ლოთ-ფოთობის" რიგზე ჩამწკრივებული.

შა—ლი

დაკარგული 33 მანეთი

მუშა კოზაკოვი ერთგულად მუშაობდა დამქირავებელ ვინმე ანტიპოვთან, მაგრამ უმადურმა ანტიპოვმა არ დააფასა კოზაკოვის მუყაითობა და ხვედრი ხელფასის 33 მანეთის მიცემაზედ უარი უთხრა მას, ხოლო საანგარიშო წიგნაკში კი თვითონ მოაწერა ხელი, თითქო კოზაკოვს 33 მანეთი მიღებული ქონდა. მუშა კოზაკოვმა დამქირავებელ ანტიპოვის ამ უკანონო მოქმედებაზედ საჩივარი დაიწყო ადგილკომიდან, რომელმაც მიმოწერა გადაუგზავნა პროფკავშირს, ხოლო ამ უკანასკნელმა ოფიციალური შუამდგომლობა აღძრა შრომის პროკურორის მიმართ, რათა მას მიეღო სასწრაფო ზომები მუშის დასაკმაყოფილებლად და ანტიპოვის, როგორც სიყალბის ჩამდენის პასუხისგებაში მისაცემად. ამ მომართვას ღებულობს არა შრომის პროკურორი, რომლის მისამართზედაც იყო გაგზავნილი ის, არამედ შრომის სასამართლო. აქედან ზოგიერთის ცნობების შეკრების შემდეგ საქმე იგზავნება მე-3 უბნის შრომის ინსპექტორთან. კოზაკოვი დასდევს თავის საქმეს; ხან შრომის სასამართლოს კარებზეა იგი, ხან შრ. ინსპექტორს და ხან კიდევ შრომის პროკურორის; ბოლოს საქმე სრულიად დაიკარგა სადღაც.

ჭირი ჭირს დაემატა და კოზაკოვს საძიებლად გაუხდა 33 მანეთთან ერთად დაკარგული საქმეც. ან კი როგორ არ დაიკარგებოდა მიმოწერა, როდესაც შრომის სასამართლოს შიკრიკს დასატარებელ წიგნის უქონლობის გამო (მომჭირნეობის რეჟიმია), პაკეტები ილლიაში ქონდა ამოდებული და ისე დაატარებდა.

კოზაკოვმა ათი თვის სირბილის შემდეგ უკვე დაჰკარგა ხელფასის მიღების იმედი, ხოლო მეორე მხრივ დამქირავებელ ანტიპოვის ირონიული ხითხითი მას მთლად გულს უსერავდა.

კოზაკოვმა უკანასკნელად მ.-გ. ინსპექციის სახკომატთან არსებულ საჩივართა ბიუროს მიმართა, რომელმაც გამოარკვია საქმე და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში მაინც ბოლო მოეღება კოზაკოვის დაუსრულებელ სიარულს ხვედრი 33 მანეთის მისაღებად, ხოლო დამნაშავეებს ჯეროვანი პასუხი მოეთხოვება.

ზანი.

რა აფერხებს მუშათა გამომგონებლობას

ტეხნიკის განვითარების და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გამომგონებლობას. ტეხნიკის პროგრესში გადამწყვეტი როლი ითამაშა სხვადასხვა აღმოჩენამ და გამომგონებლობამ. საბჭოთა კავშირისათვის გამომგონებლობას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, რამდენათაც მას კაპიტალისტურ გარემოცვის პირობებში უხდება მრეწველობის დაჩქარებითი ტემპით განვითარება.

გამომგონებლობის ეს ფრიად დიდი მნიშვნელობა ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში რამოდენიმეჯერ იყო აღნიშნული პარტიულ და სამეურნეო დირექტივებში. არსებობს საკავშირო კომუნ. პარტიის ცეკას რამოდენიმე დადგენილება გამომგონებლობის საკითხებისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევაზე. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოც ამავე დებულებას დროგამოშვებით (წელიწადში ორჯერ—სამჯერ) ახსენებს სამეურნეო ორგანოებს. უკანასკნელად ასეთი ხასიათის ბრძანება იყო გაცემული: „მიუხედავათ იმისა, რომ რამოდენიმეჯერ იყო მითითებული გამომგონებლობის დახმარების საკითხის მოგვარების შესახებ, ჯერ კიდევ ადგილობრივ სამეურნეო ორგანოებმა ვერ შეიგნეს ამ საკითხის მთელი მნიშვნელობა და არ იღებენ გადამწყვეტ ზომებს გამოგონებათა ცხოვრებაში გატარებისათვის და გამომგონებელ მუშების დახმარებისათვის. სამეურნეო საბჭო, სთვლის რა ადგილობრივ საკითხისადმი სამეურნეო ორგანოების ამგვარ მიდგომას დაუშვებლათ, იძლევა გაფრთხილებას, რომ გამომგონებლობის დახმარებისათვის ყოველგვარ გვერდის ახვევის წინააღმდეგ მიღებული იქნება გადამჭრელი ზომები".

როგორ შეიძლება იქნეს შეფასებული ის სამეურნეო მუშაკი, რომელიც გამომგონებლობის საკითხებს ყურადღებას არ აქცევს? სამეურნეო მუშაობისათვის ასეთი პირი სრულიად გამოუსადეგი იქნება. საკმარისია, რომ სამეურნეო მუშაკმა გამომგონებლობის საკითხისადმი უყურადღებობა გამოიჩინოს, რომ ის როგორც უვარგისი მოხსნილი იქნას. ვის რად უნდა წარმოების ისეთი „ხელმძღვანელი", რომელიც წარმოების გაუმჯობესებისათვის არ ზრუნავს!

ამ რამოდენიმე დღის წინათ „პრავდა"-ში მოყვანილი იყო ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ უდგება, კაპიტალისტურ წარმოების ადმინისტრატორი მუშათა გამომგონებლობის საკითხებს. ამერიკის საავტომობილო ქარხანაში, რომელიც ეკუთვნის კაპიტალისტ ბიუკს, გაკრულია შემდეგი განცხადება:

„ყველა მუშას შეუძლია მიიღოს 50 დოლარი! ყველას! ყველას! საჭიროა მხოლოთ წარმოების გაუმჯობესების შესახებ ჩაფიქრდე. ყველას, ვინც კი ჯამაგირის მიღების დროს წარმოადგენს თუნდაც ჩამოუყალიბებელ გამოგონების აზრს, მიეცემა 50 დოლარი. ფულების მიღება შეიძლება დაუყოვნებლივ! თვითოეული მუშა უნდა გახდეს გამომგონებელი!".

კაპიტალისტის ეს განცხადება ფრიად ბევრს ლაპარაკობს. მისი ასეთი ხელგაშლილობა და „თუნდაც ჩამოუყალიბებელ გამოგონების აზრის" „დაუყოვნებლივ" დაჯილდოება იმის დამამტკიცებელია, თუ რამდენათ დიდ ყურადღებას აქცევენ კაპიტალისტები მუშათა გამომგონებლობას. საბჭოთა რესპუბლიკებში კი გამომგონებლობის საკითხებს გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს: ერთი იმიტომ, რომ ამით წარმოების გაუმჯობესება შეიძლება და მეორე იმიტომ, რომ ამ ყურადღებით მუშათა ინიციატივა იზრდება და გასაქანი ეძლევა მათ ფართო თვითშემოქმედების განვითარებას.

კაპიტალისტის წარმოების ადმინისტრატორი კმაყოფილდება „ჩამოუყალიბებელ გამოგონების აზრით", ჩვენში კი შეხვდებით ისეთ ადმინისტრატორს, რომელიც მუშას სთხოვს გამოგონების ტეხნიკური ნახაზებით წარდგენას. თუ ნახაზებში რამე შეცდომას ექნა ადგილი, გამომგონებელს მას უკანვე უბრუნებენ, იმის მაგივრათ, რომ გამომგონებელს სპეციალისტები დაეხმარონ. არსებულ დირექტივებით კი სამეურნეო ორგანოები ვალდებული არიან თავის ხარჯზე მუშას შეუდგინონ ტეხნიკური ნახაზები და გაუწიონ ყოველგვარი დახმარება გამოგონების ჩამოყალიბებაში.

გამოგონების საკითხებისადმი ბევრს ჩვენ წარმოებაში ადგილი აქვს პირდაპირ უვიც მიდგომას. გამოგონებად სთვლიან მხოლოთ ფრიად დიდ მნიშვნელობის ახალ ტეხნიკურ იდეას. დანარჩენებს ყურადღებას არ აქცევენ და კიდეც დასცინიან. ერთს ჩვენს წარმოებაში ორმა მუშამ გამოიგონა უბრალო დაზგა, რომელიც სცვლის ხელით მუშაობას და 400—500 პროცენტით ზრდის ამ მუშაობის ნაყოფიერებას. როცა ქარხნის დირექტორს სთხოვეს დაჯილდოვება, მან ასეთი „ბრძნული" აზრი გამოსთქვა: „ეს გამოგონება კი არ არის, მუშაობის დაჩქარებაა"-ო. (ასეთი დირექტორი რომ „დაჩქარებით" მოიხსნას, წარმოების საქმე გაუმჯობესდება!) თბილისის ერთ წარმოებაში ერთმა გამოგონებამ საგრძნობად გაზარდა შრომის ნაყოფიერება; თუ უწინ ერთი მუშა ხელით აკეთებდა დღეში 10 ნაჭერს, გამოგონების შემდეგ კეთდება 250 ნაჭერი. ადმინისტრაციის და ქარხკომის კომისიამ ასეთი დადგენილება გამოიტანა: „ეს არ შეიძლება ჩაითვალოს გამოგონებად. ეს მხოლოდ გაუმჯობესება არის, რომელიც მუშის საღი მოსაზრებიდან წარმოიშვა". გადაჭარბებული არ იქნება. თუ ვიტყვით, რომ ამ კომისიის მონაწილეთ საღი მოსაზრება აკლიათ.

ზოგიერთ წარმოებაში მთელი დისკუსია იმართება, იმის შესახებ, თუ როგორ მონათლონ გამოგონება. ერთი ამტკიცებს, რომ ეს „გამოგონება" არის, მეორე ამბობს, რომ „გაუმჯობესება", მესამე კიდევ—„საქმიანი წინადადება" და სხვ. რისთვისაა საჭირო ეს დავა? რა მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ უნდა მოინათლოს მუშის წინადადება? რაც გინდა დაარქვი მას, მხოლოთ ჩქარა გაატარე და მუშაც ჩქარა დააჯილდოვე, რომ მას და სხვებსაც ამ მხრივ მუშაობის ხალისი არ დაეკარგოთ.

ზოგან გამომგონებლებს თვლიან არა ნორმალურ ადამიანებათ, რომელთაც „ყველაფერი თავის ალაგზე არ აქვთ" და ყველას აწუხებენ თავის გამოგონებით. ხანდახან თვით სიტყვა გამომგონებელი" ბევრში ღიმილს იწვევს. არა მარტო სამეურნეო მუშაკების მხრით აქვს ადგილი გამომგონებლებისადმი ამგვარ მიდგომას,—ზოგიერთ წარმოებებში გამომგონებელი ვერ პოულობს მუშებში ამხანაგურ მოქცევას. გამომგონებლებისადმი ასეთი მიდგომა დაუშვებელია. გამომგონებელი წარმოებაში ქმნის ახალ რამეს. ბევრისათვის ეს უჩვეულო არის და უჩვეულო წინადადების ავტორს ისე უცქერიან, როგორც არანორმალურ ადამიანს.

გამოგონებათა რიცხვის გამრავლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გამოგონებათა მატერიალურ წახალისებას. არსებული დირექტივებით, მატერიალური წახალისება და ფულადი პრემიის მიცემა ფართოდ უნდა ტარდებოდეს. საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დირექტივით, დაჯილდოვებული უნდა იქნეს ყოველი კონკრეტიული წინადადება (და არა მარტო გამოგონება), რომლის გატარებასაც შეუძლია მოგვცეს: ნაყოფიერების გადიდება, ნაწარმოების თვითღირებულების შემცირება,—ნაწარმოებს ღირსების გაუმჯობესება, მუშაობის მავნებლობის და საშიშროების შემცირება და შრომის პირობების შემსუბუქება. ეს დირექტივა ძლიერ შეზღუდულათ ტარდება. მთელი რიგი მუშათა საქმიანი წინადადებების დაჯილდოვება არ ხდება. არც სამეურნეო ორგანოები ასრულებენ ამ დირექტივას და არც კავშირების ზოგიერთი ადგილობრივი ორგანოები (საქარხნო კომიტეტები) თხოულობენ ასეთ წინადადებათა დაჯილდოვებას. არის შემთხვევები, როცა ამას ხსნიან წარმოების უსახსრობით და ცუდი ფინანსიური მდგომარეობით. ასეთი ახსნა სრულიად მიუღებელია, ვინაიდან სწორედ უმწეო მდგომარეობაში მყოფ წარმოებისათვისაა საჭირო საქმიანი წინადადების წახალისება, რომ ამით ამ წარმოების მდგომარეობა როგორმე გამოსწორდეს.

იყო შემთხვევა ერთ წარმოებაში, სადაც ქარხკომის პასუხისმგებელი მდივანი ფართო დაჯილდოვების წინააღმდეგ წავიდა იმ მოსაზრებით, რომ „ყველა გამომგონებელი გახდება"-ო. ასეთი პირი არა თუ ქარხკომის პასუხისმგებელ მდივნათ, არამედ ტეხნიკურ მდივნათაც არ შეიძლება იყოს.

ჯილდოს რაოდენობაც ხშირად ძლიერ მცირეა. იმის მაგივრათ, რომ აღებული იქნეს გამოგონებით გამოწვეულ წლიური ეკონომიის განსაზღვრული ნაწილი, გამომგონებელს აძლევენ უმნიშვნელო ჯილდოს, რომელიც უფრო დაცინვას ნიშნავს, ვიდრე წახალისებას. ზოგიერთ შემთხვევებში კი ჯილდოს მაგივრად კმაყოფილდებიან ბძანებაში „გულწრფელი მადლობის" გამოცხადებით. ბევრს სამეურნეო მუშაკს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, რომ ეკონომია გამომგონებლების დაჯილდოვებაში ნიშნავს გაფლანგვას. ზოგიერთ შემთხვევებში კიდეც რომ ჯილდო მეტი იქნეს მიცემული, ვიდრე ის ეკონომიას იძლევა, ეს არათუ ავნებს წარმოებას, არამედ, პირიქით, სასარგებლო იქნება, ვინაიდან სათანადო წახალისება ხელს შეუწყობს გამოგონებათა გაფართოვებას. იმ წარმოებებში, სადაც წახალისების საკითხს ჯანსაღათ მიუდგენ, გამოგონებათა და საქმიან წინადადებათა რიცხვი ძლიერ გაიზარდა. ბევრია მაგალითი, როცა ერთჯერ სათანადოთ დაჯილდოვებულმა მუშამ შემდეგში მთელი რიგი ძვირფასი წინადადებები შეიტანა წარმოების გაუმჯობესების საქმეში.

გამოგონებათა და საქმიან წინადადებათა განხორციელების პროცესი ფრიად ჭიანურდება. უბრალო (წარმოებისათვის სასარგებლო) წინადადების გატარების საკითხი ოთხი—ხუთი თვე და ხშირად ერთი წელიც ვერ წესრიგდება. დირექტივით კი ორი კვირის ვადაში უნდა მიეცეს პასუხი გამოგონების და საქმიან წინადადების ავტორს. დაჯილდოვების საკითხის გადაჭრა კიდევ უფრო მეტი ხნით ჭიანურდება. ხშირათ გამოგონება ცხოვრებაში გატარებულია. მაგრამ გამომგონებლისათვის ჯილდოს მიცემას არავინ ფიქრობს. ამის დამადასტურებელი მაგალითები ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ. საქართველოს თითქმის ყველა წარმოებებში ადგილი აქვს ამგვარ მოვლენას. თბილისის ავეჯეულობის ქარხნის დირექტორმა ო-ი თვის განმავლობაში ჯიბეში ატარა საექსპერტო კომისიის დადგენილება გამომგონებელ მუშების დაჯილდოვების შესახებ. ოქმი ჯიბეში გაცვდა და გადაბეჭდვის დროს ძლივს გაარჩიეს. თამბაქოს ტრესტში მუშა ომიაძის გამოგონებამ აგერ უკვე მეექვსე თვეა, ვერ პოვა განხორციელება. ამ ექვსი თვის განმავლობაში ომიაძის ამ გამოგონების შესახებ ბევრჯერ იყო მოთავსებული გაზეთებში შეკითხვა თამბაქოს ტრესტისადმი. არავითარი პასუხი არ მისცა ტრესტმა. ასეთი ფაქტები, სამწუხაროდ, ბევრია.

ძალიან სუსტად ტარდება დირექტივა გამომგონებელთა დასაჯილდოვებლათ—წარმოებებში პრემიალური ფონდის შექმნის შესახებ. საკავშირო კომ. პარტიის ცეკამ ამ საკითხზე ორჯერ გამოიტანა დადგენილება. შახტის ამბების ირგვლივ მიღებულ რეზოლიუციაშიაც არის ამის შესახებ ნათქვამი. სამეურნეო ხაზითაც იყო რამოდენიმეჯერ დირექტივა გაცემული, მიუხედავათ ამისა, ბევრი სამეურნეო მუშაკი ამ დირექტივების შესრულებისათვის თავს არ იწუხებს.

ყველაფერი ზევით ნათქვამი ამტკიცებს, რომ ზოგიერთი ჩვენი სამეურნეო მუშაკები ვერ სდგანან თავის სიმაღლეზე, რამდენათაც მათ არ აინტერესებთ ისეთი საკითხები, რომელნიც ხელს უწყობენ წარმოების რაციონალიზაციას. ასეთი მდგომარეობა უთუოდ უნდა შეიცვალოს. სამეურნეო მუშაკები არა თუ მარტო ხელს უნდა უწყობდენ მუშების მიერ წამოყენებულ გამოგონებათა განხორციელებას, არამედ მათ უნდა შექმნან წარმოებაში ისეთი პირობები, რომ მუშათა თვითშემოქმედობას ფართო ხასიათი მიეცეს. სამეურნეო მუშაკმა არ უნდა უცადოს, სანამ მუშა თვით არ წამოაყენებდეს წინადადებას, მან გამოგონების დარგში შეკვეთა უნდა მისცეს მუშებს, უნდა გამოაცხადოს ხოლმე კონკურსი და მიიღოს ყველა ის ზომები, რომელნიც ხელს შეუწყობენ მუშათა გონების ამუშავებას.

ს. ბოდაბრელიძე.

ცნობა

მანქანა № 76 ჩამოერთვა სამთო ტრესტს

მიმდინარე წლის 20 აპრილის გაზ. „კომუნისტში" მოთავსებული იყო მუშკორ „ქვენობნელის" შენიშვნა შემდეგი სათაურით: „ვისია ავტომობილი № 76?". ინსპექციის საჩივართა ბიურომ მოახდინა შესაფერი კვლევა-ძიება და აღმოაჩინა შემდეგი:

მსუბუქი მანქანა № 76 ეკუთვნის სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს სამთო ტრესტს. შოფერი ყოველ დილით მიაკითხავდა მანქანით ტრესტის დირექტორს ბინაზე. აქედან ტრესტის დირექტორს ყოველდღიურათ მიჰყავდა მანქანით თავისი ცოლი სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამასთან ერთად გამოირკვა, რომ 1927 წლის 1 ოქტომბრიდან 1928 წლის 1 აპრილამდე სამთო ტრესტის ავტომობილის შენახვაზე დახარჯულია 3.374 მანეთი. ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით კი არ უნდა დახარჯულიყო 1.453 მანეთზე მეტი.

ინსპექციის საჩივართა ბიურომ მიიღო ზემოაღნიშნული მდგომარეობა მხედველობაში და სცნო, რომ ავტომობილი სამთო ტრესტისათვის არ წარმოადგენს საჭიროებას; ამიტომ დაადგინა მანქანა № 76 ჩამოერთვას სამთო ტრესტს.

ღირსეული სასჯელი ინტრიგანს

ამას წინად მუშ. და გლ. ინსპექციაში შემოვიდა ნინოშვილის სახელობის სკოლა-საკრებულოს ზოგიერთ თანამშრომელთა განცხადება. განცხადების ხელის მომწერთ მეთაურობდა სკოლის ბაღის ყოფილი მოიჯარადრე მოქ. ალექსანდრე ადამია, რომელიც ბრალს სდებდა სკოლის გამგეს მფლანგველობაში და სხვა ბოროტმოქმედებაში.

ინსპექციის საჩივართა ბიურომ გამოიკვლია საქმე და გამოირკვა, რომ სკოლის გამგის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები აგებულია პირად ინტერესებზე. მოიჯარადრე ადამია, ყოფილი ოფიცერი, არამშრომელი ელემენტი, ხელოვნურად ჰქმნის დაწესებულებაში არანორმალურ განწყობილებას, რომ ჩირქი მოსცხოს სკოლის გამგეს, რადგან ეს უკანასკნელი დიდ მონაწილეობას იღებდა ბაღების კერძო პირთაგან ჩამორთმევაში, ინსპექციის საჩივართა ბიუროს დადგენილებით ადამია მოხსნილ იქნა სამსახურიდან ინტრიგისა და ანტისაზოგადოებრივ გამოსვლებისათვის.

გამოხმაურება

თბილისის პოლიკლინიკა

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების განკარგულებით დაინიშნა კომისია იმ ცნობების შესამოწმებლად, რომელნიც მოთავსებული იყო გაზ. „კომ". 29 აპრილის ნომერში თბილისის კბილის სამკურნალო პოლიკლინიკის შესახებ.

კომისიამ გამოიკვლია საქმე და სცნო, რომ აღნიშნულ წერილში მოყვანილი ფაქტები თბილისის კბილის პოლიკლინიკაში თითქოს არსებულ არანორმალურ წესების შესახებ, სინამდვილეს არ შეეფერება.

კომისია.

დამცველ ა. ყავალაშვილის შესახებ

„კომ" № 99 მოთავსებული იყო კორესპონდენცია ჭიათურიდან, სადაც წერილის ავტორები „სამნი" აღნიშნავდნენ, რომ ა. ყაველაშვილი თავის მოქმედებით ჩირქს სცხებს დამცველის სახელს. რედაქციის მიერ მიღებულ სარწმუნო ცნობების მიხედვით, აღნიშნული ბრალდება ა. ყაველაშვილის მიმართ სიმართლეს არ შეეფერება.

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის და საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი

ა.-წ. მაისის 13-დან 15-მდე მიმდინარეობდა საქ. კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისა და საოლქო საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

მოხსენება ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ (მომხსენებელი ამხ. ორახელაშვილი).

2. ამიერ-კავკ. მეურნეობის მორიგი საკითხები (მომხსენებელი ამხ. ელიავა).

3. ამიერ-კავკ. პარტიულ ორგანიზაციათა ზრდისა და მოწესრიგების საკითხები (მომხსენებელი ამხ. რუმბენი).

4. ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის მუშაობის გეგმა.

განხილულ საკითხების შესახებ პლენუმმა მიიღო რეზოლუციები.

გარდა ამისა, პლენუმმა დაადგინა: ამხ. კოხტანიანი გადაყვანილ იქნას ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის კანდიდატობიდან წევრად და შეყვანილ იქნას პრეზიდიუმში; ამხ. ტერ-გაბრიელიანი შეყვანილ იქნას ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის წევრითა შემადგენლობასა და პრეზიდიუმში; ამხ. კაული შეყვანილ იქნას ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის წევრითა შემადგენლობაში და ჩაირიცხოს პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატად; ამხ. პოზდეევი ჩაირიცხოს ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის წევრობის კანდიდატად.

ამიერ-კავკ. პარტორგანიზაციების ზრდისა და შემადგენლობის მოწესრიგების შესახებ

(საქ. კომ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის პლენუმის რეზოლუცია)

1. ცნობები ამიერ-კავკ. პარტიულ ორგანიზაციების ზრდის შესახებ ამ უკანასკნელ დროის მოწმობენ ორგანიზაციის პროლეტარული ნაწილის აბსოლუტურ და შედარებით გადიდებას, პარტიაში მიღებულთა შორის მუშათა პროცენტის აწევას და ორგანიზაციის შემადგენლობის საერთო გაზრდას. მაგრამ ორგანიზაციის მუშათა ხარჯზე ზრდის ტემპი და ფარგლები ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად. პარტიული ორგანიზაციების წინაშე სდგას ამოცანა შემდეგშიაც გაადიდონ ორგანიზაციებში დაზგის მუშების ხვედრითი წონა.

ოქტომბრის გაწვევა თავისი სოციალური შემადგენლობით, საწარმოო სტაჟით, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში მონაწილეობით პარტიული რიგების ძვირფას შევსებას წარმოადგენს. ოქტომბრის გაწვევამ მნიშვნელოვნად გაადიდა მსხვილ წარმოებებში პარტიულების რაოდენობა.

პარტიაში მუშების მიღებასთან დაკავშირებულ შემდგომ მუშაობაში საჭიროა მე-13 და 14 პარტყრილობების იმ დირექტივებით ხელმძღვანელობა, რომლებიც შეეხება საწარმოო დარგის მუშების პარტიაში ჩაბმის გაძლიერებას, რათა 2 წლის განმავლობაში საწარმოო დარგის მუშები საკავშირო კომპარტიაში (ბ) პარტიის წევრთა რაოდენობის ნახევარს მაინც შეადგენენ.

საჭიროდ ჩაითვალოს დაზგის მუშათა რაოდენობის 42,6 პროცენტიდან 27 პროცენტამდე გადიდება უახლოესი ორი წლის განმავლობაში.

ოქტომბრის გაწვევის შედეგებმა გვაჩვენა, რომ ამ გაწვევას სრულიადაც არ ამოუწურავს მუშათა აქტივი ამიერ-კავკასიაში. დასახულ ამოცანის შესასრულებლად საჭიროა პარტიის რიგებში საუკეთესო მოწინავე მუშების ჩაბმა, პირველ რიგში ისეთების, რომლებიც საზოგადოებრივ მუშაობას ეწევიან, ყველაზე უფრო შეგნებული არიან და ეხმარებიან პარტიას სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს აგრეთვე, რომ პარტიაში მუშების მიღებასთან დაკავშირებული მუშაობა არაა დაყენებული სათანადო სიმაღლეზე ყველა დიდ წარმოებებში (ამ წარმოებებში მუშაობის განსაკუთრებული სირთულის და საამქრო უჯრედების და მასიური მუშაობის სისუსტის გამო, ხოლო ზოგან გაცილებით უფრო სუსტადაა დაყენებული, ვიდრე საშუალო და წვრილ წარმოებებში.

პარტიაში საკმაოდ არ არიან ჩაბმული მაღალი კვალიფიკაციის მუშები და სუსტია მასიური მუშაობა ფაბრიკა-ქარხნებში ახლად მიღებულ მუშებს შორის.

ხელმძღვანელმა პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიაში მუშების მიღების დროს ყურადღება უნდა მიაქციონ იმ დიდ წარმოებებს, სადაც უფრო მცირეა პარტიულების რიცხვი.

2. საქ. კომ. პარ. (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს პარტიული ორგანიზაციების (ბაქოს გამოკლებით) მუშაობის სისუსტეს რეზერვების შესწავლის საქმეში, მუშათა აქტივის აღრიცხვისა და ამ აქტივს ყოველმხრივი ანალიზის დარგში და აგრეთვე მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციების არასაკმაო ყურადღებას ზრდის პრობლემისადმი მოთხოვნილ და არასაკმაო ორგანიზაციულ უნარს პარტიული უჯრედების მუშაობაში.

საქ. კომ. პარ. (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის პლენუმი ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო-განმანაწილებელ განყოფილებას და რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს ავალებს მიიღონ ზომები ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ორგანიზაციული მუშაობის გასაძლიერებლად, მათ მუშაობაში მეტი გეგმიანობის შესატანად (უარყოფილ უნდა იქნეს ყოველგვარი მექანიკური მოწესრიგება) და წინადადებას აძლევს მათ შემდგომ მუშაობაში დაეყრდნონ ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ზრდასა და მოწესრიგებასთან დაკავშირებულ მუშაობის კონკრეტულ ორწლიან გეგმას (რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტებისა და საქ. კომ. პარ. (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის საკონტროლო ციფრები).

პარტიაში ახალი წევრების მიღებასთან დაკავშირებულ მუშაობაში მაქსიმალური მონაწილეობა უნდა მიიღონ როგორც ცალკე კომუნისტებმა, პარტორგანიზატორებმა, ჯგუფორგანიზატორებმა და საამქრო უჯრედებმა, ისე ხელმძღვანელმა პარტიულმა ორგანიზაციებმაც (რაიკომებმა, მაზრკომებმა, დედაქალაქების კომიტეტებმა). ხელმძღვანელმა პარტორგანიზაც. აუცილებლად კონტროლი უნდა გაუწიონ პარტუჯრედების იმ მუშაობას, რომელსაც ისინი აწარმოებენ პარტიაში ახალი წევრების მისაღებად (თუ რამდენად აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ უპარტიო მუშები კანდიდატურების განხილვაში, ბრძოლა კანდიდატურების განხილვასთან ფორმალური დამოკიდებულების წინააღმდეგ, რეკომენდაციების შემოწმება და სხვ.)

3. ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტი აღნიშნავს, რომ სოფლის ორგანიზაციებში საკმაო ყურადღება არ ექცევა მშრომელი გლეხების მიღებას პარტიაში, სუსტად აწარმოებენ მუშაობას პარტიაში ახალი წევრების მისაღებად და პარტიაში მისაღებ გლეხებს არ ამოწმებენ წინასწარი სერიოზულად, არ გებულობენ, თუ სოფლის რომელ სოციალურ ჯგუფს ეკუთვნიან ისინი, როგორია მათი საზოგადოებრივი აქტივობა, პოლიტიკური შეგნება და სხვ.)

გლეხების პარტიაში მიღება უნდა დაუკავშირდეს რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტების მიერ დაწესებულ საკონტროლო ციფრებს, რომლებიც შეეხება პარტიის ზრდას უახლოეს ორი წლის განმავლობაში, რათა არ დაირღვეს ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის დირექტივა პარტიაში დაზგის მუშების განსაზღვრული პროცენტის მიღების შესახებ.

პარტიაში მისაღებად სოფელში მუშაობა უმთავრესად უნდა აწარმოებდეს პროლეტარიატთან ახლო მდგომ აქტიურ გლეხებსა (რომლებიც მუშაობენ საბჭოებში, კოოპერაციაში და სხ.), ღარიბ გლეხთა კრებებსა, ჯგუფებსა; სასოფლო-სამეურნეო და სატყეო დარგის მუშებსა და აგრეთვე იმ საშუალო შეძლების გლეხებს შორის, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საზოგადოებრივ მუშაობაში და რომლებმაც პარტიის პოლიტიკის შეგნებული გატარებით დაამტკიცეს თავისი ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიისადმი.

აღნიშნავს რა მოჯამაგირეების მეტად სუსტად ჩაბმას პარტიაში (1,5 პროც.), საქ. კომ. პ. (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტს აუცილებლად მიაჩნია ორი წლის განმავლობაში მოჯამაგირეთა პროცენტის 4 პროც. გაყვანა, მოსამსახურეთა პროცენტის შემცირების ხარჯზე.

4. მოსამსახურეთა საკმაოდ დიდი პროცენტი (საქმიანობის ხასიათის მიხედვით 33.7 პროც.) და აგრეთვე ამ პროცენტის ზრდის ტენდენცია ამიერ-კავკ. პარტიულ ორგანიზაციაში აყენებს ორგანიზაციის წინაშე ამოცანას, რომ მეტი სიფრთხილე იქნას მიღების დროს. საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტი აღნიშნავს, რომ საჭიროა ბრძოლა პარტიაში მოსამსახურეების მიღებისათვის არსებულ შეზღუდვათა შემოვლის შემთხვევებთან, კერძოდ პარტიაში მიღების დროს სოციალური მდგომარეობის არასაკმაო შემოწმებასთან, რის შედეგად მოსამსახურეთა რამდენიმე პროცენტს პარტიაში იღებენ როგორც გლეხებს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევებში კი—როგორც მუშებსაც.

5. საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი აღნიშნავს რა პარტიაში ქალების ჩაბმის სუსტ ტემპს (5.9 პროც.) ოქტომბრის გაწვევის პერიოდშიაც, წინადადებას იძლევა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პარტიაში ქალთა ჩაბმის საკითხს, ქალთა ჩაბმის პროცენტი პირველ რიგში უნდა გადიდებულ იქნას მუშა და მოჯამაგირე ქალების ხარჯზე. საჭიროა გაადვილებულ იქნას პარტიაში მუშა ქალთა მიღება, რისთვისაც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ფაბრიკების მუშაობის პირობები, მუშა ქალთა კულტურული დონე, ყოფაცხოვრების პირობები და სხვ.., საჭიროა მუშა და გლეხ ქალების უფრო ჩაბმა პრაქტიკულ საბჭოთა, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ მუშაობაში და საერთოდ მასიურ მუშაობის გაძლიერება ქალთა შორის.

6. პარტიულ ორგანიზაციების კომკავშირის ხარჯზე ზრდის მხრივ უკანასკნელ წლებში მიღწეულია დიდი წარმატებები, რომლებიც უახლოეს დროისათვის უნდა განმტკიცებულ იქნას (1926 წ. პარტიაში მიღებულთაგან კომკავშირელები შეადგენდნენ 31,3 პროცენტს, 1927 წ.—30,5 პროც.; 1928 წლის პირველ კვარტალში—35,9 პროც.).

აღნიშნავს რა, რომ პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არასაკმაო ყურადღებას იჩენენ ასაკგადაცილებულ კომკავშირელთა საკითხისადმი, ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია მის მიერ ამ საკითხის შესახებ გამოცემულ დირექტივების უფრო გადაჭრით გატარება ცხოვრებაში.

შემდეგში საჭიროა გაძლიერებული იქნას პარტიული აღმზრდელობითი მუშაობა კომკავშირის ორგანიზაციებში იმ ანგარიშით, რომ პარტიულ ორგანიზაციებს საკმაო რეზერვები ჰყავდეთ პარტიის ახალ წევრთა შესარჩევად კომკავშირის აქტივთან, პირველ რიგში—კომკავშირელ მუშებიდან. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა აღმოუჩინონ კომკავშირს პრაქტიკული დახმარება კომკავშირელების მომზადების და პარტიაში გადასვლის საქმეში.

7. აღნიშნავს რა უთანასწორობას პარტიაში მიღების ტემპსა და ორგანიზაციის რეალურ ზრდას შორის (ამიერ-კავკასიაში 1926—27 წ. და 1928 წ. პირველ კვარტალში მიღებულია 28.621 კაცი, მაგრამ რეალურად ორგანიზაცია ამავე ხნის განმავლობაში გაზარდ 19.191 კაცით, მიზეზები: შემადგენლობის ცვალებადობა, ნებაყოფლობით გასვლა, გარიცხვა; პარტაღწერის შედეგები და სხვ.), უთანასწორობას, რომელიც ახასიათებს პარტიის გაცხრილვას (ამიერ-კავკასიაში 1926—27 წ. და 1928 წ. პირველ კვარტალში—4.400 კაცი), ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს ხელმძღვანელ ორგანიზაციებს ყურადღებით შეისწავლონ გაცხრილვასთან დაკავშირებული პროცესები, რომლებიც მეტად გავლენას არ ახდენენ ორგანიზაციის ზრდაზე, სოციალურ შემადგენლობაზე და სხვ.

8. საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებას მიიღოს გადამჭრელი ზომები წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის პარტიულ ორგანიზაციის რიგებში (1928 წლის პირველ კვარტალში მიღებულთა შორის წერა-კითხვის არამცოდნენი შეადგენენ 3 პროცენტს).

ზრდის საკონტროლო ციფრებთან დაკავშირებით მომავალი 2 წლისათვის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ უნდა დაამუშაოს სათანადო პარტიული სასწავლო ქსელის მოწყობის საკითხი.

ამასთანავე, წარმოებებში მასიურ მუშაობის გაძლიერებასთან ერთად საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საკითხებს და განსაკუთრებით წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ამოცანას წარმოებათა უპარტიო მასაში, ვინაიდან პარტიაში მუშების მიღება უშუალოდ არის დაკავშირებული მუშებს შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხთან.

საჭიროა სერიოზულად იქნას შემოწმებული სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის მთელი სისტემა იმ თვალსაზრისით, რომ ეს მუშაობა ეხებოდეს მუშათა ფართო მასას, ამზადებდეს და ზრდიდეს მუშათა აქტივს ქალაქებში, ხოლო გლეხთა და მოჯამაგირეთა აქტივს სოფლად.

9. ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის პლენუმი, წინადადებას აძლევს პრეზიდიუმს, დაამუშაოს კონკრეტული დირექტივები მასიურ მუშაობის გაძლიერების შესახებ ქალაქში და სოფლად, და, პირველ რიგში, მსხვილ წარმოებებში; აგრეთვე გამოსცეს კონკრეტული დირექტივები ოქტომბრის გაწვევით მიღებულთა შორის პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებისა და მათი პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და სხვა საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმის შესახებ.

10. ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის პლენუმს საჭიროდ მიაჩნია პარტმუშაობის გაძლიერება პარტიის საკანდიდატო შემადგენლობასთან და პარტორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა პარტიის საკანდიდატო შემადგენლობის გადასინჯვის კამპანიაში.

რეზოლუცია ა.-კ. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მორიგი ამოცანების შესახებ მოთავსებული იქნება შემდეგ №-ში.

ბავშვთა საერთაშორისო კვირეული

დიადი მომავალი

პარტიისა და კომუნისტური კავშირის მზრუნველობის ერთ-ერთი მთავარი საგანია ჩვენი მოზარდი თაობა—ნორჩი პიონერები, ოქტომბრელები. ეს თაობაა ჩვენი საქმის გამგრძელებელი, ჩვენი დიადი მომავალი. აი, რატომ უნდა მიაქციოს კომკავშირმა დიდი ყურადღება ამ ახალ თაობას, აი რატომ უნდა უხელმძღვანელოს მან პიონერთა მოძრაობის საქმეს.

ბავშვთა კვირეულთან დაკავშირებით, ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ უდიდესი მზრუნველობა პიონერთა მიმართ. ჩვენ უნდა გავგზავნოთ ჩვენი საუკეთესო ძალები მათ შორის სამუშაოდ, რადგან ვიცით, რომ პიონერ-ორგანიზაცია ზრდის ახალი მსოფლმხედველობის, ახალი ტიპის ადამიანს და ეს აღზრდა კი შესაძლებელია მხოლოდ მომზადებულ ხელმძღვანელების დახმარებით.

ბავშვთა კვირეულისათვის ჩვენ უნდა შევეცადოთ პარტიულ-პროფესიონალურ ორგანიზაციების და სახელმწიფო დაწესებულებათა ყურადღების გაძლიერებას პიონერებისადმი. ჩვენ არ გვაქვს ბინები პიონერ კოლექტივებისათვის, თუ კი სადმე გვაქვს, ისიც—მეტად უფერებელია და გამოუსადეგარი, არ მოგვეპოვება საბავშვო კლუბები და სხვა. საზოგადო და სახელმწიფო ორგანიზაციები უნდა შეუდგენ ამ საკითხის მოგვარებას. მათ უნდა გაგვიწიონ დახმარება აღნიშნულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში.

საჭიროა აგრეთვე ფართო დახმარების გაწევა პიონერთა საზაფხულო ბანაკების და მოედნების მოწყობისათვის. ყოველივე ეს განამტკიცებს პიონერთა ორგანიზაციას და უზრუნველყოფს მის მომავალ შემოქმედებით მუშაობას.

ა. შ.

როგორ ჩატარდება ბავშვთა კვირეული

20 მაისს იმართება პიონერებისა და მოწაფეების მასიური სეირნობა—ქალაქს გარეთ. სეირნობაში მონაწილეობას ღებულობენ პიონერთა თვითმოქმედების წრეები, ორკესტრები, ცოცხალი გაზეთები.

სეირნობის დროს ეწყობა ფიზკულტურის წრეების გამოსვლა, შეჯიბრება-სირბილში, სროლაში, ინსცენიროვკები და სხვა.

კვირეულის განმავლობაში მოეწყობა გამოფენები, აგრეთვე ჩატარდება შემოწირულებათა შეკრება თვითმფრინავ „პიონერის" ასაგებათ.

განზრახულია საბავშვო მოედნების გახსნა ბაღებთან, ბავშვთა სახლებთან, სკოლებთან და კლუბებთან.

26 მაისს ყველა რაიონებში ჩატარდება ეგრედ წოდებული „სამი თაობის საღამოები". საღამოების მიზანია იმის ჩვენება, თუ რა დახმარებას უწევენ პროფორგანიზაცია და მშობლები პიონერ-მოძრაობას, რამდენად მტკიცეა სამი კომუნისტური წყების,—პიონერების კომკავშირის, პარტიის,—მთლიანობა.

27 მაისს დილით ეწყობა პიონერების, მოწაფეების და საერთოდ ყველა ბავშვების დემონსტრაცია. საღამოს საბავშვო თეატრის მიერ წარმოდგენილი იქნება პიესა „გათავატა". რითაც დასრულდება ბავშვთა საერთაშორისო კვირეული.

მოქ. ვართანოვის საქმე

(საქ. და ა.-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციების გაერთიანებული სხდომის დადგენილება)

1. გამოძიებამ გამოარკვია, რომ ვართანოვს სისტემატიურად სდევნიდენ ანტისაბჭოთა და სპეკულიანტური ელემენტები.

ამ დევნას აწარმოებდნენ გიორგი ბეგიაშვილი (მეღუქნე და მეგარმონე), მისი ცოლი ნინო, აგრეთვე მარკაროვი, საიკოვი; ლითანოვი და სხვები, რომლებმაც სხვა მეზობლებთან ერთად ვართანოვის წინააღმდეგ ცრუ დაბეზღების მთელი კამპანია ატეხეს და მარკაროვის საშუალებით განიზრახეს მისი მოკვლა.

2. აღინიშნოს, რომ ვართანოვის დევნაში, რომელიც დაიწყო 1926 წელს, დამახასიათებელია ის გარემოება, რომ სხვადასხვა სპეკულიანტური და კონტრ-რევოლუციონური ელემენტები დრო და დრო ადვილად ახერხებდნენ სასამართლოს, მილიციის და პროკურატურის ზოგიერთი მუშაკების შეცდომაში შეყვანას და მათზე გავლენის მოხდენას.

ვართანოვის გაძლიერებული ნერვიულობა დრო და დრო ართულებდა მდგომარეობას როგორც თავის მეზობლებთან ურთიერთობის დროს, ისე მისი საქმეების გარჩევის დროს.

3. აღინიშნოს, რომ უზენაესი სასამართლოს პროკურორის თ. დოლიძის ნაცნობობა ბეგიაშვილის ოჯახთან—უცხო და აშკარად ანტისაბჭოთა ელემენტებთან და ნინო ბეგიაშვილის მისვლა დოლიძის კაბინეტში შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ვართანოვის დევნაში და ყოველ შემთხვევაში გავლენას მოახდენდა სასამართლოს და პროკურატურის ზოგიერთ თანამშრომლებზე ვართანოვის საკითხისა და საქმეების გადაწყვეტის მხრივ.

4. საოლქო სასამართლოს პროკურორების კიკაბიძის და ქელიძის სათანამდებობო მოქმედებაში აღინიშნოს ვართანოვის წინააღმდეგ მიმართული ტენდენციოზობის ელემენტები, რაც იმით გამოიხატა, რომ მათ განზრახ დაარღვიეს პროცესუალური ნორმები ვართანოვის დევნის ნიადაგზე აღძრულ საქმეებში, აგრეთვე მათ ცდილობდნენ ვართანოვის დაპატიმრება ამიერ-კავკ. მუშ. და გლეხ. ინსპექციის ამიერ-კავკ. საოლქო საკონტროლო კომისიის შენობაში, ამასთანავე ეს ცდა შეუწყნარებელი უხეში ფორმით მოხდა; ამიტომ საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ ყოფილი პროკურორი კიკაბიძე, უპარტიო, უმაღლესი განათლებით, ამჟამად დამცველთა კოლეგიის წევრი, მიცემული იქნას პასუხისგებაში,—ხოლო ყოფილი პროკურორი ქელიძე, ამჟამად სახალხო მოსამართლე სამინაო საქმეებში, კიკაბიძის გავლენის ქვეშ ჩავარდნილი,—მოიხსნას აღნიშნული სამუშაოდან და ამიერიდან არასასურველად იქნას ცნობილი მისი შემდგომი გამოყენება სამოსამართლო თანამდებობებზე.

5. აღინიშნოს, რომ სასამართლოს ზოგიერთმა მუშაკებმა ვართანოვის დევნის ნიადაგზე აღძრული საქმეების წარმოება და გარჩევის დროს საკმაო კეთილსინდისიერი დამოკიდებულება არ გამოიჩინეს თავის მოვალეობათა ასრულებისადმი, რასაც შედეგად მოჰყვა პროცესუალური ნორმების სხვადასხვა დარღვევა; წინადადება მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პროკურორს ამხ. ვარძიელს, რომ თანამდებობის დამნაშავე პირებს დისციპლინარული სასჯელი დასდოს, კერძოდ ყურადღება მიაქციოს უზენაესი სასამართლოს წევრის გალუსტიანცის მოქმედებას.

6. აღინიშნოს, რომ ვართანოვის დევნასა და შევიწროვებაში მონაწილეობას იღებდნენ ქ. თბილისის მე-3 რაიონის მილიციის ზოგიერთი თანამშრომლები; მათ ვართანოვის საქმეში ტლანქი მიკერძება გამოიჩინეს, ჩაიდინეს სხვადასხვა უკანონო საქციელი და მის მიმართ ფიზიკური ძალაც კი იხმარეს; წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა კომისარს ამხ. ბერიას, რომ სპეციალური გამოძიების შემწეობით გამოარკვიოს მილიციის ყველა დამნაშავე თანამშრომლების ვინაობა და სასტიკ პასუხისგებაში მისცეს.

7. წინადადება მიეცეს საქ. პოლიტსამმართველოს, რომ კანონიერი მსვლელობა მიეცეს შეჩერებულ საქმეს ვართანოვის მოკვლის პირველი განზრახვის გამო და დაჩქარდეს გამოძიება ვართანოვის მკვლელობის სამზადისისა, რომელსაც ვინმე გარიბოვი ეწეოდა და, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1927 წლის ნოემბერში; დამთავრებულ გამოძიებას კანონიერი მსვლელობა მიეცეს.

8. აღინიშნოს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ა. ვართანოვი მუშაობდა საქართველოს საგანგებო კომისიის სასურსათო განყოფილებაში, რესპუბლიკის მილიციის მთავარ სამმართველოში, კავკასიის განსაკუთრებული არმიის სამხედრო-სამეურნეო განყოფილებაში, ისევ ამიერ-კავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიაში, სახელმწიფო ელექტრო ტრესტში და საგანგებო კომისიასა და სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში მუშაობის დროს მისი უახლოესი მონაწილეობით გამოარკვეულ იქნა მთელი რიგი თანამდებობრივი ბოროტმოქმედებები, სახელდობრ: აღმოსავლეთ საქართველოს უზენაეს სასამართლოს პროკურორის ყოფილ მოადგილე მაჭავარიანისა და ჯორბენაძის მექრთამეობა, საქართველოს საგანგებო კომისიის ყოფილ რწმუნებულ პოპლავსკის (დახვრეტილია, მექრთამეობა, ბოროტმოქმედება სახსპირტში (ავაქოვის საქმე), აგრეთვე ბოროტმოქმედებანი კავკასიის განსაკუთრებული არმიის სამხედრო-სამეურნეო სამმართველოში (კარელინისა და უსეინოვის საქმე), სახელმწიფო ელექტრო-ტრესტის საქმე და სხვ.

პრესიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ 1918 წელში მან გამოააშკარავა 10 სასურსათო მუშაკის ბოროტმოქმედება. მიუხედავად თავისი ასეთი მუშაობისა, ვართანოვს სისტემატიურად ითხოვდნენ „შტატების შემცირების გამო" ყველა იმ დაწესებულებებიდან, სადაც ის მუშაობდა. ამასთანავე დამახასიათებელია, რომ ყოველი დათხოვნის დროს ვართანოვი როგორც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე, ისე შემდეგ, დამთხოვნელ დაწესებულებებიდან ღებულობდა მოწმობებს, რომლებიც ახასიათებდნენ მას, როგორც პატიოსან, ერთგულ და აღმასრულებელ მუშაკს.

აღინიშნოს, რომ ასეთი დევნის გამო ვართანოვი ორი წლის განმავლობაში უმუშევრად იყო დარჩენილი.

9. ვინაიდან ვართანოვის საქმეში ჩანს განსაკუთრებით დაუშვებელი მიკერძოებისა და საქმის გამრუდების ელემენტები ზოგიერთი სამოსამართლო ორგანოების მხრივ მათ ქვემდებარე საქმეებისადმი, აგრეთვე წვრილ-ბურჟუაზიულ გავლენის შეპარვა ჩვენი სახელმწიფო აპარატის ცალკე ნაწილებში—საჭიროდ იქნას ცნობილი ვართანოვის საქმის გამოქვეყნება პრესაში.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი **ა. დოლიძე.**

ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს.რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი **ა. ნაზარეტიანი.**

ქუთაისი აღდგენილი უნდა იქნეს

მუშაობა გადამწვარ უბნის აღსადგენად იწყება

მთავრობის კომისიის წევრებისა და მთავარ ტექნიკურ კომისიის გამგზავრება ქუთაისში

გუშინ საღამოს ქუთაისში გაემგზავრენ ქუთაისში ხანძრის დროს დაზარალებულთა დახმარების აღმოსაჩენად მთავრობის მიერ დაარსებული კომისიის წევრები ამხ. ს. **ჯულელი, გ. მგალობლიშვილი** და **გოლქვაძე** და მთავრობის კომისიის მიერ შედგენილი მთავარი ტექნიკური კომისია საქ. სახ. მეურ. უმ. საბჭოს თავმჯდომარის ამხ. **გ. ჩიჩინაძის**, საქართ. სამშენებლო ტექნიკ. კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. **ვაშკევიჩის** და ინჟინერ **სოლოვიოვის** შემადგენლობით. მათთან ერთად ქუთაისში გაემგზავრა აგრეთვე ა.-კ. საამშენებლო ტექ. კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **სამოილოვი** და თბილისის აღმასკომის მთავარი ინჟინერი **ქურდიანი.**

საუბარი ს. ჯულელთან

ქუთაისში გამგზავრების წინ, ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. ს. **ჯულელმა** განაცხადა:

„ხანძრის დროს გადამწვარ უბნის დაჩქარებით აღსადგენათ მიღებულია ყოველგვარი ზომები. ამჟამად ჩვენ დაჩქარებული ტემპით ვაწარმოებთ მოსამზადებელ მუშაობას. პირველ ყოვლისა გამორკვეული უნდა იქნეს, თუ რამდენათ უნდა გაიწმინდოს გადამწვარი უბანი დარჩენილ კედლების ნანგრევებისაგან და რამდენათ შეიძლება იმ მასალების გამოყენება. რომელიც ადგილზე დარჩა ხანძრის შემდეგ. ამ საკითხების გამორკვევის შემდეგ საჭირო იქნება უბანის გაწმენდა უვარგის მასალისაგან.

ამასთანავე ერთად იწარმოებს გადამწვარ უბანის დაგეგმვა. ეჭვს გარეშეა შეუძლებელი იქნეს მთელი დაზარალებული მოსახლეობის იმავე ადგილზე დასახლება და საჭირო გახდება ახალი ადგილის შერჩევა მათ დასასახლებლათ. ამასთანავე ერთად მთავარ ტექნიკურ კომისიას დავალებული აქვს შემუშაოს ტიპიური სახლის გეგმა, რომლის მიხედვით იწარმოებს მშენებლობა გადამწვარ უბანში. ტიპიურ სახლების ხასიათის და ტიპის შესამუშავებლათ შეიძლება გამოცხადებული იქნეს კონკურსი.

ჩვენი გამგზავრების მიზანია ზოგიერთ საკითხების გამორკვევა ადგილზე და ხელმძღვანელობის გაწევა მუშაობის დაწყებისათვის.

ქუთაისში დანიშნული იქნება ადგილობრივი ტექნიკური ქვეკომისია, რომელიც შეუდგება პრაქტიკულ საქმიანობას: გადამწვარი უბანის გაწმენდას, დაგეგმვას და სხ.

ტიპიურ სახლების ასაგებათ შერჩეული იქნება ეკონომიური საამშენებლო მასალები (ადგილზე), რომელიც შედარებით იაფი დაჯდება.

ქუთაისის კომისია იმუშავებს მთავრობის კომისიის დავალებათა მიხედვით. ქუთაისის აღდგენის საქმეში გამოყენებული იქნებიან ქუთაისის აღმასკომის და რაიონების ტექნიკური მუშაკები.

თბილისში დაბრუნების შემდეგ მთავარი ტექნიკური კომისია შეუდგება ქუთაისის აღდგენასთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხების დამუშავებას, ეს მუშაობა, თანახმად მთავრობის კომისიის დადგენილებისა, დამთავრებული უნდა იქნეს ორი კვირის განმავლობაში.

დახმარება ქუთაისს

გამოხმაურება

მთავრობის კომისიაში

10.000 მან.

ამერიკულ კომიტეტთან არსებულმა ა.-კ. სახკომსაბჭოს წარმომადგენლობამ ქუთაისის ასადგენათ მთავრობის კომისიას გადასცა 10.000 მან.

გუშინდლამდე შეკრებილია 40.000 მან.

მთავრობის კომისიის ცნობით, ქუთაისის დაზარალებულ მოსახლეობისთვის დახმარების აღმოსაჩენად, გუშინდლამდე შემოწირულების სახით კომისიამ მიიღო 40.000 მანეთი.

20.000 მანეთი თბ. აღმასკომისაგან

ხანძრისაგან დაზარალებულ ქუთაისის მოსახლეობის დასახმარებლათ მთავრობის კომისიამ თბილისის აღმასკომისაგან მიიღო 20.000 მან.

500 მანეთი ებრაელთა მიწათმომწყობ საზოგადოებისაგან

მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობ თბილისის საზოგადოებამ მთავრობის კომისიას გადასცა 500 მანეთი.

მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი კომისია განაგრძობს შემოწირულების შეგროვებას.

„კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა

შემომაქვს ათი მანეთი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: სიღნაღის განათლების განყოფ. გამგეს მენთეშაშვილს, პედაგოგ. ტექნ. გამგეებს; სამ. ეკონ. ტექნ. გამგეს მ. ხაჭაპურიძეს, 9-წლ. გამგეს კოკაჩეიშვილს, 7-წლ. გამგეს გოგოლაშვილს; მასწავლებლებს: ლ. ნატროშვილს, ვ. ლოლაძეს, პ. ცანცაძეს, თ. ნაცვლიშვილს, ნ. წულუკიძეს; ნ. შარაბიძეს, ნ. ხუნდაძეს, ზ. გოცირიძეს, ა. ამიანს, მ. ოთაროვას და განკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს მ. კორკოტაშვილს.

ნიკ. ფილიპეს ძე მეზრელიშვილი.

—

თანახმად ლეილა ღლონტის გამოწვევისა, შემომაქვს ერთი მან. ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ და 1-ლ საბავშვო ბაღიდან ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ლილი ჯულელს, ეთერი ლორთქიფანიძეს, ფაცა გვარამიძეს, მერი ბრეგვაძეს და თამაზ ბერიძეს, ჩემს ბიძაშვილს ცოლა გიორგის ასულ ქარცივაძეს და კუსა თომას ძე სიხარულიძეს.

7 წლის თალიკო საგაშვილი.

—

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: თამარ კეზელს, მირიან კლდიაშვილს, ირაკლი ჩიტაშვილს, ზინა თენიეიშვილს, გივი ჩიჩიას, თინა გოგოლაშვილს, ელიკო მიქაძეს, ელენა ეპიტაშვილს, ნადია ნანეიშვილს, ბიჭიკო და ცუცია საბაშვილებს და გრიშა ითხების ძე ოსიპოვს.

მე-8 ჯგუფის მოწაფე **მიშა (უსკუ) საგაშვილი**

—

ლეილა ცერცვაძის გამოწვევით ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვების სასარგებლოდ შემომაქვს ორი მან. და ვიწვევ ჩემს ნათესავთ და ამხანაგებს: ჭოჭიკო მირიტაძეს, როდამ სავინაშვილს, (სოხუმიდან) ელეონორა აბულაძეს, ელგუჯა ბერძენიშვილს, ფარნაოზ და გუგულა მამულაშვილებს, ისო და თამარი ლოლაშვილებს გუგა ლოსაბერიძეს, თენგიზ და რამაზ სოხჩინსკებს, მედიკო იაშვილს, თეზიკო ჩუჩულაშვილს, აკაკი მთვრალიშვილს, ვენერა მეფარიანს, მერი დარაბეგოვს, ლენა გუბონს; შალიკო და შოთა ბაზლძეებს, (მეჯვრისხევიდან) გივი ცინცაძეს.

6 თვ. **ლამარა ირაკლის ასული გაბუნია.**

ამხ. ცოლა ტუაბლაძის გამოწვევით შემომაქვს ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გივი ლორთქიფანიძეს, მალხაზ ერისთავს, ვახტანგ (პატარა) მუსხელიშვილს, რეზიკო ჩომახიძეს, თენგიზ გოგოტიშვილს, თინა ბერიძეს და კოკა ჭიჭინაძეს. ქუთაისიდან: ლევან თოფურიას, ვახტანგ ნარიშელაშვილს და ლია შენგელაიას.

ქეთინო (ფუცქურია) ჩხეიძე

ქ. თბილისის № 1 ხე-ტყის სახერხ ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს შემოაქვთ ქუთაისის ფონდში ერთი დღის ხელფასი ას ოთხმოცდაოთხი მანეთი და 8 კ. რაოდენობით და იწვევენ: ს. ტ. მ. ტრესტის სამმართველოს, თბილისის გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკას, ერთეულთა ადგილკომს და ფოლაქების ფაბრიკებს: „ლეიბედს" და „კოლხიდა"-ს.

ქარხკომი.

—

ამხ. სვიმონ ჯულელის გამოწვევით ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს 15 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ირაკლი ფოთრაპაშვილს („საქართველოს ღვინო"), ნიკო გაბაშვილს (ქარხანა „ჭაჭა"), სოსო ბესელიძეს („სოფლის კავშირი"), კოტე ბუაჩიძეს (მიწაჯუთის წყლის სამმართველო), მიხეილ ჩუბინიძეს (საზ-ბა „იმერეთი") და შალვა თუთბერიძეს (საზ-ბა „იმერეთი").

სევა ქუხალეიშვილი.

—

ამხ. ცოლა ტუაბლაძის გამოწვევის თანახმად შემომაქვს სამი მანეთი ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გულნარა ბრეგვაძეს, გივი დადიანს, მაგდა დარახველიძეს, ლილი ბობოხიძეს. ქუთაისიდან ზურიკო ნუცუბიძეს, ნაზიკო ბაპავას, დოდა და სარა მეფარიანებს; შოთა დევდარიანს. ზუგდიდიდან—გრეტა ნაჭყებიას, ჯუანშერ მუჯირს და თორნიკე შენგელიას.

ოთარი (ლევი) გრიგოლის ძე გაბუნია

—

ქუთაისის დაზარალებულ მოსახლეობის სასარგებლოდ შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: სერგო ბახტაძეს, ილიკო და თამარა კვანტალიანებს, ტოსია ბუილაშვილს, მარგო ქილარჯიშვილს; აბესალომ იოსიძეს, ცოლიკო [illegible]; ირაკლი ქორიძეს, ნინა დვალიშვილს, ვერა კვანტალიანს, გრიშა ჯულინიძეს და ალექსანდრე დვალიშვილს.

გრიგოლ კოხ-ძე კვანტალიანი.

—

საბინაო საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობა № 2-ის გამგეობას შემოაქვს ხანძრისაგან დაზარალებულ ქუთაისის ასადგენად 20 მანეთი და იწვევს ყველა საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობებს.

გამგეობა.

—

ლეილა ცერცვაძის გამოწვევით ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ: რეზიკო ფიროუძეს, ჯელილ წაქაძეს, ლევან ჯაყელს; ლია კახიძეს; დოდო ჩხენკელს, ლამარა ნაცვლიშვილს, ოთარ ნაცვლიშვილს, დევი დუმბაძეს; ნოდარ ჭიჭინაძეს, ლიალი ჭანიშვილს და თემურ ჭანიშვილს.

ლეილა ვიქტორის ასული ცერცვაძე.

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს 5 მანეთი და ვიწვევ ქ. ჭიათურიდან საქციო საზოგადოება „ქართული მარგანეცი"-ს შემდეგ თანამშრომლებს: შაიდარ აბაშიძეს, ვალერიან შავგულიძეს, ბიგენტი აბესაძეს; პლატონ საყვარელიძეს; კოწია, კოლია და გრიშა ჯაფარიძეებს, ეფიმ გოლინკოს, ივანე სპანიდის და დავით მაჭარაძეს.

სევერიანე სიმსივი.

—:—

თანახმად მთავრობის მოწოდებისა, შემომაქვს ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ქ. თბილისიდან: თეოფილე შენგელიას; ევგენი და მარო მჭედლიძეებს; გრიგოლ მელიქიშვილს; ირაკლი გაბელაიას; ილია მაჭავარიანს; ნიკოლოზ ჭაჭრაკიას; ქ. ფოთიდან: გრიშა კიზირიას, ლევან ფანცულაიას; და სამტრედიიდან: ვასილ ლაპარტყავას.

გრიშა მელიქოვი.

—:—

ამხ. თ. დაშნიანის და ვ. რატიანის გამოწვევით ქუთაისში ცეცხლით დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოგვაქვს ორი მანეთი და ჩვენის მხრით ვიწვევთ შემდეგ ამხანაგებს: პედაგოგიური ინსტიტუტიდან: შ. მამარდაშვილს; მ. ფალიანს; შ. ფაჟავას; მ. გობრონიძეს, აგრ. სვანიძეს და ს. კერესელიძეს, სახელმწიფო უნივერსიტეტიდან: ს. ფალავას; თ. მელიქაძეს; შ. ურუშაძეს; ალ. კვანტალიანს, გალ. ცინცაძეს, ალ. ონიანს და ესე ურუშაძეს.

შალვა სალუქვაძე, მიხეილ გოგნიაშვილი.

—:—

ქუთაისში ხანძრით დაზარალებულ ებრაელ ბავშვთა სასარგებლოთ შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ჩემს ამხანაგებს:

თალიკო დავითის ასულ გვაზავას; ლეილა სერგის ასულ ამილახვარს, გურამ პოლიკარპესძე ბახტაძეს; ნანა კონსტანტინეს ასულ ლორთქიფანიძეს, დოდო გიორგის ასულ ფურაძეს; მარლენ გრიგოლისძე კობიძეს; დიოგენი ვლადიმერისძე ქუთათელაძეს; კუნი ვლადიმერისძე ცაგარელს; რეზო გიორგისძე ჩხეიძეს; თეიმურაზ გეგესძე გარსევანიშვილს; თენგიზ ნიკოლოზისძე შავიშვილს და სამტრედიიდან—თალიკო ტეტეს ასულ და თორნიკე გიორგისძე სიხარულიძეებს.

ხუთი წლის **რეზო აკაკისძე კალაძე.**

—:—

ქ. ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ პირებს: ფახანაურიდან—ილიკო აფციაურს; პავლე აფციაურს, ვახო ქავთაროვს; კოლია მელოქოვს; გიორგი შერგილოვს; მიშა აფციაურს; კოლია კაიშაურს; კოლა სართიკიშვილს; ლუკა ოსიტაშვილს; იოსებ გუდიევს.

მოწაფე **ვახტანგ აფციაური.**

—:—

გულნარა ხინაურიძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ბავშვებს: ნელი ჯანდიერს; ქეთო ჭიჭინაძეს; მედიკო ჭელიძეს; ლეილა ფალავანდიშვილს; ლამარა და რევაზ ტყეშელაძეებს; თენგიზ პიტახას; ქუთაისიდან: რევაზ მიხეილისძე თევზაძეს; შახნაზ ვახტანგისძე ხუციშვილს; სამტრედიიდან: დოდო, ვასიკო და დიმიტრი რატიანებს და ბათომიდან: თეიმურაზ დავითისძე ჯავრიშვილს.

პატარა **თამაზ ვლადიმერისძე თევზაძე**

—:—

შემომაქვს ერთი (1) მანეთი, ქუთაისის ხანძრით დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოთ და ვიწვევ შემდეგ პირებს: თინიკო ვალიკოს ასული დოლიძეს, თამრიკო ხაბას ასული გაჩეჩილაძეს; ზურა ვანოს ასული მახვილაძე; ხუტუნა შალვასძე ქველაძეს; ჟენია მიშასძე გეტმანსკის; ოთარი გრამიტონისძე ლეჟავას; ქუთაისიდან: კოტიკო ნოესძე ესაიაშვილს; ოთარ ქრისტეფორესძე ესაიაშვილს; ბენია გაიოზისძე ლოსაბერიძე; ცაბა გრიგოლისძე სოფრომაძეს; სოფ. ვარციხიდან: ვახტანგი ვანოსძე ხვიჩიას.

7 წლის **ბიძინა ვალ.-ძე ესაიაშვილი.**

—:—

თანახმად ამხ. ნესტორ თარგამაძის გამოწვევისა, შემომაქვს ხუთი მანეთი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

პარმენ ხაბაშვილი.

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალ. დასახმარებლად გუშინ „კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა 276—08, სულ წინად შემოსულთან ერთად—9.505—68.

დ. ა. გორბოვის წიგნაკის გამო

„თეთრ ემიგრანტების ლიტერატურის შესახებ"*)

გულუბრყვილო გაოცება, რომელსაც ჩემში ემიგრანტები იწვევდნენ, ლენინის ავადმყოფობის დროს ზიზღმა შესცვალა.

ამ ქვეყანათ ნახევარ საუკუნეზე მეტი მიცხოვრია, ბევრი უხამსობა მინახავს და ბევრიც წამიკითხავს. მაგრამ არაფერი მინახავს იმ საზიზღარი დღენის, იმ ცოფმორეული ღრუტუნის, იმ ტყუილისა და ცილის წამების ნიაღვარის მსგავსი, რომელმაც „კულტურიანი" ემიგრანტების წიაღიდან გადმოხეთქა ამ ადამიანის ავადმყოფობის დროს და სიკვდილის შემდეგ, ადამიანის, რომელიც წელში გაწყდა რუსეთის ასაღორძინებლათ წარმოებული მუშაობის დროს, იმ დროს როცა მთელი ქვეყანა განადგურებული დარჩა უგუნური თვითმპყრობელობის, სამარცხვინო ომის და იმ ყოვლად უნიჭო გენერლების ველური თარეშის წყალობით, რომელნიც „რუსეთს იცავდნენ" და ამისათვის ქალაქებს ანგრევდნენ და ხალხს ჟლეტდნენ.

ემიგრანტების პრესის უსირცხვილობას, ცინიზმს და მატყუვრობას ვერაფერი შეედრება გარდა მათივე ორპირობისა. მე არა ვარ იმ პუბლიცისტების ლიტერატურული ხერხების თაყვანისმცემელი, რომელნიც აზრთა თავისუფლებას ვერ არჩევენ თავშეუკავებელი გამოთქმებისაგან. და თუ მეც ამ სტატიაში მძაფრათ ვლაპარაკობ, ეს გარემოება სრულიადაც იმით არ აიხსნება, თითქო სურვილი მქონდეს ემიგრანტული პრესის ხულიგნებს წავბაძო, არამედ მხოლოდ იმით, რომ უფრო მჭევრმეტყველი სიტყვები არ მომეპოვება ჩემი ზიზღისა და სიძულვილის გამოსახატავათ.

დიდი უსირცხვილობაა ბოლშევიკების „სისხლის მსმელობაზე" ლაპარაკი იმ დროს, როცა ჯერ კიდევ ცოცხალნი არიან მსოფლიოს ოთხი წლის ომის სასაკლაოს მომწყობნი, რომელნიც დღესაც „ქვეყნიერების მშვიდობიანობის" სახელით გულმოდგინეთ აქცევენ და ნაჭერ-ნაჭერ ჰკუწავენ ადამიანებს.

უმაღლეო ფარისევლობაა „წითლების" სიმკაცრეზე განგაშის ატეხა და იმ ფაქტების მიფუჩეჩება, რომელნიც ამავე წითლებთან სადისტურათ ანგარიშის გასწორებას მოწმობენ და რომელთა შესახებ თეთრები კვეხნით გვიამბობენ თავიანთ მოგონებებში. რატომ თავიანთ გაზეთებში ხან და ხან მაინც არ გადაბეჭდავენ ისეთ საგულისხმიერო ნიმუშებს, როგორიცაა მაგალითათ ბ. დენისოვის მოთხრობა მის წიგნში: „თავისუფალი აზრები".

„ყუბანის განმანთავისუფლებელს, გენერალ პოკროვსკის, რომელმაც მაიკოპში (1918 წლის შემოდგომაზე) ორი ათასი ტყვე ასჩეხა და ამის შემდეგ საზოგადოთ უარი სთქვა ტყვეების ცოცხლად წაყვანაზე—ღრმა შავი თვალები აქვს, ბავშვის ან მეოცნებე ქალის კეთილი, პირდაპირ მაცქერალი, სხივოსანი თვალები. „კიდევ რით გაგართოთ, ამბობს იგი ხელის ნებიერი მოძრაობით, დაათვალიერეთ თუნდ ჩემი ალბომი კამიშინის სურათებისა". და მაწვდის ვარდისფერ ატლასის ყდიან ალბომს, საკმაოთ ფართოსა და დიდტანიანს. პირველ გვერდზევე შემდეგი სურათია: სდგას პატარა სახლი, სახურავზე გიორგის დროშა ფრიალებს, სახლის წინ გენერალი ზის ადიუტანტებითურთ, იქვე საჩრჩობელაზე ოთხი ადამიანი ჰკიდია... მეორე გვერდით ვოლგის კლდოვან ნაპირს წარმოადგენს, აქ ორი კაცი ჰკიდია. სახელოებზე წითელი ასისთავების ნიშნები აქვთ... მესამე გვერდი მოედანს გამოჰხატავს—აქ მოქალაქეები ჰკიდიან. ადიუტანტი მიხსნიდა: „რამდენიმე იდეური კომუნისტი დავიჭირეთ. გენერალს მოვახსენეთ: ასეა საქმე, რა ვქნათ, ხელში ტყვეები ჩაგვივარდა. იმან გვიპასუხა: „ეჰ, ჭკუის კოლოფებო! სწორეთ იდეური ადამიანი უნდა ჩამოახრჩოთ. არაიდეური შეიძლება გაწკეპლოთ, არაყით გაამრუდოთ და საბრძოლველათ გაუშვათ, იდეურ კაცს კი რას უზამ?". მეოთხე გვერდზე უბრალო ხეა გადაღებული, ზედ რაღაც ჰკიდია... „ბუნების სილამაზე ადამიანის ფიგურასაც მოითხოვს—მეუბნება გენერალი და მარტო თვალებით იღიმება:—მე პუსსენისა *) არ იყოს ვერ ვიტან მკვდარ ბუნებას"... ყველანი ვიცინით და მეზობელ ვაგონებში მივდივართ ვახშმის საჭმელად. შამპანიურის შემდეგ ორი ახალგაზრდა სომეხი (მეჩონგურე და მემანდოლინე) დიდხანს უკრავს ბოშურ რომანსებს და ხალხურ სიმღერებს".

ასეთი მოთხრობა მრავალია და მე მათ გაცნობას ვურჩევ ბ. მელგუნოვს, მას მათი შემწეობით კიდევ ერთი წიგნის შეთხზვა შეუძლია.

რა გასაოცრათ ადვილათ დაივიწყეს ისეთი საგულისხმიერო და ღირსშესანიშნავი სიმკაცრის აქტები, როგორიც იყო 9 იანვარი პეტერბურგში, 13 იანვარი რიგაში, ლატიშების გაჟლეტა გენერალ ბეკმანისა და ოსტზოელ ბარონების მიერ, რენენკამპფის მიერ ციმბირელების დასჯა, ქართველების დარბევა და „დამამშვიდებელთა" სხვა სისხლიანი საქმენი საგმირონი 1906—7 წლებში; ვილას ახსოვს ებრაელების პოგრომები, მუშების მასიური ხოცვა-ჟლეტა ლენაზე, ზლატოუსტში და სხვა ან ორიოლის და სხვა საკატორღო ციხეები, ამურის შარა გზა და ურიცხვი სისხლიანი გაკვეთილი, რომელიც თვითმპყრობელმა მთავრობამ მისცა რუსის ხალხს, ბუნებით ისედაც სისასტიკის მოყვარულს, როგორც მე ვამტკიცებ. ხალხის თაყვანისმცემელთა სანუგეშოთ ვიტყვი, რომ რუსი ადამიანი სისასტიკეში განსაკუთრებულ ნიჭს იჩენს. ნიჭის ამ ფორმას თქვენც ვერ წაგართმევთ, ბატონებო, თუმცა თქვენი სისასტიკე ჯერჯერობით მხოლოდ ენაწყლიანობაში იხატება. მაგრამ მგონია, რომ თუ... ბედმა გაგიღიმათ ალბათ ბევრ ადამიანს გამოსჭრით ყელს.

თავის თავად იგულისხმება, რომ აზრათაც არ მომდის ვისიმე სიმკაცრის გამართლება. მაგრამ უცილობლათ უნდა ვაღიარო ის ფაქტი, რომ არც ერთი ევროპიელი ხალხი არ გაუტარებიათ სისხლის, წამების და ცინიკურ მასობრივ ხოცვა-ჟლეტის საშინელ უნივერსიტეტში ისე, როგორც რუსის ხალხი გაატარეს და არც ერთი მათგანისათვის არ მიუციათ ისეთი ხელშესახები და მოსაზრებული გაკვეთილები, როგორც მას მისცეს. ცნობილია, რომ 1905 წლიდან რუსის მატროსები წარმოუდგენელ ტანჯვას განიცდიდენ. ცნობილია, რა აუტანელი იყო რუსის ჯარის კაცის ხვედრი და როგორ ულმობლათ, როგორი ავხორცული სიტკბოებით სწკეპლავდნენ რუსის გლეხს. თუ რუსის ხალხი თქვენ და სამწუხაროდ ასეთი „წითელი" გახდა, ეს იმით აიხსნება, რომ იგი თავიდან ფეხებამდე მისივე სისხლით შეღებეს.

ახლა უნდათ დამაჯერონ, რომ მთელი ეს სიმხეცე უკვალოთ გაჰქრა და ხალხმა მაინც რაღაც კეთილი, ნაზი, განსაკუთრებული რუსული სული შეინარჩუნა, რომელიც ტკივილსა და შეურაცხყოფას არ გრძნობს და არც იმახსოვრებს, დაშორებულია შურის ძიებას და მტერს ყოველივეს შეუნდობს.

მაგრამ, ბატონებო, ასეთი სული ხომ ჭეშმარიტათ მკვდარი სული იქნებოდა! მომავალი, ბრწყინვალე რუსეთის საბედნიეროთ ჩვენში ასეთი სული აღარ არსებობს, თუ საზოგადოთ იგი ოდესმე არსებობდა. დღეს მისი ნახევრათ მკვდარი ძილი დამთრთხალია. ადამიანის სული აღშფოთებულია, მისი მღელვარება მატულობს და ამასთან ერთად იზრდება მისი ნებისყოფა ცხოვრებისადმი. ხდება მისი დაჭკვიანება, მისი განმტკიცება.

მაგრამ თავისი ნებისყოფას იგი ალერსიანათ და სულგრძელათ კი არ გამოხატავს, არამედ პირქუშათ. რაც უნდა იყოს იგი ჯერ კიდევ გაჯანსაღებული არაა, მას ძლიერ კარგად ახსოვს ახლობელი, შემაძრწუნებელი წარსული, ეშინია მისი დაბრუნებისა, მოწამლულია შურისძიების საწამლავით. დამეთანხმეთ, რომ აქვს სიძულვილის უფლებაც და შურისძიების მიზეზიც. და არსებითად რუსეთის სისხლიანი რევოლიუცია ბევრათ ნაკლებ სისხლიანია, ვიდრე მოსალოდნელი იყო. კიდევ უფრო ნაკლებ სისხლიანი იქნებოდა, ბატონებო, თქვენ რომ თავმდაბლათ მოქცეულიყავით, ანგარიში გაგეწიათ თქვენი ნიჭისა და ძალ-ღონისათვის, არ ჩარეულიყავით გენერლების ავანტიურაში, არ გამოგეწვიათ ინტერვენცია. იგი უფრო წყნარათ და წარმატებულათ განვითარდებოდა და თუ თქვენ თამამად და პატიოსნათ მომქმედი ადამიანების შეცდომების, პირადათ თქვენ მიერ განცდილი ვიწროობის და შეურაცხყოფის დავიწყება გცოდნოდათ. მაგრამ სულმოკლეობის გამო თქვენ არც დავიწყება შეგიძლიათ, არც გაგება.

თქვენ თავმოყვარე და უნიჭო ადამიანები ხართ და თქვენი გულზვიადობა ისევე უზომოა, როგორც თქვენივე უძლურება. თქვენი უძლურება ისტორიის ფაქტია, უცილობელი ფაქტი, ამ უძლურებას ვერაფერი უშველის. ვერც თეთრმა გენერლებმა, ვერც „ინტერვენციამ". მოიგონეთ რა ადვილათ გამოგიყენეს გენერლებმა თავიანთი უმარტივესი, აშკარა ბანდიტური მიზნებისათვის.

ამის შემდეგ ძირითადი გრძნობა, რომელითაც თქვენ დღემდე ხელმძღვანელობთ არის გრძნობა პირადი შეურაცხყოფისა. ამ გრძნობას აქვს ერთნაირი გამართლება: თქვენ მართლაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეთ რუსული კულტურის განვითარების პროცესში, საკმაოთ ენერგიული რაზმელები იყავით. მაგრამ ეს მუშაობა კიდევ არ კმარა თქვენი გულზვიადობის გასამართლებლად, იგი ვერც თქვენი ველური გაბოროტების გრძნობას ამართლებს იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც არ შეეშინდათ ხელისუფლების დაპყრობისა და დღესაც მართავენ რუსეთს. და მართავენ, თუმცა თქვენ მთელ ძალ-ღონეს იკრებთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების წარმატება არ დაინახოთ და არ იწამოთ.

თქვენ, ვინც რუსის ხალხის წინააღმდეგ „თორმეტი ერის" შემოტევას ჰქადაგობთ, სიტყვა არ უნდა დაგეძრათ სისასტიკის შესახებ. განსაკუთრებით დღეს, როცა თქვენ სრულიათ გაცოფდით სიბრაზისაგან, რაიცა სჩანს თქვენს სამარცხვინო დამოკიდებულებაში იმ ადამიანების ღვაწლისა და სიკვდილისადმი, რომლის სახელი სამუდამოთ რუსეთის სიამაყეთ დარჩება და რომლის შესახებ ჩვენი დროის უდიდესმა იდეალისტმა, მშვენიერი სულის პატრონმა რომენ როლანმა სთქვა:

„ლენინი ყველაზე დიდი და ყველაზე უანგარო ადამიანია ჩვენს საუკუნეში".

ლენინი დარჩება რუსეთის ისტორიაში, ხოლო თქვენ, უსაქმობით, გაბოროტებით და სევდით გაწამებული ადამიანები ჩქარა საფლავებში ჩაწვებით. და დროც არის ეს საქმე დააჩქაროთ, რათა თავიდან აიცილოთ კიდევ ფრონტისა და „მიჯნების" შეცვლა. მიტომ, რომ, თუმცა დღეს ბოლშევიკებს ექიშპებით, მაგრამ განა შეიძლება ითქვას ხვალ ვის ლაქიათ გადაიქცევა დღევანდელი „რიგიანი" რუსის ადამიანი? თქვენ მოგეხსენებათ რა ადვილათ და უბრალოდ გადადიან თქვენი ბანაკის ადამიანები თქვენი მტრების ბანაკში. და უეჭველია არ სცდებით, როცა თქვენი მეგობრების რენეგატობის მოტივებში, სხვათა შორის, ანგარებასაც ხედავთ.

თქვენ ჩქარა წახვალთ ამ ქვეყნიდან, სადაც თქვენი პირდაპირი ბოროტება არავის სჭირია თქვენს გარდა და თქვენ თვისაც იგი ალბათ მძიმე ასატანია.

ხოლო ბოლშევიკები დარჩებიან. ისინი ხან უკან იხევენ თავიანთი მიზნებიდან და ხან ხელახლა უახლოვდებიან მათ, მუშაობენ გაუგებრობის, ცილისწამების, სიცრუის; მხეცური ღმუილის და ღრუტუნის ატმოსფეროში,—მაგრამ მაინც წინ მიდიან და თან მიჰყავთ რუსის გლეხობაც. თქვენი შვილები მოგშორდებიან და მათთან მივლენ. თქვენდა შეუმჩნევლად თქვენვე ასწავლით საკუთარ შვილებს თქვენი უძლურების შეგნებას და მამების, ამ მორალურათ გაკოტრებული ადამიანების, ზიზღს.

მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ბოლშევიკები წავიდნენ და თქვენს წინაშე თავისუფალი გზა გაიხსნა რუსეთში დასაბრუნებლათ. მოიკრიფეთ რაც სინდისი და გონება შეგრჩენიათ და სთქვით: რა შეგიძლიათ ახლა რუსის ხალხს მოუტანოთ? თქვენ ხომ აღარაფერი გაგაჩნიათ და ის „ხალხიც" აღარსად არის, რომელსაც თქვენ წინათაც ცუდათ იცნობდით და დღეს ხომ სრულიად ვერ იცნობთ. პირადათ დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ რუსეთში მხოლოდ გაამრავლებდით სულით ღატაკთა და უკულმართათ გაბოროტებულ ადამიანების რიცხვს. ნუ იტყვით, რომ თქვენ არ შეგიძლიათ ადამიანის დაცინვა, წამება და მოკვლა, — ამას ვერ დაგიჯერებთ. თქვენ ყოველდღე ამოწმებთ, რომ აქამდე შეგრჩენიათ ასეთი მოღვაწეობის უნარი. დარწმუნებული ვარ რომ უამრავ ხალხს გაჟლეტთ. დღესაც ხომ სახრჩობელას და ტანჯვა - წამებას გვიქადით ლექსსა და პროზაში.

ამაოთ ლაპარაკობთ რუსეთის სიყვარულსა, ჰუმანიზმსა და სხვა ამგვარ რამეებზე. თქვენ მექანიკურათ თითქო ჩვეულების ძალით თავიანთ თავს ჰუმანისტებათ სთვლით, გახსოვთ რომ მაგალითათ ებრაელების სიძულვილი—საზიზღრობაა, მაგრამ „უცხო ტომის" წარმომადგენლებზე; ლატიში იქნება იგი თუ სხვა ვინმე, იმავე ანტისემიტის ენით ლაპარაკობთ. ვინ დაიჯერებს თქვენ ჰუმანიტობას, როცა წაიკითხავს და იგრძნობს, როგორი აღხორცებით აღნიშნავთ ხოლმე საბჭოთა კავშირის ყოველ შეცდომას და მარცხს და როგორ გულწრფელათ გლონებთ მისი თვითეული გამარჯვება?

რაც უნდა სთქვათ ბოლშევიკებზე, მაინც ვერ უარჰყოფთ, რომ მათ ჭეშმარიტათ გრანდიოზული სიმძიმე იკისრეს, არაადამიანური ძნელი ამოცანა დაისახეს, მიტომ რომ ეს ამოცანა შეიცავს ყოველივე იმას, რის განხორციელებას ოცნებობდნენ ამ ქვეყნის უგონიერესი და უგულწრფელესი ჰუმანისტები.

ამ ადამიანებს შორის თქვენ ადგილი არ გაქვთ. თქვენი საქმე წაგებულია. ეს მკაცრი და სისხლიანი საქმე იყო. ვიმეორებ: ამაოთ მსჯელობთ ჰუმანიზმზე. თქვენი ბოროტება ბრმა ადამიანის ძაღლს ჰგავს, იგ თვითონვე აჩვენებს თქვენი გაუტანლობის სამარცხვინო სიმახინჯეს.

⁂

არავის ევროპაში ისე ხმამაღლა არ უჩივლია ცხოვრების წინააღმდეგ, როგორც რუსის ინტელიგენციას. იგი მთლიანად მიჯაჭვული იყო კაპიტალისტური სახელმწიფოებრიობის კატორღაზე, ეს სახელმწიფო სანახევროდ მკვდარი, პირდაპირი, ადამიანთა მომწამვლელი იყო. ამ ინტელიგენციის მოძღვრები გოგოლი, დოსტოევსკი, ტოლსტოი სამართლიანათ ამტკიცებდნენ, რომ ცხოვრება საზიზღარია თავისი ტყუილით, ორპირობით, სიმხეცით, ცინიკური ეგოიზმით.

ცხოვრება თანდათან უფრო საზიზღარი ხდება თავისი გატიტვლებული ცინიზმით. ადამიანს სული ვერ მოუთქვამს სიძულვილის, გაბოროტების, შურისძიების ატმოსფეროში. და ეს ატმოსფერა უფრო და უფრო შედედდა, უკანასკნელს ქარიშხალს გვიქადის, რომელიც კაცობრიობის ყველა კულტურულ მიღწევას დაამსხვრევს და წალეკავს; და აი ამ შესაძლებლობის წინააღმდეგ მუშაობს მარტოთ მარტო სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი, რომელიც კულტურულათ და იდეოლოგიურათ რაზმავს მთელი დედამიწის მშრომელებს.

შეუძლებელია თავის დაღწევა კლასების, პარტიების, ჯგუფების უკუღმართ ურთიერთობის ქსელისაგან, თუ ერთბაშათ მთელი ქსელი არ დავფლითეთ.

და სწორეთ რუსეთში დაიწყო „ჩვენი საუკუნის" აუცილებელი საქმე, სწორეთ იქ სცდილობენ ცხოვრებას საფუძვლად სამი გველეშაპის —- სისულელის, შურის და სიხარბის—მაგიერათ გონიერება, სამართლიანობა და მშვენიერება დაუდონ. ეს მუშაობა გულწრფელ ყურადღებას და თანაგრძნობას იწვევს დედამიწის ყოველ პატიოსან ადამიანში, აღფრთოვანებს მილიონ ადამიანების აზრს.

„ყოფილ ადამიანებში" კი იგივე მუშაობა მხოლოდ აშკარა გაბოროტებას აღვიძებს. ვამბობ აშკარას მეთქი, მიტომ რომ დარწმუნებული ვარ ფარულათ ისინიც შურით უცქერიან ბოლშევიკებს. მართლაც, აი ცხოვრობენ ადამიანები, მუშაობენ და კიდევ იცხოვრებენ იმ რწმენით, რომ რუსეთში სხვა არავითარი ხელისუფლება არაა შესაძლებელი.

მათთვის სრულიად უცხოა კატორღელების ფსიხოლოგია, უცხოა აგრეთვე ფეტიშისტური დამოკიდებულება სახელმწიფოებრივობის ჯაჭვებთან. ისინი თამამები არიან, ანგარიშს არ უწევენ „ისტორიის ბედისწერას", თუმცა სიტყვიერათ თითქო აღიარებენ მის კანონებს. მაგრამ საქმეს მუჟიკური უბრალოებით აკეთებენ თითქო დარწმუნებულნი იყვნენ:

„ბედი როდია ჩვენი მსაჯული, თვითონ ჩვენ ვართ ბედის პატრონნი".

ემიგრანტები ხშირათ უსაყვედურებენ ბოლშევიკებს, „მარქსს ამახინჯებთ", „მარქსის მიხედვით არ ცხოვრობთო". ეს რასაკვირველია, მთლათ სწორი არ არის, მაგრამ მარქსი კიდევ რა არის! ისინი კიდევ უფრო ცოდვილნი არიან, არც „დარვინის მიხედვით" უნდათ იცხოვრონ, გაბედულათ სცდილობენ მოსპონ არსებობისათვის ბრძოლა ადამიანებს შორის, რათა მთელი ძალ-ღონე ამ უაზრო ბრძოლიდან სხვაგან გადაიტანონ, მოახმარონ ადამიანის ბრძოლას ბუნებასთან, მისი სტიქიონური ენერგიების დამორჩილებას კაცობრიობის გონიერ ინტერესებისადმი.

ამავე დროს საზღვარ გარეთ გახიზნული ინტელიგენტები სევდითა და უმოქმედობით ითენთებიან, ჩქარა ხარჯავენ შერჩენილი ძალღონის ნაშთს და მხოლოდ ერთი რამისთვის სწუხან: იმ „გულითადი საღამოებისათვის", როცა სამოვარს ესხდნენ და მჭერმეტყველობაში ვარჯიშობდნენ, ხოლო სალაპარაკო თემათ თვითმპყრობელობის ტირანია, ხალხის სიყვარული და მთელი სამყაროს მოუწესრიგებლობა ჰქონდათ.

და შესაძლებელია, რომ თუნდ თვითონ პრომეთეს ახალი ცეცხლი მოეტანა ცხოვრების საიდუმლოებათა გასანათებლათ, მათთან მოსულიყო და ჩაის სმისათვის ხელი შეეშალა, ისინი პრომეთესაც შეაჩვენებდნენ.

მ. გორკი.

---

*) დასასრული იხილეთ „კომუნისტი" № 114.

*) პუსენი გამოჩენილი ფრანგი მხატვარი იყო მე-17 ს., რომელსაც უყვარდა ბუნების სურათების პეიზაჟების გაცხოველება, ადამიანის ფიგურებით. რედ.

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

ჩვენი ტექნიკა იზრდება

მიუხედავად ხელშეკრულებისა, რომლის ძალით აკრძალულია მომავალში ქიმიური ომის წარმოება, შეიარაღების ეს სახე საფუძვლიანად ისწავლება ბურჟუაზიული სახელმწიფოების ლაბორატორიებსა და სამხედრო პოლიგონებზე.

ჩვენამდის აღწევს ცალკე ცნობები ქიმიური ომისათვის გრანდიოზული მზადების შესახებ. უცხოეთის ყველა არმიებში სწარმოებს გაძლიერებული სამხედრო ქიმიური სწავლება, ხოლო სამხედრო საწყობებში თანდათან გროვდება მხამაინ-ქიმიური არტილერიის ყუმბარების, ჰაერო-ქიმიური ბომბების და გაზების საწინააღმდეგო მასალის უამრავი მარაგი. განსაკუთრებით ფართოდ და ღრმა ინტერესით სწარმოებს საზღვარგარეთ სამეცნიერო-გამოკვლევითი მუშაობა სამხედრო ქიმიაში.

საბჭოთა კავშირის ყოველივე მშრომელმა კარგად იცის, რომ ეს მზადება ქიმიური ომისათვის, რომელსაც აწარმოებენ კაპიტალისტები, მიმართულია ჩვენს წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირში დღემდე არ ყოფილა დაარსებული ისეთი დაწესებულება, სადაც აწარმოებდა ქიმიური მოგერიების საქმის მეცნიერულად შესწავლა.

ქიმიური მოგერიების საკითხებს ჩვენთვის აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, ვინაიდან მსოფლიო ბურჟუაზია ომის შემთხვევაში არ დაერიდება გამოიყენოს ჩვენს წინააღმდეგ ყოველგვარი საშუალებები.

საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება, რომელიც აწარმოებს მუშაობას ჩვენი ქვეყნის თავდაცვის დარგში, აარსებს მოსკოვში ქიმიური მოგერიების ინსტიტუტს. ამ ინსტიტუტის ამოცანას შეადგენს შესწავლა ჩვენი მტრების მიღწევების სამხედრო ქიმიაში და გამონახვა საშუალებებისა ქიმიური თავდაცვის მოგერიებისათვის.

ქიმიური მოგერიების ინსტიტუტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება იმის დროს, როდესაც მოწინააღმდეგის მიერ მოხმარებული სხვადასხვა ქიმიური საშუალებების ბუნების გამორკვევას საწრაფოდ ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

ქიმიური მოგერიების ინსტიტუტში შეისწავლება აგრეთვე საკითხი ქიმიური მოგერიების ზურგში, ვინაიდან ამ საკითხის სწორ და რაციონალურ გადაჭრაზეა დამოკიდებული ზურგის უზრუნველყოფა ქიმიური თავდასხმისაგან.

მომავალ ომში ჩვენ დაგვჭირდება მრავალი მილიონი გაზების საწინააღმდეგო ნიღაბი. მათი დამზადება ძლიერ ძვირი; ძვირად დაუჯდება აგრეთვე ჩვენ ქვეყანას მზადება კოლექტიური მოგერიებისათვის, რადგან საჭირო იქნება სხვადასხვა ნაშენების, ხიდების და საწარმოო დაწესებულებების დაცვა და შენიღბვა.

საჭიროა, რომ ამდენი ფული, ასეული მილიონი მანეთი დაიხარჯოს ნაყოფიერად და, როგორც წითელმა არმიამ, ისე მთელმა ქვეყანამ, მიიღოს სამხედრო მოთხოვნილებასთან შეფარდებული საჭირო იარაღი.

ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც აწარმოებს შეუნელებელი სამეცნიერო-გამოკვლევითი მუშაობა ქიმიური მოგერიების საკითხების ირგვლივ.

ყველა ამ ამოცანებს, საბჭოთა კავშირის მშრომელთა დახმარებით, გადასჭრის თავდაცვა-ავიაქიმის ქიმიური მოგერიების ინსტიტუტი.

ინსტიტუტის მუშაობა თვალსაჩინო იქნება იმის, რომ კაპიტალისტების ქიმიურ მზადებას ჩვენ წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირი გასცემს სათანადო პასუხს.

ი. ფ.

პირველი ნაბიჯი

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ქუთაისის ორგანიზაცია შეუდგა სისტემატიური მუშაობის წარმოებას თადარიგის მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის პირთა შორის. ორგანიზაციის მიერ, წითელი ჯარის კადრის მეთაურთა დახმარებით, ჩატარებულ იქნა სამხედრო თამაში, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა თადარიგის მეთაურებმა. ამის გარდა სისტემატიურად კეთდება მოხსენებები სამხედრო თემებზე, მიმდინარეობს პრაქტიკული მეცადინეობა სპეციალურ სამხედრო საკითხების გადახაჭრელად და სხვა.

ყველა ეს დიდათ უწყობს ხელს თადარიგის მეთაურთა სამხედრო მომზადებას.

თადარიგის მეთაურნი მოწყვეტილნი არიან სამხედრო საქმეს, რადგან მათ უხდებათ მუშაობა სამოქალაქო დაწესებულებებში, სამხედრო უწყება მოკლებულია საშუალებას თვალყური ადევნოს თადარიგის მეთაურთა მზადებას სამხედრო დარგში. ყოველწლიურად სამხედრო უწყებას გაჰყავს მოსამზადებლად თადარიგის მეთაურთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი, მათი დიდი ნაწილი კი რჩება გამზადების გარეშე.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ორგანიზაციები ადგილებზე ვალდებულნი არიან ჩააბან მუშაობაში თადარიგის მეთაურთა მთელი შემადგენლობა. თადარიგის მეთაურნი გამოყენებულ უნდა იქნენ მოსახლეობის გასამხედროების დარგში. მაგრამ, ამავე დროს, ყურადღება უნდა ექცეოდეს მათ მომზადებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, რომ თადარიგის მეთაურებმა თვალყური ადევნონ სამხედრო საქმის მსვლელობას და თავისი მომზადებით არ ჩამორჩნენ კადრის მეთაურებს.

თავდაცვა-ავიაქიმის ქუთაისის ორგანიზაციამ ამ მხრივ გადადგა პირველი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი. მან შეაკავშირა და ორგანიზაციის ირგვლივ თავი მოუყარა თადარიგის ყველა მეთაურებს.

საჭიროა, რომ თავდაცვა-ავიაქიმის ყველა სამაზრო ორგანიზაციებმა თავისი მხრივ მიიღონ ზომები თადარიგის მეთაურთა მოსამზადებლად, ვინაიდან ომის შემთხვევებში თადარიგის მეთაურნი წინ წაუძღვებიან წითელ არმიას და მათ დაევალებათ ხელმძღვანელობის გაწევა ბრძოლაში.

მხედარი.

მიღება ა.-კ. ქვეითი სკოლაში

ახალი კურსანტების მიღება ა.-კ. ქვეითი სკოლაში იწარმოებს მიმდინარე წლის 15-დან 30 სექტემბრამდე.

სკოლასთან ამჟამად არსებობს ოთხი სექტორი: ქართული, სომხური, თურქული და რუსული.

სკოლაში მიიღებიან წითელი არმიელები, უმცროსი მეთაურნი და მოქალაქენი, რომლებიც ცხოვრობენ თავიანთი შრომით.

წითელ არმიელნი, რომელთაც სურთ სკოლაში შესვლა არ უნდა იყვნენ უხნესი 22 წლისა, უმცროსი მეთაურნი კი 25 წლისა, დანარჩენი მოქალაქენი მიიღებიან რუსულ სექტორში 18—21 წლამდე, ნაციონალურ სექტორებში—17—21 წლამდე.

ყოველი ახალგაზრდა, რომელსაც სურს სკოლაში შესვლა უნდა იყვეს სრულიად ჯანმრთელი და ფიზიკურად განვითარებული, რომ წარმატებით შეითვისოს სამხედრო მეცნიერება.

ჯანმრთელობასთან ერთად საჭიროა საერთო განათლება არა ნაკლებ შრომის სკოლის 1-ლი საფეხურისა.

თვითეულ მოხალისეს უნდა ჰქონდეს შემდეგი საბუთები: 1) სამხედრო კომისარიატის ცნობა სამხედრო ბეგარისთან დამოკიდებულების შესახებ, 2) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ საექიმო-საკონტროლო კომისიის დასკვნით, 3) ცნობა სასპორტო ორგანიზაციიდან, თუ როგორ მუშაობას აწარმოებდა სასპორტო და სასროლო საქმეში, 4) მოწმობა განათლების შესახებ ფოტოგრაფიულ სურათის დართვით, 5) ადგილობრივ აღმასკომის ან მილიციის მოწმობა, რომ მოხალისე არ ირიცხება გამოძიების ქვეშ და არ არის მიცემული სამართალში, 6) პარტიულ, კომკავშირის ან პროფორგანიზაციის რეკომენდაცია, 7) მეტრიკული ამონაწერი.

15 სექტემბრიდან დაიწყება მოხალისეების საქმეთა შემოწმება და იწარმოებს გამოცდები.

სამხედრო ქრონიკა

სამხედრო-საზღვაო ლაშქრობა

მაისის ბოლო რიცხვებში თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება აწყობს სამხედრო-საზღვაო ლაშქრობას მდ. ვოლგასა და კასპიის ზღვაზე.

ლაშქრობაში მონაწილეობას მიიღებენ კომკავშირელები.

ლაშქრობის მიზანია საზღვაო ფლოტის პროპაგანდა.

წითელი არმიის სახლების გამგეების თათბირი

მიმდინარე წლის ივნისის პირველ რიცხვებში მოსკოვში მოწვეულია წითელი არმიის სახლების გამგეების თათბირი. თათბირზე გამომუშავებულ იქნება საერთო გეგმა მეთაურთა შორის პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის წარმოების დარგში. თათბირი მოისმენს აგრეთვე მოხსენებებს ადგილებიდან.

სასროლო საქმე

წითელი არმიის ნაწილები შეუდგნენ სროლის წარმოების კვლევა. გამოირკვა, რომ წითელარმიელებს სასროლო საქმე შეთვისებული აქვთ 90 პროცენტით, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან მიღწევას.

თბილისის წითელი არმიის სახლი

19 მაისს თბილისის წითელი არმიის სახლი გადავიდა საზაფხულო შენობაში.

საბჭოთა საქართველო

წერილები

განვამტკიცოთ კანონიერება

თვითმპყრობელობის დროს გლეხობა ვერ პოულობდა სამართალს. მაშინდელ სასამართლოებში გამართლებული გამოდიოდა ის, ვინც მეტ ქრთამს მისცემდა მოსამართლეს. ღარიბ გლეხობას არ ქონდა ქრთამის გაღების საშუალება და ის მუდამ იჩაგრებოდა შეძლებულების მიერ, რა გინდ მართალიც არ უნდა ყოფილიყო თავისი მოპირდაპირის წინაშე. მამასახლისების თარეშის შესახებ მშრომელ გლეხობის ზურგზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. სოფლის კანცელარიებში სამართლის საძიებლად მისულ გლეხს მამასახლისი მათრახით და მუშტი-კრივით უმასპინძლდებოდა.

ამ გარემოებამ გლეხობაში შექმნა ერთგვარი ფსიქოლოგია შურისძიების შესახებ. ესა თუ ის დაზარალებული პიროვნება, დარწმუნებული იმაში, რომ ის სამართალს არსებულ სასამართლოებსა და მამასახლისების კანცელარიებში ვერ ეღირსებოდა, თვითონვე ცდილობდა სამაგიეროს გადახდას მოპირდაპირისათვის. სისხლის აღება, მოპირდაპირისათვის მატერიალური ზარალის მიყენება, აი რით ფიქრობდა ის სამაგიეროს გადახდას.

საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ სასტიკი ბრძოლა გამოეცხადა თვითნებობას და უკანონო მოქმედებას. საბჭოთა სამართალი სათანადოდ იცავს ყველა მშრომელის ინტერესებს და დღეს არავითარ საჭიროებას აღარ წარმოადგენს ძველი, დახავსებული ზნე-ჩვეულებები მოწინააღმდეგისათვის სამაგიეროს თვითნებურად გადახდის შესახებ. მაგრამ ეს მახინჯი მოვლენა მშრომელ მასებში ჯერ ყველგან აღმოფხვრილი როდია. არის შემთხვევები, როცა განაწყენებული, ან ვინმეს მიერ დაზარალებული პიროვნება სასამართლოს კი არ მიმართავს კანონიერი უფლებების აღსადგენად, არამედ თვითონვე უსწორდება მოწინააღმდეგეს და ეს თავდება ან მკვლელობით, ან და მატერიალური ზარალის მიყენებით.

ასეთი საქციელი დღევანდელ პირობებში ყოვლად მიუღებელია და დასაგმობია. საბჭოთა ხელისუფლება და მისი სამოსამართლო ორგანოები ყოველთვის შესძლებენ სოფლად კანონიერების დაცვას და არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს თვითნებობა, ვისგანაც არ უნდა გამომდინარეობდეს ის.

კანონიერების განმტკიცება და ყოველგვარი უკანონო მოქმედების აღმოფხვრა შესაძლებელია ორი პირობით: პირვ.—სასამართლოებში საქმის განხილვის დაჩქარებით, რაც ჯერ სავსებით ვერ არის მოგვარებული, და აგრეთვე მშრომელი მასების კულტურული დონის ამაღლებით.

ყოველგვარი ზომები უნდა იქნეს მიღებული სასამართლოებში საქმის თავის დროზე განხილვის მოწესრიგებისათვის და ამასთან ერთად პოლიტგანმანათლებელმა ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაპყრონ გლეხობაში კულტურული მუშაობის გაძლიერებას.

სოფლელი.

რა სთქვა ღარიბთა კონფერენციამ

(წერილი ოზურგეთიდან)

ამას წინედ ქალ. ოზურგეთში შესდგა გურიის სამაზრო ღარიბთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 30 დელეგატი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: პარტიის მორიგი ამოცანები სოფლად მუშაობაში—მომხს. ამხ. გურგენიძე და რევოლიუციონური კანონიერება ღარიბთა ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით—მომხსენებელი ამხ. ჯაველიძე.

მომხსენებლების მიერ გაშუქებულ იქნა, თუ რა მისცა გლეხობას ოქტომბრის რევოლიუციამ და აგრეთვე ყველა ის სიძნელეები, რომლებიც გადალახული იქნა მუშათა კლასის მიერ დღემდე მხოლოდ გლეხკაცობის დახმარებით. აღინიშნა ყველა ის უპირატესობანი და შეღავათები, რომლებსაც აძლევს ღარიბ გლეხობას საბჭოთა მთავრობა და როგორი სახით უწევს დახმარებას ღარიბ გლეხობას ბურჟუაზიულ და კულაკურ ელემენტებთან ბრძოლაში.

ახსნა-განმარტებულ იქნა აგრეთვე ჩვენი სასამართლოების როლი, როგორც ღარიბთა ინტერესების დამცველი და რევოლიუციონური კანონიერების გამტარებელი.

მრავალი შეკითხვების შემდეგ გაიმართა კამათი: კონფერენციის საქმიანობას ახასიათებდა დელეგატთა სრული აქტივობა. 30 დელეგატიდან კამათში მონაწილეობა მიიღო 18-მა, რომლებიც მიუთითებდენ სათემო საპირბოროტო საკითხებზე, მაგ. სამომხ. კოოპერაციის მიერ პირველ მოთხოვნილებათა საგნებით უზრუნველყოფაზე, საკრედიტო ამხანაგობების მიერ გაცემულ სესხების დანიშნულებისამებრ მოხმარებაზე, თემსაბჭოების მიერ ადგილებზე სწორ ხელმძღვანელობაზე, ზოგიერთ ამხანაგების მიერ საბჭოთა კანონების დამახინჯებაზე, რომლის შედეგად ღარიბი გლეხობა ვერ აღწევს თავის მიზანს და აქვს ადგილი პროტექციონიზმს, მალარიის წინააღმდეგ ბრძოლაზე და ჭაობიან ადგილების ამოშრობაზე, ბრძოლა მევახშეობის წინააღმდეგ, მიწათმოწყობის დაჩქარება, კოლექტიურ მეურნეობის განმტკიცება დაქსაქსულ ერთეულების გაერთიანებით. აგრეთვე დელეგატებმა აუცილებელ საჭიროდ სცნეს ადგილების გამოკვლევა, თუ რომელ რაიონში რა სახის კულტურული მეურნეობის გაჩაღება არის შესაძლებელი და სხვ.

ყველა ზემოაღნიშნულ საკითხებზე დაევალა პრეზიდიუმს გამოიმუშაოს სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

ალ. ჯიბუტი.

საპაიო კამპანია სამტრედიის რაიონში

(წერილი სამტრედიიდან)

მომხმარებელ კოოპერატივების ირგვლივ დაწყებული საპაიო კამპანიის მსვლელობა სამტრედიის კოოპერატივმა დაიწყო ჯერ კიდევ 15 იანვრიდან. ჩამოყალიბდა ადგილებზე პაის ამკრეფი კომისიები, რომელნიც თანხმად რწმუნებულთა ყრილობის დადგენილებისა შეუდგნენ მოსახლეობის შეკავშირებას კოოპერაციაში სულადობრივად. პაის გადიდება არ მომხდარა. მაგრამ ამ მუშაობამ მოგვცა შემდეგი სურათი. თუ სამტრედიის „ეპოს“ გასული წლის პირველ ოქტომბრისათვის ყავდა 3.186 წევრი 9.400 მანეთი, საპაიო თანხით პირველ აპრილისათვის კი ყავს 5.890 წევრი 24.000 მანეთამდე საპაიო თანხით ეს მოხდა იმ მხრივ, რომ მიღებული იყო შეღავათიანი პირობები კოოპერაციაში წევრებად ჩაწერისათვის. ასე რომ, დღეს წევრებზე ითვლება გაუნაღდებელი თანხა კიდევ 10.000-დე, რაც აუცილებლად დაიფარება ორ თვეში.

თანახმად დადგენილებისა, რომ ქალაქად კოოპერაციის საპაიო ანარიცხი უნდა გადიდდეს 15-მდე, ხოლო სოფლად კი 10-მდე, ამის ცხოვრებაში გასატარებლად რაიპარტკომთან შესდგა ხუთეული. ხუთეულმა შეიმუშავა სამუშაო გეგმა, დაადგინა პაი გადიდებულ იქნეს 10-მდე და შეადგინა კალენდარული ცხრილი მუშაობისათვის.

5 მაისიდან დაიწყო საპაიო კამპანია, რომელიც უნდა დამთავრდეს 1 ივნისამდე. ამ ხნის განმავლობაში იწარმოებს საპაიო თანხის შეგროვება.

როგორც სამტრედიის „ეპოს“ ისე მის რაიონში მოქმედ ეპოს გამგეობებთანაც ჩამოყალიბდა სამეული, რომელიც აწარმოებს მუშაობას ცირკულიარში აღნიშნულ მითითებების თანახმად.

კვირას, 6 მაისს შესდგა სამტრედიის „ეპოს“ რწმუნებულთა ყრილობა, რომელსაც დაესწრო ცეკავშირის ინსტრუქტორიც. ყრილობამ გამგეობის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

საპაიო კამპანიისა და პაის გადიდებაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ინსტრუქტორმა ვ. ყიფიანმა, რის შემდეგ ყრილობამ ერთხმად დაადგინა: ყოველი მხრივ ხელი შეუწყოს საპაიო კამპანიის ჩატარებას და პაი იქნეს გადიდებული 10 მანეთამდე.

დარწმუნებული ვართ, რომ როგორც წინანდელი კამპანია მოსახლეობის ფართოდ ჩაბმა კოოპერაციაში, ისევ ეხლანდელიც პაის 10 მანეთამდე გადიდების შესახებ ბრწყინვალედ განხორციელდება.

სან-კანი.

გლეხკორთა წერილებიდან

ეკლესიის შენობას სკოლებისათვის ვიყენებთ

ობუჯის თემი, ზუგდიდის მაზრა

თემის გლეხობამ გადასწყვიტა ავუგოთ გლეხთა ახალგაზრდობის სკოლისათვის შენობა, გამოჰყო 6 ქცევა მიწა, თვითდაბეგვრის სახით შეაგროვა 2.800 მანეთი, მაგრამ სკოლის შენობა ამ თანხით ვერ დამთავრდა. ამის გამო გლეხობამ საერთო კრებაზე, ერთხმად დაადგინა დაშალოს ეკლესიის შენობა და მისი მასალა მოახმაროს სკოლის აგებას.

ზ. ფუფია.

გლეხების მოამაგე მასწავლებელი

ს. სიონი, ბორჩალოს მაზრა

ამხ. შალვა ქავზანაძე ამავე სოფლის ოთხწლედის გამგედ მსახურობს 1926 წლიდან. ის არ კმაყოფილდება მარტო სასოფლო მუშაობით და ეწევა გლეხობის სასარგებლო საქმიანობას. მისი თაოსნობით დაარსებულ იქნა ღარიბ გლეხობის არტელი, შემოაღობინა სკოლის ეზო, გლეხობას უხსნის მეურნეობის მნიშვნელობას, უკითხავს გაზეთებს, სდგამს წარმოდგენებს უფასოდ, ეწეოდა აგიტაციას საგლეხო სესხის განაღდებისათვის, უფასოდ ამზადებს ღარიბ მოწაფეებს და სხვ. გლეხობა მადლიერია ამხ. ქავზანაძის მოღვაწეობით.

გ. ბოსტოღანაშვილი.

დანიშნულებას ასრულებს

ხორშის თემი, სენაკის მაზრა

1926 წელში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო სკოლა, რომელსაც აქვს საკუთარი დასამუშავებელი მიწა. ამ მიწაზე გაშენებულია სხვადასხვა კულტურული მცენარეები. იქიდან გლეხობა იღებს მაგალითს თავიანთ მეურნეობის გაუმჯობესებისათვის. სკოლას ხელმძღვანელობს ამხ. თ. გეილავა, რომელმაც დანარჩენ მასწავლებლებთან ერთად გამართლა ნაკისრი მოვალეობა. საერთოდ ეს სასწავლებელი დიდ დახმარებას უწევს გლეხობას.

პ. ხორშელი.

მისაბაძი მაგალითი

ონტოფოს თემი, სენაკის მაზრა

ჩვენი თემი ერთ-ერთ დაწინაურებულ თემად ითვლება სენაკის მაზრაში. სწარმოებს გაცხოველებული სააღმშენებლო მუშაობა. თემში დაიდგა რადიო-მიმღები აპარატი, რომელიც შეიძინეს ძმებმა ტარასი და ფილიმონ რინკვილებმა და უფასოდ დაუთმეს თემს. აპარატი დასდგა ტექნიკმა გრ. ნადარეიშვილმა უსასყიდლოდ. თემის გლეხობა მადლობას უცხადებს ზემოხსენებულ ამხანაგებს.

თემსაბჭოს წევრი კუკილა.

საჭიროა მუშაობის გაცხოველება

შინდისის თემი, გორის მაზრა

აღნიშნული თემის გლეხობა ძალზე ჩამორჩენილია. თემში მაგრად აქვს ფესვები გადგმული ძველ მავნე ზნე-ჩვეულებას და ცრუმორწმუნეობას. სათანადო ორგანოების მიერ თემის კულტურულად წინსვლის საქმეს ნაკლები ყურადღება ექცევა. არა გვაქვს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები. საჭიროა ამ გარემოებას დროზე მიექცეს ყურადღება.

გლეხი ხიდამონიძე.

მუშათა ცხოვრება

უდისციპლინობა თბ. საყუდში

ადმინისტრატიული ხარჯების შემცირება თითქმის ყველა წარმოება-დაწესებულებაში ჩატარდა, მაგრამ თბილისის საყუდში ამის მსგავს ვერაფერს ვხედავთ. საყუდის ყოფილი უფროსი ამ მხრივ ძალიან მოისუსტებდა. მან შემცირების მაგიერ საყუდის შტატი გვარიანად გაადიდა: დაიქირავა 4 მანტიორი, ოთხი უფროსის თანაშემწე, განწესის დამწერი და მისი თანაშემწე, 4 მიმღები მემანქანე და სხვა. მიუხედავად ასეთი გაბერილი შტატისა, ორთქლმავალთა შეკეთება მაინც ვერ სწარმოებდა სათანადოთ. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ამ გაბერილ შტატში არავითარ დისციპლინა არ არსებობდა. ვისაც როგორ მოეპრიანებოდა, ისე მუშაობდა. საყუდის უფროსიც ვერ აქცევდა სათანადო ყურადღებას თანამშრომლების ასეთ უდისციპლინობას. მანტიორები, რომლებსაც ევალებათ ორთქლმავლების შეკეთების მეთვალყურეობა, არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ საყუდის უფროსს.

აღსანიშნავია ის, რომ შეკეთებულ ორთქლმავლების მეთვალყურეთ საყუდის უფროსმა ოთხი მანტიორისა და ორთქლმავალთა მიმღები მემანქანეების გარდა (მეთვალყურეობა ამათაც ევალებათ), კიდევ ერთი უფროსის თანაშემწე გაიჩინა. მაგრამ არც ამან უშველა საქმეს. ამ მეთვალყურეების ხელში, ორთქლმავლები მაინც უყურადღებოდ იყვნენ. მათ საფუძვლიანად და გულდასმით შეკეთებას, საშველი მაინც არ დაადგა, რის გამო კვლავ შეუოდებოდა მარქაფების გამოთხოვა გზიდან, ორთქლმავლების დარჩენა და სხ.

დღეს საყუდს ჰყავს ახალი უფროსი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი უფროსი ზედმეტი შტატების გაუქმებისა და ხარჯების შემცირების გარდა, გააუმჯობესებს ორთქლმავლების შეკეთების საქმეს და დაამყარებს საყუდში შრომის მტკიცე დისციპლინას.

მურღულია.

20 პროცენტიანი „შემცირება“ მთავარ სახელოსნოებში

პარტიისა და ხელისუფლების ღონისძიებანი 20 პროც. შემცირების შესახებ, ყველა წარმოება-დაწესებულებებში ტარდება. მაგრამ რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში ეს ღონისძიებანი უკუღმა გატარდა: ადგილობრივი პარტიული და პროფორგანიზაციების თაოსნობით როგორც იქნა ადმინისტრაციამ გაატარა ხარჯების შემცირება; ამ მიზნით, მიმდინარე წლის აპრილში შტატის შემცირებით დაითხოვეს 37 კაცი. სხვათა შორის უნდა ითქვას, რომ შემცირებაში სულ დაბალი მოსამსახურენი მოყვნენ. ადმინისტრატიულ-ტექნიკურ პერსონალიდან კი 60 კაციდან მარტო 5 კაცი მოყვა. შემცირების შემდეგ არ გასულა სამი დღე და ადმინისტრაციამ თავის ნებით, ადგილკომთან და კოლექტივის ბიუროსთან შეუთანხმებლივ აღადგინა 7 თანამშრომელი და მიიღო სამი ახალი თანამშრომელი. რამოდენიმე დღის შემდეგ ადმინისტრაციამ კიდევ აღადგინა 5 კაცი. უკანასკნელად ადმინისტრაციამ გამონახა 15 კაცის ახალი შტატი.

აღსანიშნავია, რომ ამხ. სიდორიოვი და სანაძე ადგილობრივ ორგანიზაციებთან შეუთანხმებლივ აღებენ „თავისიანებს“ და ნაცნობ-მეგობრების სიას და ასეთი წესით ავსებენ ადმინისტრაციის მიერ ახლად აღმოჩენილ შტატს.

სად არის აქ 20 პროცენტიანი შემცირება.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა მიაქციოს ყურადღება ასეთ [illegible] ადმინისტრატორებს.

ჩიკ.

„პენსიონერთა სახლი“

ახალმა ანგარიშ-წარმოებამ, სალიანდაგო განყოფილების უბნები მუშაობიდან სრულიად განტვირთა და მთელი მუშაობის სიმძიმე ბაზზე გადაიტანა. მოსდა კანტორის მოხელეთა შტატის შემცირება, მაგრამ ეს შემცირება საქმეს არ აღმოჩნდა.

ეს სჩანს უბნების კანტორების ყოველდღიურ მუშაობიდან: როდესაც უბნის უფროსები, ან მათი თანაშემწენი კანტორებში არ არიან, კანტორის მოხელეები დგანან და თავისუფლად მუსაიფობენ, ან ზურგზე ხელებ დაწყობილი სეირნობენ. დაინახავენ თუ არა უფროსს უცებ შემოუსხდებიან თავ-თავიანთ მაგიდებს და დაიწყებენ ქაღალდებში ხელების ფათურს.

ასეთი მაგალითად სალიანდ. განყ. მეოთხე უბანში. აქ ყველა კანტორის მოხელეს თავისი დიქტატურა აქვს გამოცხადებული მეტაბელებზე. თავიანთი საქმე ისე აქვთ მოჩახრაკებული, რომ არქივში რომ 10 ეკზემპლიარად ქონდეთ ცნობები შენახული, რაც უნდა საჭირო იყოს მოსაძებნად თავს არ შეიწუხებენ.

ის, რომ სალიანდაგო განყოფილების მეოთხე უბნის კანტორა, „პენსიონერთა სახლად“ გადაქცეული, აქ შეხვდებით 85 პროცენტით შრომის უნარ მოკლებულსაც კი, რომელიც ჯოხებით დადის და რიდაცა უსარგებლო ციფრების ხატვაში ატარებს დროს. კანტორის გამგე—ყიფიანი, მიუხედავად თავისი გულკეთილობისა და პატიოსნებისა, ვერაა მაგარი ადმინისტრატორი, რაც უნდა ახასიათებდეს კანტორის გამგეს.

ასეთ უდისციპლინობას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ამ უბნიდან გარბიან ტექნიკური მომუშავეები. წელს წავიდა ქიმსანი ჭურციაძე, მას გაჰყვა ბუკია და შემდეგ კი შენგელია, მაგრამ უბნის უფროსმა მხოლოდ ბუკიაზე იძია შური. უჩივლა სამართველოში და მოიყვანა უკან, მაგრამ ენახოთ როდემდის ეკოლება დაბმული. წავიდა აგრეთვე უბნის უფროსის თანაშემწე ინჟ. ხუნდაძე, რომელიც ვერ შეეგუა ასეთ უთავბოლო წესებს. ვინ იცის კიდევ რამდენი კარგი მომუშავე დაანებებს თავს მეოთხე უბნის კანტორის თანამშრომლების უდისციპლინობას.

მოურიდებელი.

მეტი ყურადღება სამკითხველოს

(შავი ზღვის რკინის გზა)

სად. ზუგდიდში არსებობს სამკითხველო, რომლიდანაც უნდა სარგებლობდნენ მუშა-მოსამსახურეები წიგნებითა და სხვადასხვა ჟურნალებით, მაგრამ ეს ასე არ ხდება. წიგნებიც და ჟურნალ-გაზეთებიც შკაფშია ჩაკეტილი. სამკითხველოს გამგესაც იშვიათად ნახავთ თავის ადგილზე. თვით სამკითხველოს შენობაში ისეთი სიბინძურეა, რომ ყოვლად შეუძლებელია იქ გაზეთის კითხვა. ერთი სიტყვით სამკითხველო, ბავშვების სათამაშო კუთხეს უფრო წარმოადგენს ვიდრე სამკითხველოს.

ყველა ეს გამოწვეულია იმით, რომ სამკითხველოს გამგე ძალიან დატვირთულია კანცელარიის საქმეებით და სამკითხველოში სამუშაოდ არ სცალია.

საჭიროა სამკითხველოს ჰყავდეს სხვა სამუშაოებიდან განთავისუფლებული გამგე. ეს საგრძნობლად გააუმჯობესებს სამკითხველოს მუშაობას.

ფიმელი.

კინოს თეატრად გადავაქცევთ

(ქუთაისი)

ქუთაისის მუშათა ცენტრალურ კლუბში არსებობს სხვადასხვა წრეები. მათი მუშაობა ფრიად დამაკმაყოფილებელია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართულ დრამწრის და სასულე ორკესტრის მუშაობა. ეხლახან დაარსდა მიმღებელთა გუნდიც. საერთოდ წრეების მუშაობაზედ ცუდს ვერაფერს იტყვის კაცი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ წრეების მუშაობას ნაყოფი მაინც არ უჩანს. რადგან კლუბში უმეტესად კინო-სურათებს უჩვენებენ. ამ ახლო ხანებში კინო სურათების ჩვენებამ სისტემატიური ხასიათი მიიღო.

შესაძლებელია კლუბის გამგეობა ფულის მოგების თვალსაზრისით უდგება ამ საკითხს და ამიტომ უშვებს მუდამ დღე კინოს, მაგრამ ჩვენის აზრით საკლუბო მუშაობა არ შეიძლება განისაზღვროთ მარტო კინო სურათების ჩვენებით, რაც ხელს უშლის წრეების ნორმალურ მუშაობას. მუშათა კლუბი არ უნდა გადაიქცეს კინო-თეატრად.

აღნიშნული კლუბი აერთიანებს ხუთმეტი პროფკავშირის წევრებს, დაახლოვებით ხუთი ათას მუშა-მოსამსახურეს. მარტო კინო სურათების ჩვენებით კი ამ უამრავ ხალხის კულტურულ მოთხოვნილებას ვერ დავაკმაყოფილებთ. საჭიროა საკლუბო მუშაობის უფრო გაცხოველება და კლუბის წევრთა გააქტივება საწრეო მუშაობის გაფართოების საშუალებით. ასეთია მუშათა კლუბის მთავარი ამოცანა.

ნადარი.

ეს ჩვეულება უნდა მოისპოს

(თუთუნის ქარხანა „პროლეტარი“)

თუთუნის ქარხანა „პროლეტარ“-ში ჩვეულებად შემოიღეს მუშებში ფულის მოკრება „საქველმოქმედო“ მიზნით: რომელიმე მუშა მოუკვდება ვინმე თუ არა აიღებენ ფანქარსა და ქაღალდს ხელში, დაიწყებენ განყოფილებიდან განყოფილებაში სიარულს და ვითომდა ნებაყოფლობით აგროვებენ მუშებში ამა თუ იმ ამხანაგის მიცვალებულის დასაკრძალავად. ქაღალდზე არც ადგილკომის და არც ადმინისტრაციის ნებართვა არ არის. სამწუხაროა ის, რომ მუშებში მოგროვილი ფული მიდის არა გაჭირვებულ მუშის საჭიროებისათვის, არამედ მღვდლების ჯიბეში და ეკლესიების სალაროში. ეს იმ დროს, როდესაც ყოველგვარ ღონისძიებას ვხმარობთ მუშებში ანტირელიგიური კამპანიის ჩასატარებლად.

მართალია ქარხკომი არ რთავს მუშებში ფულის მოკრების ნებას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან უნდა არ დაუშალოს ფულის მოკრება და მუშების ეკონომიურად შევიწროვება იმათ, ვინც არიან ამ „საქველმოქმედო“ საქმის ინიციატორები.

ყოველი მუშა პროფკავშირის წევრია. ამიტომ ვისიმე დახმარებისათვის ფულის მოკრება მუშებში და საერთოდ გაჭირვებული მუშის პატრონობა, პროფკავშირის ხაზით უნდა ხდებოდეს. ქარხკომმა ჯერ უნდა გამოარკვიოს რამდენად საჭიროებს მიცვალებულის პირისუფალი მუშების წვლილს და შემდეგ მოახდინოს ფულის მოკრეფა. გარდა ამისა ქარხკომმა თვალყური უნდა ადევნოს იმას, რომ მუშებში მოგროვილი ფული ღვდლებზე კი არ იხარჯებოდეს, არამედ ხმარდებოდეს მიცვალებულის პირისუფალს.

ამხალი.

მუშკორთა წერილებიდან

გაუცხოველით მუშაობას. „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბის მუშებმა მოისმინეს მოხსენება ადგილკომის მუშაობის შესახებ და აირჩიეს ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია შემდეგი მუშაობის გასაცხოველებლად ღონისძიებების გამოსამუშავებლად.

ვოსტოკელი.

მუშებს ყვლეფავენ. ორჯონიკიძესა და გორის ქუჩების კუთხეში არსებობს კერძო სასადილოები ე. წ. „სანდრო“ და „ნათელა“, რომლის მეპატრონეებიც უხსნიან გრძელვადიან სესხებს რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშებს და ყვლეფავენ მათ უმოწყალოთ. ურიგო არ იქნება, რომ „ზაკტპომ“ ან მუშკოოპმა გახსნას ერთი წითელი სასადილო ამ ადგილებში და დაიხსნას მუშები ვაჭრების ბრჭყალებიდან.

მ. ტურაულელი.

უყურადღებო ფარდული. სად. ნავთლუღის „ზაკტპო“-ს ფარდული, რომელიც ემსახურება დაახლოვებით 800 მომხმარებელს, ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს ნავთლუღის მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნილებას. აქ სრულებით ვერ ნახავთ სურსათ სანოვაგეს, რაც მთავარია მუშებისათვის, გარდა ამისა ფარდული ისეთ ადგილზეა მოთავსებული, რომ ბინძური სუნის გამო მომხმარებელი ვერც კი მიეკარება ახლოს.

ქ. დემეტრაშვილი.

საქ. სახკომსაბჭოში

ზედმეტი შემოსავლის განაწილება

ფინანსთა სახკომისარიატის მოხსენების თანახმად, საქართველოს ს. ს. რ.-ის 1926—27 წ. ბიუჯეტის ზედმეტი შემოსავალი—1.893.875 მან. და 37 კაპ. განაწილებულ იქნა სახკომსაბჭოს მიერ შემდეგნაირად: საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტში 937.252 მან. 47 კაპ., რეზერვისათვის 450.013 მან. 20 კაპ., სულ 1.387.265 მან. 76 კ., აფხაზეთის ადგილობრივ ბიუჯეტში 173.267 მან. 21 კაპ., აღმშენებლობისათვის 155.821 მან. 67 კაპ., სულ 329.088 მან. 88 კაპ.; აჭარისტანის ადგილობრივ ბიუჯეტში 99.636 მან 49 კაპ. აღმშენებლობისათვის 77.880 მან. 24 კაპ. სულ 177.516 მან. 73 კაპ.

ამასთანავე წინადადება მიეცა აფხაზეთისა და აჭარისტანის სახკომსაბჭოებს წარმოუდგინონ სახკომსაბჭოს მათ განკარგულებაში გადებული თანხების გასავლის ხარჯთაღრიცხვები.

უდინების მდგომარეობის გამოკვლევა

სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო წინადადება მიეცეს თელავის სამაზრო აღმასკომს მოახდინოს აზერბეიჯანიდან საქართველოში გადმოსახლებული უდინების მდგომარეობის გამოკვლევა და სათანადო მოხსენება და ცნობები წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს.

საქ. ეკონომსაბჭოში

შეღავათი [illegible]

წინადადება მიეცა სრ. საქართველოს [illegible] [illegible] სამეურნეოთვის კანონით გათვალისწინებული სოც. დაზღვევის ყველა შეღავათებით.

საბინაო აღმშენებლობა

მარელისის ფაბრიკის საბინაო აღმშენებლობისათვის გადაიდო 50.000 მან. და [illegible] ქარხნის საბინაო აღმშენებლობისათვის— 50.000 მან. ხსენებული თანხა გადებულ უნდა იქნეს იმ თანხიდან, რომელიც მიეცა საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტს ბორჯომის საკასრე ქარხნის საბინაო აღმშენებლობისათვის.

მეფუტკრეობის განვითარება შორაპნის მაზრაში

ეკონომსაბჭომ წინადადება მისცა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს სოფლის კავშირთან და სახ. სამ. ბანკთან ერთად შეიმუშაოს შორაპნის მაზრაში მეფუტკრეობის სამუშაოთათვის ფინანსების მიწოდების გეგმა და შეიტანოს იგი სოფლის მეურნეობისათვის კრედიტის მიწოდების 1928—29 წ. გეგმაში.

ზაფრანის წარმოების შესახებ

ეკონომსაბჭომ დაავალა სმუს შეისწავლოს საკითხი საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ზაფრანის წარმოების ორგანიზაციის შესახებ.

კონფლიქტი „საქართველოს მარგანეცსა“ და ტრანსპორტის მუშათა შორის

რამოდენიმე ხნის წინეთ საქართველოს ტრანსპორტის მუშათა კავშირმა ფოთის მტვირთავთა სახელით საკონცესიო საზოგადოებას „საქართველოს მარგანეც“ წარუდგინა მოთხოვნილება ფოთის მტვირთავებისათვის 100.000 მანეთის გადახდის შესახებ. ეს თანხა წარმოადგენს კომპენსაციას სამუშაო დროის გაცდენისათვის.

სამუშაო დროის გაცდენა გამოიწვია იმან, რომ საზოგადოებამ თავის დროზე ვერ მიაწოდა და შავი ქვით დატვირთული ვაგონები ფოთის ნავთსადგურს.

კონცესიის სამმართველომ უარი განაცხადა კომპენსაციის გადახდაზე და ამიტომ ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობა იძულებული გახდა საზ. „საქართველოს მარგანეცისათვის“ წარედგინა ძიება ფოთის შრომის სასამართლოში 100.000 მანეთის რაოდენობით.

შრომის სასამართლომ ძიება დააკმაყოფილა და ეს თანხა სავსებით მიუსაჯა ფოთის მტვირთავ მუშებს. კონცესიონერმა ფული უკვე შეიტანა კავშირში, რომელმაც მიღებული თანხა გაანაწილა მუშებს შორის. ყოველ მუშას შეხვდა 25-დან 200 მანეთამდე.

ახალი ქარხანა-ლაბორატორიის გახსნა

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე გადაწყვეტილია თბილისში გაიხსნას ახალი საცდელ-საჩვენებელი ლაბორატორია-ქარხანა, რომელიც შეუდგება ძვირფასი საღებავის—ოლიფას; ნებოს და სხვა პროდუქტების დამზადებას. ქარხნის ნედლ მასალათ გამოყენებული იქნება ტყავის ქარხნებში დარჩენილი ნარჩენები, რომელთაც აქამდე წყალში ჰყრიდენ, როგორც ნაგავს, ძვლები, მზის უმზირას ზეთი, ძველი ტყავების ნაჭრები და სხვა პროდუქტები

პირველ რიგში გადაწყვეტილია ქარხანამ დაამზადოს ოლიფას საღებავი, რომელზეც ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა და ძვირად ფასობს.

ლაბორატორია-ქარხანა გახსნილი იქნება ორთაჭალაში, ყოფ. ბასენელოვის საპნის ქარხნის შენობაში, ქარხნის მოსაწყობათ და ასამუშავებლად საჭიროა 38.000 მანეთი. ამ თანხით შეძენილი იქნება საჭირო ნედლი მასალა, რომლის დამუშავება უნდა მოესწროს ორ კვირაში.

ქარხნის მოწყობა დაწყებული იქნება მომავალ კვირაში.

დიდი ლითონის ქარხნის აგება თბილისში

ამ რამოდენიმე თვის წინად, ს. მ. უ. საბჭომ გადასწყვიტა დაეწყო თბილისში ახალი დიდი ლითონის ქარხნის აგება. ქარხნის პროექტის შედგენა მიენდო საბჭოთა კავშირის ინჟენერთა ასოციაციას, რომელმაც პროექტის წინასწარი დამუშავება უკვე დაასრულა.

გუშინ ს. მ. უ. საბჭომ ხსენებული ასოციაციისაგან მიიღო დეპეშა, რომ წინასწარი გამოანგარიშებით ქარხნის აგება დაჯდება სულ 3.780.000 მანეთი. აქედან ახალი მოწყობილობების შესაძენათ გადადებული უნდა იქნეს 1.257.000 მანეთი. ქარხნის უმთავრესი მოწყობილობები შეძენილი იქნება საზღვარგარეთ

ლითონის ქარხნის ასაგებ ადგილათ ასახელებენ დიდუბის რაიონს.

ახალი პედაგოგები

1928 წლის ზამთრის სესიაზე სახელმწიფო გამოცდები ჩააბარეს და თბ. სახელ. უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი დაამთავრეს შემდეგმა პირებმა:

სიტყვიერების დარგი: აბელდიანი თამარ ოსების ასული; ბაქრაძე ივდითი კონსტანტინეს ასული, ბერაძე პანტელეიმონ ალექსისძე, ბოლქვაძე ნინო ლევარსის ასული, იობიძე აბესალომ მარკოზისძე, კობალავა ივანე მელქისედეკისძე, კუხალაშვილი დავით იგნატესძე, ლაბახუა ვლადიმერ გიორგისძე, ნოცუბიძე გრიგოლ გერასიმესძე, სანიკიძე ქეთევან ალექსანდრეს ასული, ქორიაშვილი გალინა ისიდორეს ასული, ქორიაშვილი მირონ ისიდორესძე, შალკიანი ბიქტორ ივანესძე, წულაია ტარასი დიმიტრისძე, ჯინჯიხაძე სიმონ ნიკოლოზისძე.

ისტორიული დარგი: ანთაძე მარიამ სამუელის ასული, ასობაძე ანნა ვასილის ასული, ბენაშვილი ვერა ვასილის ასული, ბურძგლა პროკოფი ლუარსაბისძე, გოგიჩაძე დომნიკა ივანეს ასული, ვაშაკიძე მარიამ იაკობის ასული, თუთბერიძე დავით გიორგისძე, კილანდაძე ევგენია ალექსანდრეს ასული, ლილიაშვილი ნინო ნოეს ასული, ლომაძე ნინო პავლეს ასული, ნოცუბიძე დავით გიორგისძე, ჯანელიძე ალექსანდრა სიმონის ასული.

ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ დარგი: რამიშვილი დ.; ჩიქობავა ბენედიქტე; ცომაია ვლ. ჭეიშვილი ალექსანდრე ნიკოლ:

მკითხველთა წერილებიდან

კერძო გადასამზადებელი კურსების შესახებ

საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების ეკონომიურ და კულტურულ ზრდასთან ერთად, ჩვენი სახალხო განათლების ორგანოთა წინაშე მთელი რიგი რთული ამოცანები დაისახა. ერთ-ერთ ასეთ ამოცანას წარმოადგენს სკოლაში შემსვლელის ყველა მსურველთა დაკმაყოფილება. მიუხედავათ იმისა, რომ უკანასკნ. წლების განმავლობაში მეტად გაიზარდა ყველა ტიპის სკოლების რიცხვი, სწავლის მსურველთა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ არსებულ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებელია. ამიტომ სათანადო ორგანოები იძულებულნი არიან სწავლის მსურველთა შორის ერთგვარი გადარჩევა მოახდინონ. მხედველობაში ღებულობენ სასწავლებელში შესვლის მსურველთა სოციალურ და ფიზიკურ მდგომარეობას და ამასთან ერთად აკადემიურ მომზადებას. ამ უკანასკნელ მომენტს ეხება თვით წერილში ამხ. ი. ძირულისპირელი. ის სწერს:

„დღევანდელი შვიდწლედები, განსაკუთრებით პროვინციაში, ვერ აძლევენ მოწაფეს იმდენ ცოდნას, რომ მათ მოუმზადებლად შესძლონ გამოცდების ჩაბარება ცხრაწლედებსა და სპეცტეხნიკუმებში. ასეთივე მდგომარეობაში არიან ცხრაწლედებსა და სპეცტეხნიკუმებში კურსდამთავრებული ახალგაზრდები. ისინი უნივერსიტეტში ვერ მოხვდებიან, თუ წინასწარ არ მოემზადნენ.

ამის გამო თბილისში და პროვინციაში, უფრო მეტად კი თბილისში, სოკოსავით გამრავლდა გადასამზადებელი ჯგუფები. ჩვენ არაფერს ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ ამ ჯგუფებში მოწაფეთა დაუნდობელი ექსპლოატაცია სწარმოებს. ყველაზე აღმაშფოთებელი აქ ის არის, რომ ჯგუფების ხელმძღვანელებში უმეტეს შემთხვევაში უვიცი ხალხია, რომელსაც არა აქვს სათანადო აკადემიური და პედაგოგიური ცოდნა.

მართალია განათლების ორგანოებიც ხსნიან გადასამზადებელ კურსებს, მაგრამ ეს საქმეს არ შველის, რადგან ეს კურსები ყველა მსურველს ვერ იტევს“.

ავტორის სიტყვით საჭიროა ამის წინააღმდეგ მიღებულ იქნას ენერგიული ზომები.

„გადასამზადებელ კერძო ჯგუფების ხელმძღვანელებს,—სწერს ძირულისპირელი,—ან უნდა მიეცეთ ოფიციალური მოწმობა იმის შესახებ, რომ მათ უფლება აქვთ მოამზადონ მოწაფეები (ასეთ შემთხვევაში კი საჭიროა მათი ცოდნის და პედაგოგიური მომზადების შემოწმება), ან სასტიკად უნდა იქნას აკრძალული კერძო პირების მიერ მოწაფეთა ჯგუფების მომზადება“.

შეთავსებით მუშაობის წინააღმდეგ

ერთ და იმავე დროს რამდენიმე თანამდებობის ასრულება, რაც ცნობილია შეთავსების სახელწოდებით, კარგა ხანია იპყრობს პარტიულ და საბჭ. საზოგადოებრივობის ყურადღებას. გამორკვეულია, რომ შეთავსებით მუშაობის დროს უმეტეს შემთხვევაში საქმე ნორმალურად ვერ მიდის. თუ რატომ ხდება ეს, ამას, ვფიქრობთ, განმარტება არ ესაჭიროება.

ამას გარდა შეთავსება მიუღებელია იმ მხრივაც, რომ ის ხელს უშლის უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლას და ახალ მუშაკთა კადრების მომზადებას. ამიტომაა, რომ მთელ რიგ დაწესებულება- წარმოებებში შეთავსებას ადგილი აქვს მხოლოდ გამონაკლისის სახით, ე. ი. მაშინ, როცა ესა თუ ის პირი თავის სპეციალობის მიხედვით აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, როგორც მუშაკი, სხვადასხვა თანამდებობაზე. მაგრამ არის შემთხვევები, როცა შეთავსებას ადგილი აქვს მაშინაც კი, როცა ამას არავითარი გამართლება არა აქვს.

ასეთ მაგალითზე მიგვითითებს თავის წერილში ამხ. იმაიდა, რომელიც ამბობს:

„განათლების სახალხო კომისარიატის უმუშაკთა ერთი ნაწილი ერთ და იმავე დროს კომისარიატშიც ასრულებენ მუშაობას და სკოლების გამგეებათაც ირიცხებიან. სკოლაში დილით სწარმოებს მეცადინეობა. ყოველი გამგე ვალდებულია ასეთ დროს სკოლაში იყვეს. კომისარიატის მუშაკი გამგეები კი ამ საათებს კომისარიატში ატარებენ.

გამგის წაბაძვით სკოლაში ეცემა შრომის დისციპლინა. სხვებიც იწყებენ დაგვიანებას, ან სრულიად არ ცხადდებიან სამუშაოდ.

გარდა ამისა, არის შემთხვევები, როცა მასწავლებლები სკოლის გარეთ მსახურობენ. დილით, დასვენებისა და მეცადინეობისათვის მომზადების ნაცვლად, ისინი დაწესებულებებში მუშაობენ და საღამოობით დაღლილ-დაქანცულნი მიდიან სკოლაში. ასეთი მდგომარეობა ნორმალურად ვერ ჩაითვლება. ის უსათუოდ თავის დაღს დააჩნევს სკოლის მუშაობაზე.

ბრძოლა პროსტიტუციასთან

საბჭოთა ხელისუფლებამ ძველი რეჟიმის სხვა მახინჯ მოვლენებთან ერთად ძირფესვიანად აღმოფხვრა ისეთი სამარცხვინო, ადამიანის ღირსების დამამცირებელი მოვლენა, როგორიცაა ქალის სხეულით ვაჭრობის ოფიციალურად დაკანონება. თავისთავად ცხადია, რომ მარტო ამით პროსტიტუციის მოსპობა არ შეიძლება. პროსტიტუცია არალეგალურად განაგრძობს არსებობას. ჩვენ ვიცით, რომ მას აქვს თავისი სოციალური მიზეზები, რომ მხოლოდ ადმინისტრატიული ღონისძიებებით პროსტიტუციასთან ბრძოლაში მიზანს ვერ მივაღწევთ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელი უნდა ავიღოთ პროსტიტუციის წინააღმდეგ, ადმინისტრატიულ საშუალებებით ბრძოლაზე. მთავარი იერიში ამ შემთხვევაში მიტანილ უნდა იქნას იმათ წინააღმდეგ, ვინც პროსტიტუციაზე ხელებს ითბობს, ვინც იყენებს მას შემოსავლის წყაროდ.

ამხ. გ. ჟ. ამის შესახებ სწერს შემდეგს:

„თბილისში, ყოფილ ვორონცოვის მოედანთან მოიპოვება მრავალი სასტუმრო, როგორც მაგალითად: „ჟენევა“, „ბერლინი“, „აპოლო“ და სხვა. ამ სასტუმროებში თითქმის არც ერთი მგზავრი არ ჩამოხტება. არა თუ ახლად ჩამოსულმა, თბილისელ მოქალაქეთა დიდ უმრავლესობამაც კი არ იცის ამ სასტუმროების არსებობა. ამაში არც არის მაინცა და მაინც დაინტერესებული აღნიშნული სასტუმროების პატრონები. მათ თავიანთი სტუმრები ჰყავთ.

საღამოს 8 საათიდან გათენებამდე ამ სასტუმროებში განუწყვეტლივ შედიან და გამოდიან საეჭვო ყოფა-ქცევის ქალები, მამაკაცებით.

საეჭვოა, რომ მილიცია ამას არ ამჩნევდეს. მაგრამ ის მხოლოდ ერთზე ზრუნავს: არ დაირღვეს წესრიგი სასტუმროებში და ახლო-მახლო რაიონებში. ცნობილია, რომ აღნიშნულ სასტუმროებში მოსიარულე ხალხი ძალიან საშიშია წესრიგის დარღვევის მხრივაც“.

ავტორი მოითხოვს, რომ თბილისის ამ რაიონს, სადაც განსაკუთრებით გავრცელებულია პროსტიტუცია, მეტი ყურადღება მიექცეს. ჩვენ ისედაც ბინის დიდ კრიზისს განვიცდით, საჭიროა არალეგალურ პროსტიტუციის ბუდეთ გადაქცეული სასტუმროები დაიკეტოს და ისინი უბინაო მუშებს გადაეცეს საცხოვრებლად.

ღარიბ გლეხების კოოპერატიულად შეკავშირება

თუმცა პარტია არა ერთხელ მიუთითებდა ღარიბ გლეხების კოოპერატიულად შეკავშირების აუცილებლობაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა მე-15 პარტყრილობამდე ამ დარგში ძალიან ცოტა რამ გაკეთდა. ღარიბ გლეხების კოოპერაციაში გასაერთიანებელ ფონდის შექმნას და მის სწორად გამოყენებას მეტად მცირე ყურადღება ეთმობოდა; ღარიბ გლეხების სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში გაერთიანება გლეხობის დანარჩენ ფენებთან შედარებით, სუსტად სწარმოებდა, ღარიბ გლეხების კოოპერაციაში ჩაბმის მიზნით არ მიმართავდენ სათანადო საორგანიზაციო ღონისძიებებს, კოოპერაციაში ჩაბმა ხდებოდა მექანიკურად, სააგიტაციო-განმარტებითი კამპანიის გარეშე, რის გამო კოოპერაციაში გაერთიანებულმა გლეხებმა ხშირად არ იცოდენ, რომ ისინი კოოპერატივის წევრები იყვნენ, კოოპერაციის [illegible] სხვა სახეები სხვადასხვანაირად აბამდენ [illegible] კოოპერაციაში—ზოგი ფონდიდან იხ[illegible] სრულ პაის და შესასვლელ გადასახადს. ზოგი მხოლოდ მათ ნაწილს ზოგიერთები—საკრედიტო ფონდიდან, ზოგი კიდევ—კოოპერაციაში გასაერთიანებელ ფონდიდან, ზოგიერთი კოოპ. ღარიბ გლეხს პაის ღირებულებას აძლევდა უკან დაუბრუნებლად, ზოგიერთი კი—ვადით. იყო შემთხვევები, როცა საკრედიტო ფონდისათვის ჰკრეფდენ სხვადასხვა გადასახადს, ახდევინებდენ სარგებელს საპაიო სესხზე, საწევრო წიგნაკს და მარკების ღირებულებას და სხ., რის გამო ღარიბი გლეხი კოოპერაციაში შესასვლელად სესხის სახით მიღებულ 10 მანეთს თავისი ჯიბიდან ადებდა კიდევ 4-5 მან.

ყველა ამ დაუშვებელ ფაქტებს ადასტურებს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მოხდენილი გამოკვლევა.

შეიძლება თუ არა ღარიბი გლეხების კოოპერაციაში გაერთიანების მიზნით იმ საშუალებების გამოყენება, რომლებიც გადადებულია ღარიბ გლეხებისათვის კრედიტის მისაცემად? —ყოვლად დაუშვებელია. საკრედიტო საშუალებები უნდა მოხმარდეს ღარიბი გლეხის საწარმოო საჭიროებას, ხოლო მის ჩასაბმელად კოოპერაციაში გამოყენებულ უნდა იქნეს სპეციალური ფონდი, რომელიც უმთავრესად სდგება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და სასოფლო-სამეურ. ბანკების მოგებიდან და სხვა ორგანიზაციების ანარიცხებიდან.

დაუშვებელია აგრეთვე ისიც, რომ ღარიბ გლეხების კოოპერაციაში გაერთიანებას მიეცეს საქველმოქმედო ხასიათი. ღარიბ გლეხს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ მან შეასრულოს თავისი კოოპერატიული მოვალეობა, ე. ი. გადაიხადოს თავისი საპაიო გადასახადი ხანგრძლივ პერიოდის განმავლობაში (3-4 წელი), ხოლო პირველი გადასახადის შესატანად გამოიყენოს კოოპერაციაში გაერთიანების ფონდი. მასვე დახმარების სახით უნდა მიეცეს აგრეთვე გრძელვადიანი უპროცენტო სესხი.

სამწუხაროდ, ჩვენ დღემდე არ მოგვეპოვება მთელი კოოპერაციისათვის დებულება ღარიბ გლეხების კოოპერაციაში გასაერთიანებელ ფონდის შექმნისა და გამოყენების შესახებ.

იმ მიზნით, რომ ღარიბ გლეხებს გაადვილებოდა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში წევრებად შესვლა,—ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა რესპუბლიკანურ ბანკებთან ერთად წარსული წლის დეკემბერში შეიმუშავა და თავის განყოფილებებს გადასცა სახელმძღვანელოდ დებულება ღარიბ გლეხების კოოპერაციაში გასაერთიანებელ ფონდის შექმნისა და გამოყენების შესახებ.

აღნიშნულ დებულების მიხედვით ეს ფონდი უნდა შეიქმნას:

ა) სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების მოგების ანარიცხებიდან არა ნაკლებ 10 პროც., დაწყებული 1926-27 წლიდან 5 წლის განმავლობაში.

ბ) ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკისა და რესპუბლიკანურ სასოფ.-სამეურნ. ბანკების მოგების არა ნაკლებ 10 პროც. ყოველ წლიურ-ანარიცხებიდან ხუთი წლის განმავლობაში.

დ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების წმინდა მოგების ანარიცხებიდან და აგრეთვე ადგილობრივ საბჭოთა ორგანოების ასიგნობებიდან.

ანარიცხები ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის და რესპუბლიკანურ სასოფ.-სამეურ. ბანკების მოგებიდან გადაეცემა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს უპროცენტო სესხის სახით ვადით 1933 წ. 1 აპრილამდე.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობები აღნიშნულ ფონდიდან ამხანაგობაში წევრად შესვლის დროს როგორც ცალკე ღარიბ გლეხთა მეურნეობებს, ისე მათ გაერთიანებებს (კოლექტიურ მეურნეობებს, სასოფ.-სამ. ამხანაგობებს, არტელებს, სამანქანო ამხანაგობებს და სხ.), და აგრეთვე მოჯამაგირეებს აძლევენ გრძელვადიან უპროცენტო სესხს ღარიბ გლეხის ოჯახის წევრი ქალი, რომელიც სასოფლო მეურნეობაშია ჩაბმული, ღარიბ გლეხების კოოპერაციაში გაერთიანების ფონდიდან სესხს ღებულობს საერთო წესით.

ვინაიდან საპაიო გადასახადი ა.-კ. რესპუბლიკებში მეტწილად უდრის 10 მან., ხოლო შესასვლელი გადასახადი—1 მან., ამიტომ ღარიბ გლეხს სასოფ.-სამეურ. საკრედიტო ამხანაგობაში წევრად შესვლის დროს სესხი ეძლევა შესასვლელი გადასახადისათვის (1 მ.) და საპაიო გადასახადის პირველ ნაწილისათვის 30 პროც. რაოდენობით (3 მან.).

ამხანაგობებში გლეხურ გაერთიანებათა შესვლის დროს, პაის იხდის არა ცალკე წევრი, არამედ კოლექტივი (იურიდიული პირი), რის გამო კოლექტივის თვითეული წევრისათვის შესასვლელი და საპაიო გადასახადი განსაზღვრულია საშუალოდ 2 მან. 50 კ. რაოდენობით.

ღარიბ გლეხების კოოპერაციაში გაერთიანების ფონდიდან მიღებულ სესხის დაფარვა ამხანაგობის ინდივიდუალური წევრის მხრით ხდება ამგვარად: წევრად შესვლის ერთი წლის შემდეგ იფარება შესასვლელი გადასახადისათვის აღებული სესხი (1 მან.) და სამი წლის შემდეგ საპაიო გადასახადისათვის აღებული სესხის ნაწილი (3 მანეთი), პაის დანარჩენ ღირებულების 70 პროცენ. რაოდენობით ამხანაგობის წევრი იხდის ამხანაგობის წევრების საერთო კრების მიერ დაწესებულ ვადებში, მაგრამ არა უადრეს ერთი წლისა ამხ.-ბის წევრად შესვლის შემდეგ 30 პროც., ხოლო ორი წლის შემდეგ —40 პროც. ამრიგად კოოპერაციაში ჩაბმული ღარიბი გლეხი 10 მან. საპაიო გადასახადს იხდის: ამხ-ბის წევრად შესვლის მეორე წელში 3 მან., მესამე წელში—3 მან. და მეოთხეში—4 მან.

იურიდიული პირები (კოლექტიური მეურნეობანი) სესხს ფარავენ სამი წლის შემდეგ; სასოფ.-სამეურ. საკრედ. ამხ.-ბის წევრების მიერ ღარიბ გლეხების კოოპერაციაში გაერთიანების ფონდიდან აღებული სესხი უბრუნდება ისევ ამ ფონდს.

შესასვლელი და საპაიო გადასახადის პირველი ნაწილის გადახდის მომენტიდან ამხანაგობაში შემავალი წევრი სარგებლობს ამხანაგობის ნამდვილ წევრის ყველა უფლებებით.

ღარიბი გლეხების კოოპერაციაში გაერთიანების ფონდიდან სესხის გაცემას აწარმოებს ამხ-ბის გამგეობა ამხანაგობასთან არსებული კომისიის დასკვნით და მხოლოდ და მხოლოდ პირადი ნდობის მიხედვით (ყოველგვარი თავდებობის გარეშე). დასახელებულ კომისიაში შედიან სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის, გლეხკომის და სოფლის საბჭოს წარმომადგენლები.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ აღნიშნული დებულებით ყველა ღარიბ გლეხებს შევაკავშირებთ კოოპერატიულად 4 წლის განმავლობაში.

გლეხურ მეურნეობათა რაოდენობა ამიერ-კავკასიაში უკანასკნელი ცნობების მიხედვით 930.000 უდრის, სასოფ.-სამეურ. საკრედიტო ამხანაგობებში გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვი ა. წ. 1 იანვრისათვის 210.000 უდრიდა, იმ რაოდენობიდან ღარიბ გლეხების მეურნეობათა რიცხვი შეადგენდა 40 პროც., ანუ 84.000. ჯერ კიდევ კოოპერატიულად შეუკავშირებელია 720.000 მეურნეობა.

თუმცა ერთი მეთოდი ღარიბ გლეხების მეურნეობათა გამოსარკვევად და სწორი ცნობები მათი რაოდენობის შესახებ, დღემდე არ მოგვეპოვება, მაგრამ სხვადასხვა ორგანოებისა და ორგანიზაციების (ფინსახკომი, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, სასოფ.-სამეურნეო კოოპერაცია) ცნობებიდან ირკვევა, რომ ამიერ-კავკასიაში ღარიბ გლეხების მეურნეობათა რაოდენობა დაახლოვებით უდრის 38 პროც., ანუ 350.000 მეურნეობას, მათ შორის კოოპერაციაში გაერთიანებული 84.000 მეურნეობა, მაშასადამე, ამჟამად სასოფ.-სამეურ. საკრედიტო ამხანაგობებს გარეშე დარჩენილია ღარიბ გლეხების 266.000 მეურნეობა. ვიღებთ რა მხედველობაში სოფლის სამეურნეო განვითარებას და კოლექტიურ მეურნეობათა გამრავლებას 4 წლის განმავლობაში, ღარიბ გლეხების მეურნეობათა ასეთი გადაჯგუფება გვექნება: კოოპერატიულად შეკავშირებულ ღარიბ მეურნეობათა 15 პროც. ანუ 40.000 მეურნეობა შეიძლება გაერთიანებულ იქნეს კოლექტიურ მეურნეობებში (სასოფ.-სამეურ. ამხ.-ბანი, კოლექტიური მეურნეობანი, სამანქანო ამხ.-ბანი, სასოფ.-სამეურ. არტელები და სხ.). ყოველწლიურად 3 პროც., ე. ი. 4 წელიწადში 12 პროც. ანუ 32.000 მეურნეობა. სამეურნეო განვითარების წყალობით, შესძლებს თავის ხარჯზე. კოოპერატიულად შეკავშირებას, რჩება 194.000 მეურნეობა, რომელთაც აუცილებლად უნდა გაეწიოს დახმარება კოოპერაციაში გასაერთიანებლად. გარდა ამისა, პირველ ხანებში მატერიალური დახმარება უნდა გაეწიოს აგრეთვე ღარიბ გლეხების კოლექტიურ მეურნეობებსაც კოოპერაციაში შესასვლელად. როგორც ზევით აღვნიშნეთ, შემოღებულ წესის თანახმად თვითეულ ინდივიდუალურ წევრზე უნდა ვიანგარიშოთ შესასვლელი გადასახადი 1 მან. და საპაიო—3 მან., სულ ერთ წევრზე—4 მან., ხოლო ყველა ინდივიდუალურ წევრებზე 194.000 რაოდენობით —776.000 მან.; 40.000 გაერთიანებულ მეურნეობაზე სულ მოდის 100.000 მან. (თვითეულ წევრზე—2 მან. 50 კ., შესასვლელი—50 კ. და საპაიო—2 მან.). ამრიგად ინდივიდუალურ და გაერთიანებულ მეურნეობებისათვის სულ საჭიროა 876.000 მან. როგორია რეალური შესაძლებლობა მიმდინარე სამეურნეო წელში?

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა 26-27 წ. მოგებიდან გადასდო 68.000 მან, რესპუბლიკანურმა სასოფ.-სამეურნეო ბანკებმა—75.000 მან., ცენტრალურმა სასოფლო-სამეურნეო ბანკმა—60.000 მან., სულ 203.000 მან.

გარდა ამისა, წელს სასოფ.-სამეურ. კრედიტის ქვედა საფეხურის ქსელი ა.-კ. ყველა რესპუბლიკებში 1926-27 წ. მოგებიდან, რომელიც დაახლოვებით 200.000 მან. უდრის, გადებს 10 პროც. ანარიცხს, ანუ 20.000 მან. წინასწარი ცნობებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრები ამიერ-კავკასიაში გადასდებენ დაახლოებით 18.000 მან. და სხვა ორგანიზაციები—4.000 მან., სულ ჩვენ გვექნება 245.000 მან.

ვინაიდან სასოფ.-სამეურნეო კრედიტის სისტემამ მიმდინარე წლიდან შეამცირა პროცენტული ნიხრი სესხზე, ამიტომ მისი მოგება, როგორც წელს, ისე შემდეგ წლებშიც შარშანდელთან შედარებით ნაკლები იქნება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ 80 პროც. ამრიგად თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ შემდგომ 3 წლის განმავლობაში ანარიცხები 600.000 მან. მაინც იქნება, რაც მიმდინარე წლის ანარიცხებთან ერთად (245.000 მან.) შეადგენს 845.000 მან. ეს თანხა სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ყველა ღარიბი გლეხები შევაკავშიროთ კოოპერატიულად 4 წლის განმავლობაში.

მაშასადამე, მე-15 პარტყრილობის დირექტივა უახლოეს პერიოდში ყველა ღარიბი გლეხების კოოპერაციაში გაერთიანების შესახებ შეიძლება შესრულებულ იქნეს მთლიანად 1932 წლისათვის.

როგორც სასოფ.-სამეურ. კრედიტისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრებმა, ისე მათი ქვედა საფეხურის უჯრედებმა და აგრეთვე სოფლის საზოგადოებრიობამ და საბჭოთა ორგანიზაციებმა მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციონ ყველა ღარიბი გლეხების კოოპერაციაში დაჩქარებით ჩაბმას, ღარიბი გლეხების კოოპერატიულად შეკავშირების მიზნით უნდა გააჩაღონ მასიური კამპანია. სისტემატიურად აწარმოონ ფართო, ახსნა-განმარტებითი მუშაობა კოოპერაციაში გაერთიანების მნიშვნელობისა და აუცილებლობის შესახებ, თავის დროზე. დანიშნულებისამებრ და სავსებით გამოიყენონ ფონდები და ამოცანად დაისახონ 1932 წლისათვის ყველა ღარიბი გლეხების ჩაბმა სასოფ.-სამეურ. საკრედიტო კოოპერაციაში.

ა. ხხინკელი.

საგადასახადო ნარჩენების ლიკვიდაცია

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ რა მდგომარეობაშია საგადასახადო ნარჩენების აკრეფის საქმე, ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის საგადასახადო სამმართველოს უფროსმა ამხ. დავიდოვმა განაცხადა:

მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის მთელ საქართველოში კერძო პირებზე ირიცხებოდა საგადასახადო ნარჩენები — სათანაბრო გადასახადით — 178.000 მანეთი და საშემოსავლო გადასახადით — 493.000 მან., სულ — 671.000 მანეთი.

ამ მხრივ საქართველო არ წარმოადგენს გამონაკლისს. ამიერ - კავკასიის დანარჩენ რესპუბლიკებშიც სახელმწიფო გადასახადის ნარჩენები საგრძნობ თანხას შეადგენენ. ასე, მაგალითად, აზერბეიჯანში ირიცხება ნარჩენები სათანაბრო გადასახადით — 714.000 მან. და საშემოსავლო გადასახადით — 1.816.000 მან. სულ 2.530.000 მან. ნარჩენები გაცილებით ნაკლები ირიცხება სომხეთში. სახელდობრ სათანაბრო გადასახადით — 42.000 მან. და საშემოსავლო გადასახადით — 87.000 მან.

ორივე ზემოხსენებულ გადასახადის ნარჩენები ამიერ - კავკასიაში ა.-წ. 1 იანვრისათვის უდრიდა 3.330.000 მანეთს. ეს ნარჩენები დაგროვილია რამოდენიმე წლის განმავლობაში— 1923 წლიდან დაწყებული 1927 წლის ოქტომბრამდე.

ნარჩენების ჯამის თანდათანობითი ზრდის გამო საჭირო შეიქნა ზომების მიღება ნარჩენების სალიკვიდაციოთ.

ამ მიზნით რესპუბლიკანურ ფინანსთა სახ. კომისარიატებთან დაარსებული იქნა სამეულები, რომელთაც დაევალათ 1 ივნისამდე ნარჩენების სრული ლიკვიდაციის მოხდენა.

სამეულები მუშაობას შეუდგენ ა.-წ. აპრილის დამდეგს. უპირველეს ყოვლისა გამორკვეულ იქნა იმ პირთა ვინაობა და მისამართი, ვისზედაც ირიცხება ნარჩენები. მიღებულ იქნა ზომები ნარჩენების გადასახდევინებლად. ზოგიერთ შემთხვევებში საჭირო შეიქნა რეპრესიული ზომების მიღება, როგორც მაგალითად ქონების აწერა და საჯარო ვაჭრობით გაყიდვა, საწარმოთა დაკეტვა ნარჩენების გადახდამდე და სხვ.

იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც სხვადასხვა ხერხებს მიმართავდენ ნარჩენების გადახდის თავიდან ასაცილებლად, მალავდენ ქონებას და სხვა, სასამართლოს წესით აღძრული იქნა საჩივარი. ყველა ამ ზომებმა გამოიღეს სათანადო შედეგი და ნარჩენების ჯამი საგრძნობლად შემცირდა.

მიმდინარე წელს სათანაბრო გადასახადი გაწერილია შემდეგი რაოდენობით: საქართველოში — 2.420.000 მან., აზერბეიჯანში— 1.905.000 მან. და სომხეთში — 358.000 მან. სულ ამიერ - კავკასიაში გაწერილია— 4.683.000 მან.

გადამხდელები ვალდებული იყვნენ პირველ აპრილამდე გადაეხადათ გაწერილი თანხის 25 პროცენტი. ალბათ იმოქმედა იძულებითი გადასახდევინების ზომების მოლოდინმა და მთელ ამიერ - კავკასიაში შემოვიდა გაწერილი თანხის 27 პროცენტი, ე. ი. 2 პროცენტით მეტი ვიდრე ნავარაუდევი იყო.

საშემოსავლო გადასახადი მიმდინარე წელს ამიერ - კავკასიაში გაწერილია — 8.141.000 მან. რაოდენობით. აქედან საქართველოში— 3.972.000 მან., აზერბეიჯანში — 3.610.000 მან. და სომხეთში — 559.000 მან.

გადამხდელები ვალდებული იყვნენ 1 აპრილამდე შემოეტანათ გაწერილი თანხის 25 პროცენტი. ნამდვილათ კი შემოვიდა მხოლოდ 16 პროცენტი, რაც მეტად მცირეთ უნდა ჩაითვალოს.

ამის გამო სამეულებმა გააძლიერეს რეპრესიული ზომები (გაიმართა რამოდენიმე საჩვენებელი გასამართლება), რის შედეგსაც ახლო მომავალში მივიღებთ.

უკეთუ 1 ივნისიდან ვერ მოხერხდა ნარჩენების სრული ლიკვიდაცია, რეპრესიული ზომები გაგრძელებული იქნება ნარჩენების სრულ ლიკვიდაციამდე.

პასუხად ამხ. პ. ხომერიკს

„კომუნისტი“-ს 111-ნომერში მოთავსებული იყო წერილი სათაურით „არაა საჭირო ასეთი კეთილ-მოწყობა“, სადაც ამხ. ხომერიკი აღნიშნავს ანტი-სანიტარულ მდგომარეობას, რომელიც შექმნილია სანაპირო კედლის უკან. სინამდვილის გასაშუქებლად, გთხოვთ ადგილი დაუთმოთ, „კომუნისტი“-ს უახლოეს ნომერში შემდეგ განმარტებას. სანაპირო კედელი დავამთავრეთ 1-ლი წყალდიდობის წინ ერთი დღით ადრე. კედელში დატანებული გვაქვს მილი, რომელიც შეუერთდება საკანალიზაციო კოლლექტორს. კოლლექტორისათვის უკვე გათხრილი იყო საკანალიზაციო განყოფილების მიერ არხი და ნაწილობრივ ფუძეც იყო გაკეთებული, რომ მოზღვავებულმა წყალმა მთელი მიდამო ტბათ აქცია. წყლის ამოტუმბვა მანამ მტკვარში წყალი არ იკლებდა ფიზიკურად შეუძლებელი იყო. წყლის დონის დაწევის შემდეგ უმალ დადგმული იყო ორი ძლიერი ექვს-დიუმიანი ელექტრო-ტუმბოები, რომლის წყალობითაც ამოვწურეთ წყალი, დაკვირით წესით შევუდექით საკანალიზაციო კოლლექტორის გაკეთებას, რაც ამ ოთხ დღეში დამთავრებულიც იქნება. დამთავრების შემდეგ ტუმბოებს გადავიტანთ დანარჩენი ტბების ამოსაწურავად და მიწის ჩასაყრელად ამავე ტბებზე შავი ნავთია მოსხმული და კოღოს გაჩენის მხრივ საშიშროება არ არსებობს. რაც შეეხება ცუდ სუნს, ცხადია იგი კიდევ იქნება. ვინაიდან მაღალი მთის მთელი ფერდო ირწყვება კანალიზაციის მილებით. ეს დეფექტიც ამ ცოტა ხანში მოწესრიგებული იქნება, თუმცა აქ სანაპირო კედელი არაფერ შუაში იყო. სანაპირო კედლის მიზანია, სხვათა შორის ბოლო მოუღოს ანტისანიტარიას, რომელიც უხსოვარ დროიდან იყო მტკვრის ამ რაიონში. დროებით უხერხულობა, რომელიც აუცილებელია ყველა აღმშენებლობის პროცესში, არავის არ უნდა უცრუებდეს გულს დიდ საქმეზე. მტკვრის მარჯვენა ტოტის დაკეტვა და სანაპირო ქუჩის გაყვანა ეს იქნება ერთი უდიდესი მიღწევათაგანი საბჭოთა ხელისუფლებისა, როგორც კეთილ-მოწყობის, აგრეთვე სანიტარიის მხრივ.

კეთ. მოწყ. გამგის მოადგ. მთავარი ინჟინერი ბრ. ქურდიანი.

ქრონიკა

ქუთაისის აღდგენის კომიტეტი

გუშინ საღამოს ქუთაისში გაემგზავრა საქ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ს. ჯუღელი და ქუთაისის აღდგენის კომიტეტის ტექნიკური სექციის თავმჯდომარე ინჟ. ბ. ქიქინაძე.

კომისიის გაგზავნა აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურზე

სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებით ს. მ. უ. ს. საბჭომ გამოყო საუწყებათაშორისო კომისია აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოებთან გასაცნობათ კომისიაში შედიან—ს. მ. უ. ს. წარმომადგენელი ინჟ. ხოლოდოვიოვი; მუშათა და გლეხთა ინსპექციიდან—რევიზორი კობახიძე, ფინსახკომიდან—ამხ. ხვანიძე და აღმშენებელ მუშათა კავშირიდან—ხისოევი.

კომისიას დავალებული აქვს შეისწავლოს სადგურის საამშენებლო სამუშაოთა შტატის შემოკლების და საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების შემცირების შესაძლებლობა. მუშაობა კომისიამ უნდა დაამთავროს 10 დღეში. შტატებისა და საორგანიზაციო აპარატის სტრუქტურის განხილვისას კომისიამ მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება; რომ წელს აუცილებლათ იქნეს დასრულებული სავუზართან დაწყებული სამუშაოები და საწნეო გვირაბის ბეტონით ამოლესვა.

ინგურის ქაღალდის ფაბრიკა

ინგურის ქაღალდის ფაბრიკის საამშენებლო პროექტის შემუშავებისას გამოირკვა, რომ აღნიშნულ ფაბრიკას ყოველწლიურად დასჭირდება 20.000.000 კილოვატ საათის ელექტრო-ენერგია.

ფაბრიკის საამშენებლო კომიტეტის ცნობით, აღნიშნული რაოდენობის ენერგიის მიღება მოხერხდება მხოლოდ რიონის ჰიდრო-ელსადგურიდან. ამისათვის საჭირო იქნება რიონჰესი-ინგურის ფაბრიკის შეერთება ენერგიის გადამცემი ხაზით.

ხაზის გასაყვანად საჭირო თანხები შეტანილი იქნება ფაბრიკის ხარჯთაღრიცხვაში.

კურსები - კონფერენცია

განათლების სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა საბავშო სახლების ხელმძღვანელთა ცოდნის გასაფართოებლად 5 ივნისს თბილისში მოაწყოს საბავშო სახლების ხელმძღვანელთათვის რესპუბლიკანური კურსები-კონფერენცია.

მაზრებიდან ჩამოსული დელეგატები უნდა გამოცხადდნენ 4 ივნისს განათლების სახ. კომისარიატში.

საქციო საზოგადოება „ჩვარ-ნაჭერი“

თბილისში მოეწყო საქციო საზოგადოება „ჩვარ-ნაჭერი“. ჯერ-ჯერობით ამ საზოგადოების აქციონერებია: საზოგადოება „მკერავი“. საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილება, თბილისის აღმასკომი, ტყავეულობის ტრესტი, აბრეშუმის ტრესტი და „მილთმასი“. ჯერ-ჯერობით საქციო საზოგადოება „ჩვარ-ნაჭერმა“ მოაგროვა 3000 ფუთი ხმარებიდან გამოსული ძველი ტანსაცმელი, ჩვრები და ნაჭრები. საქ. მაზრების და ავტონომიურ რესპუბლიკების სოფლებში და თემებში ყველა გლეხკომებს და კოოპერატივებს უკვე დაეგზავნა ცირკულიარული წერილები დააგროვონ სოფლებში უვარგისი ტანსაცმელები და გადასამუშავებლად გამოუგზავნონ საქციო საზოგადოება „ჩვარ-ნაჭერს“. ახლად დაარსებული საქციო საზოგადოება მოთავსებულია კომუნალურ ქუჩაზე (სახლი № 44).

თბილისის აღმასკომში

◆ ქ. ცენტრალურ ბიბლიოთეკას საჭიროებისათვის თბ. აღმასკომმა გადასცა 500 მანეთი.

◆ საზოგადო სამუშაოები. თბ. აღმასკომმა შრომის ბირჟასთან ერთად შეიმუშავა საზოგადო სამუშაოების მოწყობის ახალი გეგმა. საზოგადო სამუშაოები წელს უმთავრესად მოეწყობა ქალაქის გასამშვენიერებლად.

◆ წყალსადენის ახალი აუზების მოსაწყობად გარეუბნებში თბ. აღმასკომმა გადასცა 4500 მ.

◆ მანგლისის კეთილმოსაწყობათ თბ. აღმასკომმა დამატებით გადასცა 650 მ.

◆ სიძველეთა დაცვა. ნორიოს თემში არსებულ ისტორიულ მნიშვნელობის ძეგლის—მონასტერის დასაცავად გადაიდო 2516 მანეთი.

◆ ახალი აგარაკი. თბ. აღმასკომმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა შესაფერ ორგანოს წინაშე ალბულაღის ადგილობრივ მნიშვნელობის აგარაკად გამოცხადების შესახებ.

◆ ცაკთან არსებულ მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიას თბ. აღმასკომმა გადასცა 10.000 მანეთი.

სხვადასხვა

◆ დოღი. დღეს იპოდრომზე გაიმართება ამიერ-კავკასიის დერბი. ჯილდო—1000 მ.

◆ ჩაუბარებელი დეპეშები. წითელ-წყაროიდან—გოგობერიძეს, ხრესილიდან—კანდელაკს, მოსკოვიდან—ჩოკვაშვილს, ლანჩხუთიდან—ბენის, როსტოვიდან—ენუქიძეს, ქუთაისიდან—მაკანოვს.

ხელოვნების ქრონიკა

—„მემარცხენეობა“ № 2. იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ქართული ხელოვნების მემარცხენე ფრონტის კრებული „მემარცხენეობა“ № 2). კრებულში მონაწილეობას იღებენ: ბ. აბულაძე; შ. ახლაზიშვილი; აკ. ბელიაშვილი; ირ გამრეკელი; აკ. გაწერელია; დ. გაჩეჩილაძე; დავ. კაკაბაძე, სტ. კასრაძე, მ. კალატოზიშვილი; ბ. ჟღენტი; ვ. ჟურული; დ. შენგელაია; ნ. შენგელაია; ნ. ჩიჩავა და ს. ჩიქოვანი.

— „რღვევა“ პატიმართა ძალებით. ორშაბათს, 21 მაისს მეტეხის პატიმართა მონაწილეობით ავლაბარში, მშენებელთა კავშირის კლუბში წარმოდგენილი იქნება ლავრენევის პიესა: „რღვევა“.

პიესის დადგმა და დეკორაციები ეკუთვნის პატიმრებს. მთელი შემოსავალი გადაიდება მეტეხის კულტკომისიის ფონდის გასაძლიერებლად.

— პირველი დახმარების რაზმების მუშაობა ეკრანზე. დღეს, დიდუბეში, გერმანელების ახლოშენის მახლობლად საქ. კინო-მრეწველობა წითელ-ჯვართან შეთანხმებით გადაიღებს პირველ დახმარების წრეებისა და რაზმების და ქიმიურ რაზმების მუშაობას.

— კინო-კურსები. სახელმწიფო სამხედრო კინო-მრეწველობის ა.-კავკასიის განყოფილება 1 ივნისიდან თბილისში გახსნის კინო-კურსებს სამხედრო პირთა მოსამზადებლად.

— მუშათა ახალ კლუბში დღეს გაიმართება დიდი კონცერტი მომღერალ სანდრო ინაშვილის, მესხიაევი და სხვების მონაწილეობით.

— მცირე თეატრის მიერ დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „რევიზორი“

— ყიხარევას უკანასკნელი გასტროლი. დღეს რუსთაველის თეატრში ყიხარევას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ოკეანეს გაღმა“.

— სამხატვრო აკადემია კლუბში. დღეს, 12 ს. გაიმართება დისპუტი მხატვარ დ. კაკაბაძის შემოქმედებაზე.

— სიმფონიური კონცერტი. 23 მაისს კონსერვატორიაში გაიმართება კონსერვატორიის მოწაფეთა სიმფონიური კონცერტი.

— დიდი კონცერტი. დღეს, განათლების მუშაკთა სახლში გაიმართება დიდი კონცერტი დამსახურებულ მსახიობ ვრონსკის, მომღერალ ქაშაკაშვილის, გვათუა-ებრალიძის, ბადრიძის და სხ. მონაწილეობით

— კომკავშირელ მწერალთა წრეში. (ხელოვანთა სასახლეში) დღეს შესდგება წრის მორიგი ლიტერატურული კრება, რომელზედაც იწარმოებს მასალების განხილვა.

— „ახალი სალიტერატურო ქართული“. ორშაბათს, 21 მაისს საღ. 8 ს. მ. ჯავახიშვილი განათ. მუშ. სახლში წაიკითხავს მოხსენებას: „ახალი სალიტერატურო ქართული“.

მზადება ფიზკულტურის დღესასწაულისათვის

დღესასწაულის საორგანიზაციო კომიტეტში

შესდგა სრ. საქართველოს ფიზკულტურის პირველი დღესასწაულის საორგანიზაციო კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელმაც მოისმინა მოხსენებები. შეჯიბრებათა კალენდარული განრიგებისა დღესასწაულის ტექნიკურად და სპორტიულად მომზადების, სამეურნეო და საგიტაციო კომისიების მუშაობისა და დღესასწაულისათვის საერთო მზადების შესახებ.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ პროვინციებიდან ჩამოსული ფიზკულტუროსნები უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით ამიერ-კავკასიის ფეხოსანთა სკოლის შენობაში. სკოლასთან დადებულია აგრეთვე ხელშეკრულება ფიზკულტუროსნებისათვის უფასო სადილის მიწოდების შესახებ. დღესასწაულის განმავლობაში ფიზკულტუროსნებს გაეწევათ კულტურული შეფობა სხვადასხვა კავშირებისა და საგანმანათლებლო ორგანოების მიერ. ფიზკულტურის დღესასწაულის აღსანიშნავად ფიზკულტუროსნებს დაურიგდებათ საიუბილეო ნიშნები, ლიტერატურა და სხ.

გარდა ამისა, საქ. ფიზიკური კულტურის დღესასწაულის საორგანიზაციო კომიტეტმა პროვინციებში წარმოებულ მზადებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად და საერთოდ, მდგომარეობის გამორკვევის მიზნით გაგზავნა სპეციალური ინსტრუქტორები. ინსტრუქტორები გაგზავნილია ბათომში, ოზურგეთში, ფოთში, სენაკში, ახალქალაქში, ზუგდიდში, ჭიათურაში, თელავში და სიღნაღში.

20 მაისს ყოფ. სამხედრო ტაძრის ეზოში დანიშნულია თავისუფალ ვარჯიშში რეპეტიცია იმ პიონერების, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ დღესასწაულში.

კომიტეტის დადგენილებით ამხ. ხმალაძეს დაევალა წესრიგის დაცვა ფიზკულტუროსნების დემონსტრაციის დროს ქალაქში და სასპორტო მოედნებზე. ამხ. კიკნაძეს, მერკვილაძეს და კვინიხიძეს დავალებული აქვთ გადასინჯონ კინო-ფილმა, რომელიც დღესასწაულის დაწყების წინა დღით ნაჩვენები იქნება თბილისის ყველა კინო თეატრებში.

სასამართლო

ნელ-ნელა ფცქვნიდა ადგილკომს

ზაქარია იოვსე ადგილკომში მუშაობდა ტექნიკურ მდივნად.

პირველ ხანებში, სანამ მდგომარეობის განმტკიცება და ნდობის დამსახურება იყო საჭირო, იოვსე უნაკლოდ მუშაობდა, არ იშურებდა ენერგიას.

მაგრამ როცა ადგილკომში უკვე მაგრათ მოიკიდა ფეხი, იოვსე შეუჩნდა სალაროს, საიდანაც ნელ-ნელა აცლიდა ფულს.

ურთიერთ დამხმარე სალარო მან გაიხადა საკუთარი შემოსავლის წყაროდ. 400 მანეთამდე შესანახი. დამზღვევ სალაროში შესატანი ფული 200 მანეთამდე იოვსემ შეიტანა სამიკიტნოში. პოლიგრაფ-ტრესტში შესატანი თანხის შეტანა „დაავიწყდა“ და „ოჯახური საჭიროებისათვის“ შემოეხარჯა. ასე ნელ-ნელა იოვსემ ადგილკომს დააძრო სულ 800 მანეთზე მეტი.

იოვსე გაასამართლა თბილისის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ. ბრალდებულს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 4 თვით.

—:—

მილიციელის კვერთხი მოქალაქის თავზე

არტემ ჩილინგაროვი მე-4-ე სამილიციო უბნის თანამშრომელი იყო. საგუშაგოზე ხშირად უხდებოდა დგომა.

კვერთხი რომ ჩააბარეს მილიციელებს, ჩილინგაროვი დიდ სიგონებელში ჩავარდა.

— ეს ლა მაკლდა! რა ჯანდაბათ და რა ეშმაკათ მოიგონეს. რაში მოვიხმარო! ეხლა დაიწყება სწავლება, ინსტრუქციები და მთელი ხლაფორთი. ტყვილა ხომ ვერ დავიკიდებ კვერთხს. არა და მაგის მოხმარებას ხომ შესწავლა უნდა?..

ჩილინგაროვს არ აქვს ჯერ შეთვისებული, რისა მაქნისია კვერთხი.

გაიხედა ჩილინგაროვმა და რას ხედავს! მუხრანის ქუჩით თავისუფლების მოედნისაკენ მოდის ავტომობილი. ავტომობილს გზა გადაუჭრა მოულოდნელად მეფურგუნემ, რომელიც ვერ ხედავდა ავტომობილს და დაღმართზე მოსხლეტით დაეშვა. მეფურგუნე გულთმისანი ხომ არ არის! ცხენებმა თავი ვეღარ შეიკავეს დაღმართზე.

ჩილინგაროვმა ამოაძრო ბუდიდან კვერთხი და გაექანა მეფურგუნისაკენ.

— შენ როგორ გაბედე ჩემს დაუკითხავად ქუჩაზე გადმოსვლა! დაჯარიმებული ხარ მიმოსვლის წესის დარღვევისათვის.

— კაცო, შენ ჯარიმის მეტი არაფერი გახსოვს. ცხენები ვერ შევაკავე და ზონას გადავცდი. მერე რა მოხდა?

— რაც მოხდა ეხლავე გიჩვენებ...

მილიციელმა გადმოაგდო ფურგუნიდან მოქ. ავეტისოვი, მოაბა ფურგუნს და მიჰყავს კომისარიატში.

დაედევნა მეფურგუნე ვედრებით და მუდარით.

— ალბად, ასეთ შემთხვევაშია საჭირო კვერთხის ამუშავება!—სთქვა მან და თავში სთუქა მეფურგუნეს.

განწარებული მეფურგუნე ეტაკა ხელში მილიციელს, მაგრამ კვერთხის მეორეთ დარტყმით მტერი მოგერიებულ იქნა.

კომისარიატში გამოირკვა, რომ მეფურგუნეს არავითარი წესრიგი არ დაურღვევია და სულ ტყვილა უდანაშაულოდ გაუტეხეს თავი.

ჩილინგაროვი დაპატიმრებულია. საქმეს გაარჩევს თბილისის სამაზრო სასამართლო.

—:—

როგორ გადაასახლა მდგმური სახლის პატრონმა

მოქ. გენეს საკუთარი სახლი აქვს პეროვსკაიას ქუჩაზე (№ 14).

რა ლაპარაკი უნდა, სახლის პატრონს „მსუქან-მსუქანი“ მდგმურები უყვარს. „მდარე-მდარე“ (ჯაბა-თხელი) ხალხი ქირივით ეჯავრება.

და აი, ამ გენეს სახლში ცხოვრობდა და ეხლაც აპირებს ცხოვრებას,—თუ სახლის პატრონმა რაიმე ოინით გარეთ არ გამოაგდო,—ერთი უმუშევარი იპოლიტე კანდელაკი.

შეუჩნდა სახლის პატრონი კანდელაკს, გან და თუ არ გინდა ოთახი დამიცალეო, ჰქონდა მუდამ ჩხუბი და დავა კანდელაკთან.

სად უნდა წასულიყო უმუშევარი კაცი, რომელი სახლის პატრონი აღმოჩნდებოდა ისეთი გულკეთილი, რომ თავისი ოთახში დააბინავებდა გენეს მიერ გაგდებულ უმუშევარს.

ყოველდღე მილიციაში და სასამართლოში დაძრწოდა სახლის პატრონი, მაგრამ კანონიერი გზით ვერ მოახერხა კანდელაკის თავიდან მოცილება.

საჭირო იყო რამე ხერხის გამოგონება.

სახლის პატრონი შეუთანხმდა მეეზოვე როშაევს, რომელსაც დაავალა კანდელაკის ამოწერა სახლის თავთირიდან.

მეეზოვემ პირნათლად შეასრულა დავალება. კომისარიატში კანდელაკი ამოსწერეს წიგნიდან და შენიშვნა გაუკეთეს: „გადავიდა პლეხანოვის პროსპექტზე № 22“-ში.

ამის შემდეგ სახლის პატრონმა აღძრა საჩივარი სასამართლოში, დაიწყო საქმის გარჩევა.

გენემ წარმოადგინა „საბუთი“, რომ კანდელაკს ოთახი არ ესაჭიროება, რომ ის სცხოვრობს ამა და ამ ადგილას და ტყვილა აქვს გაუქმებული ოთახი.

— თუ არ გჯერათ აი საბუთიც, რამდენი ხანია ამოწერილია წიგნიდან!

კანდელაკმა დაალო თვალები, განცვიფრდა.

— რას ბედავს ეს კაცი! სადაო? პლეხანოვის პროსპექტზე?

— დიახ! თქვენ პლეხანოვის პროსპექტზე ცხოვრობთ, ნუ თუ არ გახსოვს? ამა და ამ დღის არ გადადი?—სახლის პატრონი ცდილობს გაამაგროს „საბუთი“.

— ჩემს დღეში არ მიფიქრია გადასვლა, თუ გნებავთ დამინიშნეთ მეთვალყურე და დარწმუნდებით. რომ ერთი ღამეც არ გამითენია სხვაგან. გენეს სახლში ვცხოვრობდი და ვცხოვრობ ეხლაც. მე არ ვიცი. როდის ამომწერეს ან ვინ ამომწერა. ეს მაგისი თაღლითობა იქნება ალბათ.

სასამართლომ საქმე გადასდო ხელახლა გამოსაძიებლად.

ყალბი საბუთების შედგენისათვის პასუხისგებაში არიან მიცემული სახლის პატრონი და მეეზოვე.

გერ.

ავიაქიმში

„თავდაცვა და სპორტი“

ივნისიდან იწყებს გამოსვლას თავდაცვა-ავიაქიმის და საქ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს ყოველთვიური ჟურნალი „თავდაცვა და სპორტი“.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა ასეთია: თავმჯდომარე ამხ. ქავთარაძე, მოადგილენი—ამხ. კიკნაძე და სირაძე, წევრები: მამულია, ფირალოვი და სააკიანი.

სასროლო სექცია

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა სასროლო სექციის პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე— ამხ. მათიკაშვილი, მოადგილენი—ამხ. კიკნაძე და დმიტრევი, წევრები— თავაძე და აბაშიძე.

პლაკატების გამოცემა

თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო ავიაქიმიურ პლაკატების გამოცემა ქართულ ენაზე, რისთვისაც გამოჰყო საგამომცემლო ბიურო. მოკლე ხანში გამოცემულ იქნება 15 მხატვრული პლაკატი.

რკინისგზეზე

ხელშეკრულების გაუქმება

ა.-კ. რკინისგზათა გამგეობამ გააუქმა „მოსკვოშვეი“-სთან დადებული ხელშეკრულება 1200 კომპლექტ სპეცტანისამოსის და 30.000 წყვილ ბრეზენტის სამკლაურების დამზადების შესახებ. გაუქმება გამოწვეულია სპეცტანსაცმელის თავის დროზე დაუმზადებლობით.

200.000 ცალი შპალი

ჩრდილოეთ-კავკასიის რკინისგზათა გამგეობა დაჰპირდა ა.-კ. რკინისგზას 200.000 ცალ შპალის გამოგზავნას. მათ შორის 20.000 ცალი შპალი მიღებული იქნება მაისში, 45.000 ივნისში, 45.000—ივლისში და 40.000 სექტემბერში.

ხილის გადასაზიდათ

ხილის გადაზიდვის გასაუმჯობესებლად გზათა სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ა.-კ. რკ. გზის გამგეობას ხილის გადაზიდვა აწარმოოს ვაგონ-საყინულეებით.

რკინისგზელთა ყრილობა

25 მაისს მოსკოვში გაიხსნება საკავშირო რკინისგზელთა მეცხრე ყრილობა. ყრილობის დელეგატები ამიერ-კავკასიის რკინისგზიდან გაემგზავრებიან დღეს სპეციალური მატარებლით.

შემთხვევები

დახრჩობა

გუშინ, დღისით, მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო მესამე ბავშვთა სახლის მოწაფე ნიკოლოზ დვორნიკოვი (9 წლისა).

ბავშვის გვამი ნაპოვნი არ არის.

გაფლანგვა

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა სახელმწიფო მინერალურ წყლების საწყობის გამგე გრიგოლ სერგოსძე ჯალალოვი, რომელმაც მიითვისა და გაფლანგა 2.026 მანეთი.

გაქცეული პატიმრის დაჭერა

ამ რამოდენიმე ხნის წინად ალბულაღის მილიციის საპატიმროდან გაიქცა პატიმარი მამედ ისმაილ-ოღლი, რომელსაც ბრალდებოდა ქალის მოტაცება და გაუპატიურება. გუშინწინ ალბულაღის მილიციამ მამედ ისმაილ-ოღლი დააპატიმრა შიხალოს ტყეში.

ქურდების დაპატიმრება

მილიციამ დააპატიმრა ივანე აბგარისძე აბრამიანი, ვანილ დიმიტრისძე ერიაშვილი, სურენ ოგანესისძე ტოროსოვი, ივანე ვასილისძე ტერსიმონოვი, ნიკოლოზ ნიკოლოზისძე ჩერნიცკი და ბორის ივანესძე ონისიმოვი.

ხსენებულ პირებს ბრალდებათ ქურდობა.

ქურდობა

გუშინ, დღისით, გაქურდეს ევგენია ნერსესოვას ბინა (ტრიბუნალის ქუჩა № 31), წაიღეს 70 მანეთის ნივთები;—გაქურდეს ვარლამ ბუაძის ბინა (გრიბოედოვის ქუჩა № 10), წაიღეს 218 მანეთის საოჯახო ნივთები.

მეცნიერება და ტექნიკა

გაციება და მრეწველობა

შეერთებულ შტატების შრომის სამინისტროს ცნობით, გაციებით გამოწვეული ავადმყოფობა წარმოადგენს მრეწველობაში გაცდენილ სამუშაო დღეების 60 პროცენტს მეტს. განსაკუთრებით დიდია გაცდენილ სამუშაო დღეების რაოდენობა გრიპის ეპიდემიის დროს, მეორე ადგილი უჭირავს ფილტვების ანთებას, შემდეგ კი—გაციებით გამოწვეულ სხვა ავადმყოფობებს. შრომის სამინისტრო ამჟამად აწარმოებს გაციების საწინააღმდეგო საშუალებათა შესწავლას.

ხელოვნური ეპილეპსია

ილინოისის (შეერთებულ შტატებში) უნივერსიტეტის პროფესორმა ლორენს მორგანმა ძაღლებში ხელოვნურათ გამოიწვია ეპილეპსია ქირურგიული ოპერაციის საშუალებით. პროფ. მორგანმა მოახდინა თავის ქალას ტრეპანაცია (თავის ძვლების ოპერაცია) და დააზიანა ტვინის განსაზღვრული ადგილები. ოპერაციის შემდეგ ძაღლებს არ ემჩნეოდა არავითარი გადახრა ნორმიდან იმ გამონაკლისით, რომ მათ დროგამოშვებით მოსდიოდათ ბნედა, რომლის დროს ძაღლს ემჩნეოდა ყველა ის მოვლენები, რომლებიც ახასიათებს ეპილეპსიით შეპყრობილ ადამიანს.

მორგანის ცდები ემყარება ეპილეპტიკების ტვინის შესწავლაზე. გარდაცვლილ ეპილეპტიკთა გვამის განკვეთის დროს მორგანმა შეამჩნია, რომ ეპილეპტიკთა ტვინის ქერქის განსაზღვრული ადგილები დაზიანებულია. ძაღლებზე ჩატარებულ ცდების დროს მორგანი აზიანებდა მათი ტვინის შესაფერ ადგილებს.

სპეციალისტების აზრით, მორგანის ცდებს შეუძლია ნათელი მოჰფინოს ეპილეფსიის წარმოშობისა და მკურნალობის საკითხს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეპილეფსია მეტად გავრცელებულ ფსიქიურ ავადმყოფობას წარმოადგენს.

ნარევი

მსოფლიოში უდიდესი ლექსიკონი

მიმდინარე წლის აპრილში გამოვიდა ინგლისური ენის ცნობილი „ოქსფორდის ლექსიკონის“ უკანასკნელი ტომი. მუშაობა ლექსიკონზე დაიწყო 70 წლის წინედ და მას სამართლიანად უწოდებენ „უდიდეს ლექსიკონს მსოფლიოში“.

მუშაობა ლექსიკონის შესადგენად, რომელიც მიმდინარეობდა ოქსფორდის უნივერსიტეტის მეთვალყურეობით, დაიწყო 1858 წ. ინგლისის ფილოლოგიური საზოგადოების დადგენილებით. ლექსიკონის გამოცემის ინიციატორებს იმედი ჰქონდათ, რომ მუშაობას 2 წელიწადში დაასრულებდნენ და რომ ლექსიკონისათვის საჭირო მთელი მასალა დაეტეოდა 60.000 ბარათზე. თუ რამდენად ფართე ხასიათი მიიღო მუშაობამ იმასთან შედარებით, ვიდრე ფიქრობდენ, ამას ნათელყოფს თუგინდ ის ფაქტი, რომ 60.000 ბარათი მოუნდა ისეთ ასოებს, რომლითაც იწყება სიტყვების ყველაზე ნაკლები რიცხვი.

ლექსიკონის პირველი ტომი გამოვიდა 1884 წ. 1879 წლამდი, როცა ლექსიკონის რედაქტორად დანიშნეს ცნობილი ინგლისელი მეცნიერი ჯეიმს მარრეი, მუშაობა მეტად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. მარრეიმ კი, რომელიც მუშაობას ხელმძღვანელობდა სიკვდილამდი (1915 წ.) შესანიშნავი აპარატი შექმნა თავისი კოლოსალური სარედაქტორო მუშაობის წარმატებით შესასრულებლად. დაუმუშავებელ მასალას ლექსიკონისათვის, მაგალითებისა და ციტატების სახით, რომლებიც ასურათებენ ამა თუ იმ სიტყვის სხვადასხვანაირად გამოყენებას, მარრეი იღებულობდა სხვადასხვა პირებისაგან მთელი ინგლისიდან და უცხოეთიდან. მარრეი ამ მასალას ალაგებდა, ამოწმებდა; ასწორებდა და ამზადებდა დასაბეჭდათ. თუ რამდენად დიდი მუშაობა იქნა შესრულებული ამას ამტკიცებს თუგინდ შემდეგი მაგალითი: მარტო უბრალო სიტყვის „to set“-ის მნიშვნელობათა ჩამოთვლას (ეს სიტყვა იხმარება 50 სხვადასხვა მნიშვნელობით და გარდა ამისა, მას დამატებით 83 სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ფრაზის შემადგენლობაში) უჭირავს წვრილი ასოების ნაბეჭდი 18 გვერდი.

მაგალითები ლექსიკონში დასაბუთებულია ძლიერ ვრცელი ციტატებით (ამონაწერებით). ციტატები ისეა შერჩეული, რომ სიტყვის მნიშვნელობის განმარტების დროს მკითხველმა მიიღოს სრული სურათი სიტყვის მნიშვნელობის ცვალებადობისა უძველესი დროიდან დღემდე. უძველესი ციტატები ლექსიკონში ეკუთვნის მერვე საუკუნეს.

რადგან ლექსიკონზე მუშაობის დაწყების შემდეგ გაჩნდა მრავალი ახალი სიტყვები (რომელთა უმრავლესობა ტექნიკის დარგს ეკუთვნის), გადაწყვეტილია გამოიშვება დამატებითი ტომების, რომლებშიც განმარტებულ იქნება მნიშვნელობა ყველა იმ სიტყვების, რომლებიც არ შესულა ძირითად ტომებში.

ლექსიკონი შესდგება 100 ტომისაგან და შეიცავს 414.825 სიტყვას, 550.000 განმარტებას და 1.627.306 ციტატას. დაწყებითი ასოებიდან ყველაზე ხშირი აღმოჩნდა ასო „ა“, რომლითაც იწყება 57.428 სიტყვა.

ლექსიკონის გამოცემა დაჯდა 3.000.0000 მანეთი.

ჭადრაკი

დღეს, 20 მაისს, დილის 10 საათზე ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შესდგება საჭადრაკო შეჯიბრი. შეჯიბრში მონაწილეობას მიიღებენ საამშენებლო-ტექნიკუმის და ორჯონიკიძის სახელობის კლუბის საჭადრაკო წრეები.

შეჯიბრში სულ მონაწილეობას მიიღებს 40 კაცი, რომელთა უმრავლესობა მუშებია.

რადიო-გადაცემა

კვირა, 20 მაისი

დღეს, 20 მაისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

შინაური საქონლის დაზღვევა—მოხსენება ქართულ ენაზე; რადიო ინსცენიროვკა „ექიმ ბაში“ და კონცერტი. პიონერების გამოსვლა რუსულ და ქართულ ენებზე. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დაზღვევა სეტყვისაგან—მოხსენება ქართულ ენაზე. ვენერიული ავადმყოფობანი— მოხსენება ქართულ ენაზე. შევქმნათ ახალი ყოფა-მოხსენება—რუსულ ენაზე. რადიო-მეგობართა საზოგადოების ტექნიკური კონსულტაცია. პასუხი რადიო-მოყვარულთა წერილებზე. საქართ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე. კონცერტის ტრანსლიაცია. ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია რუსულ და ქართულ ენებზე.

ორშაბათი, 21 მაისი

რაციონალიზაცია დასავლეთ ევროპაში და საბჭოთა კავშირში—მოხსენება ქართულ ენაზე, ლიტერატურის უახლოესი ამბები—მომხსენებელი ქართულ ენაზე. კუჭ-ნაწლავების ავადმყოფობა და მის წინააღმდეგ ბრძოლა მოხს. სომხურ ენაზე. ქორწინება და ოჯახი—მოხს: რუსულ ენაზე. გაზ. „ბოლშევიცკაია სმენა“—რუსულ ენაზე. საქართ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობა რუსულ და ქართულ ენებზე. კონცერტი ან ტრანსლიაცია. ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე

მოხსენებების შუა შესრულებული იქნება მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

ხვალ, 20 მაისს; თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშათა პირველი სექციიდან: ვასილ ვარძიელაშვილი, ვერა ტურახიანი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: თამარ რცხილაძე, თამარ ოქროპირიძე, რიფსიმე გაბელაშვილი, გაიკ ავაქოვი და ვლადიმერ ზალინოვი.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: სტეფანე მამულაშვილი, როსტომ დგაფარ-ოღლი; ბაირამ-ალი-ოღლი; ხალილ-ოღლი-თეამურ; ზაქარია გამუშაძე; ილია ჯანელიძე, მიხეილ ზარაძე, არტაშეს სიხუნიანი, მიხეილ ფირალიშვილი, გრიგოლ ფირალიშვილ, ვლადიმერ რიველაშვილი.

უმუშევართა აღრიცხვა

თბილისის შრომის ბირჟამ, გამოჰყო კომისია სამი კაცის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა ბირჟის სექციების კატალოგების გადასინჯვა უმუშევართა სწორი კვალიფიკაციის გამორკვევის მიზნით.

ამასთან შრომის ბირჟამ, გადასწყვიტა შეჩერებულ იქნას შრომის მაძიებელთა აღრიცხვა.

პარტიული კალენდარი

ორშაბათს, 21 მაისს, დღის სრულ 12 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება თათბირი სახალხო განათლების სისტემის საკითხის შესახებ.

სავალდებულოა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: დ. კანდელაკი, მარიამ ორახელაშვილი, ფირალიშვილი ან მხითაროვი; ბედია; საქ. ა. ლ. კ. კ. ცენტრ. კომიტეტის, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. მუშ. გლეხ-ქალთა განყოფილების წარმომადგენლები, ა. მიქაძე და კვიცარიძე.

—

ორშაბათს, 21 მაისს, საღამოს 6 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 10) შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის მორიგი სხდომა.

მიმღები კომისიის წევრთა თავისდროზე დასწრება აუცილებელია.

სახ უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის პოლიტწრის მე-2-რე ჯგუფის უკანასკნელი მეცადინეობა შესდგება დღეს, 20 მაისს, 7 საათიდან—9-მდე.

წრის წევრთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—

სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის პარტკოლექტივის (უჯრედის) ბიურო იტყობინება, რომ ორშაბათს, 21 მაისს; საღამოს 6 საათზე მოწვეულია პარტკოლექტივის მორიგი კრება.

დასწრება პარტიის წევრ - კანდიდატებისათვის სავალდებულოა.

გ. ჭელიძე, ა. კობახიძე, მ. ჯაფარიძე, ს. დოხნაძე, ვ. კერესელიძე, ქ. და ნ. დარახველიძეები, ფ. დოხნაძე, გ. ჯანაძე, ქ. დვალი, ა. დოხნაძე, ნ. ვაჩაძე, [illegible] კერესელიძე, მ. სოხაძე, ნ. მესხი, ბ. მუსერიძე, მ. ლომთაძე, [illegible] ჯანელიძე, ზ. დავლიანიძე, დ. მეტრეველი, ს. შარაბიძე, [illegible] ლი, ს. არსენიძე, ქ. კობახიძე, ბ. ატროსიძე, პ. ბოჭორიშვილი [illegible] აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარ

ამხ. ალექსანდრე (ალიოშა) ვლადიმერის-ძე

ნადირაძის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება ქალაქში მეორე საავადმყოფოდან დღეს 3 საათზე, დაკრძალვა სოფ. კაჩიეთში (რაჭის მაზრა). (ე)

თბილისში მომუშავე ამხანაგები: დათიკო ნასარიძე, კოლია ენუქიძე, აკაკი კობახიძე, კანდიდ გობეჯიშვილი, მიხა ლაშხი, მიშა გავაშელი, ნიკიფორე და ლიზა ენუქიძეები, გრიშა ჭელიძე, მიშა დიასამიძე და ვასილი ჯოხაძე ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ 17 მაისს თბილისში გარდაიცვალა ახალგაზრდა ენერგიით სავსე, მათთვის დაუვიწყარი ამხანაგი

ალექსანდრე ვლადიმერის-ძე ნადირაძე

მიწა-ტყის პროფკავშირის რწმუნებული რაჭის მაზრაში.

ღრმად დამწუხრებულნი მუშფაკის მსმენელნი რაჭის ორგანიზაციიდან: ნ. ვაჩაძე, ვასო, გ. და დ. კობახიძეები, პ. დალაქიშვილი, ა. ენუქიძე, ვ. ლანდია, შ. ფოფხაძე, ერ. და ეფ. ბაკურაძეები, აკ. და ვლ. ქემოკლიძეები, ნ. მეტრეველი, ქ. ბიბილაშვილი, გ. კობერიძე, მ. დოხნაძე და ს. გავაშელი აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს დაუვიწყარ ამხ.

ალექსანდრე ვლადიმერის-ძე ნადირაძის

უდროოდ დაკარგვას. 2423

გულითადი მეგობრები ნიკოლოზ და ივანე კანდელაკები, შალიკო, კოლია, არტემ, ვლადიმერ და კლიმენტი გურგენიძენი, გედევან მესხი, გიორგი ნებულიშვილი, ისააკი ბაქრაძე, ვარლამი დოხნაძე, ღიმიდე და გრიგორ ჭელიძენი, სილოვან ჯღუნაძე, კონდრატე ციმაკურიძე, ნიკოლოზ კობახიძე, დომენტი სირაძე, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს დაუვიწყარი და იშვიათი მეგობრის

ალიოშა (ალექსანდრე) ვლადიმერის ძე ნადირაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 2415

ნიკორწმინდა ჭელიაღელის თემში არსებულ განათლების, საბჭოთა-სავაჭრო, მიწა-ტყის და ხეზე მომუშავეთა კავშირების ადგილკომები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ რაჭის მაზრის პროფბიუროს თავმჯდომარის ენერგიული მუშაკის

ალექსანდრე ვლადიმერის ძე ნადირაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 2415

სახელმწიფო უნივერსიტეტის რაჭველ სტუდენტთა ერთი ჯგუფი დალოსტი და გიორგი აბუთიძეები, ათანეს და რუბენ დონაძეები, ვალოდია და სევერიანე კობახიძეები, აკაკი და ალიოშა პეტრიაშვილები, ჭელიძე გრიშა, კბილაძე კალისტრატე, გურგენიძე სტეფანე, სხირტლ ძე გიორგი, კანდელაკი ნიკოლოზ, ბიბილაშვილი ბიქტორ და ქევანაშვილი ალექსანდრე ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ დაუვიწყარ ამხანაგის და უძვირფასესი მეგობრის

ალექსანდრე ვლადიმერის ძე ნადირაძის

უდროვოთ გარდაცვალების გამო. 2427

თავზარ დაცემულნი და დამწუხრებულნი ნავთსადენის სად. გორის მუშა-მოსამსახურენი ამით აუწყებენ ამხანაგებს, რომ 18 მაისს შუადღის 11 ს. უეცრად გარდაიცვალა ნავთსადენის განყოფილების უფროსი ერთგული მუშაკი და დაუღალავი მასწავლებელი

მიხეილ ალექსანდრეს ძე ოგანეზოვი

2417

ნავთსადენის განყოფილების მილების შემკეთებელი მონტიორ ხუჯაძის მუშები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, რომ ა. წ. 18 მაის შუადღის 11 ს. უეცრად გარდაიცვალა ნავთსადენის განყოფილების უფროსი და მათი ძვირფასი, დაუღალავი მასწავლებელი

მიხეილ ალექსანდრეს ძე ოგანეზოვი

2418

გარდაბანის ნავთსადენის სადგურის თანამშრომლები აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს ძვირფას თანამშრომლის, ამიერ-კავკასიის რკ. გზების ნავთსადენის განყოფილების უფროსის ინჟენერ

მიხეილ ალექსანდრეს ძე ოგანეზოვის

უეცრად გარდაცვალებას ა. წ. 18 მაისს დილის 9 საათზე. ცხედრის გამოსვენება მიცვალებულის ბინიდან, ბორჯომის ქუჩა № 11, კვირას 20 მაისს ნაშუადღევის 1 საათზე. 24 4

ღრმათ დამწუხრებულნი დედა ლიპა პავლეს ასული სანოძისა, მეუღლე ექიმი სტეფანე, მიხეილის ძე გარდავაძე, შვილები: გულიკო, ქ კო, რევაზი და ეთერი, დები მარიამი, ოლიმპია და ძმა დათიკო სანოძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ რომ უდროოთ დაღუპულ და მუდამ დაუვიწყარი

ეკატერინე მიხეილის ასულის სანოძე გარდავაძისა

ხსოვნის აღსანიშნავათ დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი 20 ს. მაისს კვირას ნაშუადღევის 4-ს საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე 2419

ღრმათ დამწუხრებული შვილი სილოვან ნიკოს-ძე მელაძე, რძალი ანიჩკა, შვილის შვილი ლუტუშა, დის შვილი გოგუცა და სიძე მ. შენგელია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და ძვირფასი

ეფროსინე ოტიას ასული მელაძისა

რომლის გამოსვენება (ტფილისი, გორის ქუჩა, № 23) და დაკრძალვა მოხდება დღეს, ნაშუადღევის 3 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. 2425

სახკინმრეწველობის კინო თეატრები

პალასი	უკანასკნელი დღე **ბოშური სისხლი** პროგრამის გარდა **ხანძარი ქუთაისში**	ორშაბათიდან 21 მაისიდან **სენატორის კარიერა**
სოლეი		ორშაბათიდან 21 მაისიდან **ორი ქმრის ცოლი**
მინიონი		ორშაბათიდან 21 მაისიდან **მიწა ტყვეობაში**
აპოლო	უკანასკნელი დღე **დედის გული** პროგრამის გარდა ხანძარი ქუთაისში	ორშაბათიდან 21 მაისიდან მხატვრული სურათი **მიწა ტყვეობაში**
არფასტო	უკანასკნელი დღე **ღამის ექსპრესი**	
ოდეონი	გრანდიოზული ფილმი **ორი მსოფლიო**	2 სერიათ ორივე სერია ერთად
პროლეტარი ავლაბარი	უკანასკნელი დღე **ავანტიურისტი ჯიმი გლეკ**	ორშაბათიდან 21 მაისიდან **ბოშური სისხლი**
დარბაზი	ორიგინალური კომედია **მიტია**	ორშაბათიდან 21 მაისიდან **ცეცხლის ალში**

ანონსი: ორშაბათიდან ახალი სურათი მიწა ტყვეობაში, და სამი მუშკატერი. 0—14

ორშაბათიდან 21 მაისიდან

კინო-პალასი

ამერიკის საყვარელი მსახიობი
მეი მურეი
მხატვრულ სურათში
სენატორის კარიერა

კინო-სოლეი

სეზონის საუკეთესო სურათი
ორი ქმრის ცოლი
მთავარ როლში
ესტერ გაზი

ნ. 1127

მიმდინარე მაისის 22-დან

თბილისის ქალაქის სასაკლაო შეუდგება

ხელოვნური ყინულის დამზადებას

ამ ყინულის სარგებლობის მსურველებს ვთხოვთ დასდონ სასაკლაოსთან ხელშეკრულება არა უგვიანეს მომავალი ივნისის 1-სა

ცნობებისთვის უნდა მიმართონ ადმინისტრაციას დილის 9 საათიდან დღის 2 საათამდის

ნ. 1124 სასაკლაოს დირექტორი

ბეჭვდა გათავდა

და ივნისის პირველ რიცხვებში გამოვა

პროფ. ივ. ჯავახიშვილის

ქართველი ერის ისტორია

1 წიგნი 360 გვერდი. ფასი 3 მ. 50 კ. ხელის მომწერთათვის 2 მან. 50 კ. ხელის მოწერა გრძელდება 5 ივნისამდე. ვინც 15 ხელის მომწერს იშოვის, მე-16 წიგნი უფასოდ გაეგზავნება. ყარაყიანი ყდა 1 მან. 20 კაპ.

2411 ლენინის ქ. № 6 ს. თავართქილაძე

ორშაბათიდან, 21 მაისიდან

კინო-თეატრებში: **აპოლო, არფასტო, მინიონი**

მხატვრული ბოევიკი „მეჟრაბპომ-რუსის“-ის ნაწარმოებისა

— 1927—28 წლის სეზონის. —

მიწა ტყვეობაში

რეჟისორი ფ. ა. ოცეპ (სურათ „მისს-მენდ“-ის დამდგმელი)
ოპერატორი ლ. ფორესტიე.

მთავარ როლებში: ანა სტენ, ანელ სუდაკევიჩ, ი. კოვალ-სამბორსკი, ვ. ფოგელ, პ. ბაკშეევი, მ. ნაროკოვი (რესპ. დამსახ. მსახიობი) და ნ. ბატალოვი. ნ.

გაზ. „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი), რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 მთავარი კანტორა.

იყიდება ბავშვის ინგლისური „კალიასკა“

იკითხეთ ენგელსის ქუჩაზე № 34 (ყოფ. ბებუთოვის) ბაგრატ ანტონოვთან.

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

ავადმყოფების მიღება ფსიქოტერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქორესის ქ. კუთხე.

საქართველოს კურორტები

საზაფხულო სეზონი

წყალტუბო—გაიხსნა 1-ლ მაისს კარგი ამინდია

ბორჯომში, აბასთუმანში, კატარა-ცემში და წაღვერში სანატორიუმები და პანსიონატები გაიხსნება 15 ივნისიდან

ადგილების გაცემა გრძელდება

ახტალა—გაიხსნება 15 ივნისს.

შოვი და ბახმარო—გაიხსნება 1-ლ ივლისს.

საქართველოს ყველა კურორტები უზრუნველყოფილია ყოველგვარ სურსათ-სანოვაგით.

საჭირო ცნობების მიღება შეიძლება კურორტთა მთავარ სამმართველოში (ძნელაძის ქუჩა № 30).

თბილისის ფიზიატრიის და კურორტოლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტი ლენინის ქ. 49 იმუშავებს მთელი ზაფხულის განმავლობაში.

ნ. 1125 კურორტთა მთავარი სამმართველო

თანახმად განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებისა, ამა წლის 20 ივნისს შესდგება

უკანასკნელი და საბოლოო

საგამოცდო სესია იმ პირთა გამოსაცდელად, ვისაც სურს მიიღოს: 1) კბილის ექიმის წოდება, 2) კბილის ტექნიკოსის წოდება.

მსურველმა წერილობითი განცხადება სათანადო საბუთებით უნდა გამოგზავნონ არა უგვიანეს 15 ივნისისა, საგამოცდო სესიის თავმჯდომარის სახელზე, შემდეგი მისამართით: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 126 სტომატოლოგიური კლინიკა. იქვე შეიძლება დაწვრილებითი ცნობების მიღება. 13—1

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 52—1 ტელ. 12—76

ექიმი

ი. ი. ზერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

ბორჯომის კონტრაგენტს დავით ტრიფონის-ძე ლომსაძეს და ზუგდიდის კონტრაგენტს კონსტანტინე პილასონიას

წინადადება ეძლევათ ერთი კვირის განმავლობაში გაასწორონ გაზეთ „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორასთან ანგარიში, წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული იქნება სათანადო ზომები.

2—1 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

მათემატიკის მასწავლებელი

ამზადებს უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად და შრომის სკოლის ყველა ჯგუფებისათვის და სპეც ტექნიკუმში შესასვლელ გამოცდებისათვის და აგრეთვე ასწორებს სუსტს და ჩამორჩენილ მოწაფეებსაც. პლეხანოვის ქუჩა № 25. (შესავალი ჩერნიშევის ქუჩ. № 5) ნახვა 8—10 ს. და 12—5 საათ. 2412

ქ. ტფილისის მე-4 უბნის სასამარ. აღმასრულებელი კ. ოდიშარია

აცხადებს რომ ის 25 მაისს 1928 წ. საათის 1 პლეხანოვის გამზ. № 137 საჯარო ვაჭრობით გაყიდის გიგო გოლაძის მოძრავ ქონებას ბოთლებს, სკამებს, ლოგინს, შკაფს, ლამპას, მაგიდის, ფარდებს, სამოვარს, ხერხებს, თოხს, წერაქვს, ტაშტს, ფეხს, ჩამოსაკიდ პირსაბანს, ვედროს, კრაოტს და სხ. შეფასებულ 69 მან. 20 კ. დასაკმაყოფილებლად შალვა გოგუაძისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 2413

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

ქ. თბილისის 1 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი

აცხადებს, რომ 1928 წ. 23 მაისს, დღის 1 საათზე, 1-ლ სამილიციო უბანში ბაქრაძის მე-2 ჩიხი № 4, გაიყიდება საჯარო ვაჭრობით ერთ სართულიანი სახლის ნახევარი ნაწილი—ორი ოთახი, რომელიც ეკუთვნის ნიკოლოზ ონისიმეს ძე გოგოლაშვილს და მდებარეობს ზემოდ აღნიშნულ ჩიხში. ეს სახლი შეფასებულია 800 მანეთად და მას აქვს ქალ. თბილისის კომუნალურ ბანკის ვალი—1200 მან. ვაჭრობა დაიწყება 800 მან. სახლის მყიდველმა ბანკის ვალი უნდა გადაიწეროს. ვაჭრობა დანიშნულია ბასიკო ნინიას ძე გოგოლაშვილის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად ჯამით 800 მან. ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს ცნობები, გათვალისწინებული სამ. საპრ. კოდ. 311 მუხ., გარდა ამისა ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საწინდარი შეფასებული ჯამის 10 პროც. 2426

ექიმი

კ. ს. ფონ-რ ტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

თვალის საავადმყოფო

მუდმივ საწოლებით და ამბულატორით. ღებულობენ ექიმები:

ა. ნ. შატილოვი

საოპერაციო დღეებში

ა. გ. მალაევი

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფობის მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 4. ტელეფონი № 5—90. 25—

დავკარგე: კავშირის წიგნაკი N 14/379, სოფრომ ხუბაშვილის სახელზე, ჩ. გ. 24

მთავლიტი № 904. პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 6ა